

გიორგი სოსიაშვილი

ჩვილმეტნი

რედაქტორი: გიორგი ხორბალაძე

ბელადის ბედისწერა

ჯერ შორიდან შეხედავს, მალვით შეათვალმზერებს.

— რამოდენაა კაცო! ან როგორ აიტანეს, ან როგორ დადგეს. დახე! ბელადის ვება ძეგლი ხუთსართულიან სახლს ზემოდან დასცქერის. მძინარე, სიბნელეში ჩაყუჩებულ ქალაქს, მედიდური მზერით გადმოჰყურებს. მამისა-გან ლავრენტის გაუგია ამ ვეებერთელა ძეგლის ამბავი. ვიდრე ბელადი გარდაიცვლებოდა, ვიდრე ძია სოსო სააქა-ოს განერიდებოდა, მანამ დაიწყეს ამ ძეგლის დადგმა. მთავრობის სახლი ჯერაც არ იყო თურმე დასრულებული. იმ პატარა ქოხის გარშემო, სადაც ბახუსთან გამიჯნურებული თერძის შვილი დაიბადა და თვალხილული სამყარო იხილა, მთელი უბანი ახვეტეს. რაც კი სახლები იყო ერთიანად დაანგრიეს, რო მარტო ის ქოხი გამოჩენილიყო, მარტო ის ქოხი დაენახათ ადამიანებს. შებდაოდნენ კომუ-ნისტებს უსახლკაროდ დარჩენილი გორელები, რომელთა

საცხოვრებლებიც გრანდიოზული სახლ-მუზეუმის მშენებლობამ შეიწირა. იმ დროს ააშენეს რკინიგზის ახალი სადგურიც. ვინც გორში ფეხს შემოდგამდა, პირველ რიგში ბელადის სახლ-მუზეუმი უნდა დაენახა.

მას შემდეგ იდგა ის უზარმაზარი ქმნილება. ბევრი თაობა წავიდა და წამოვიდა, ბელადის ძეგლი კი იდგა. არც არავის სწყინდებოდა მისი დანახვა. მამამისისგან ისიც გაუგონია ლავრენტის, რო სტალინმა არ იცოდა, თუ მის სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგეს მშობლიურ ქალაჭშიო. ძნელი წარმოსადგენი იყო, ჯუდაშვილის თვალსა და გუმანს მიღმა რამე დარჩენილიყო. ლავრენტის მამა კალე სტალინის სურათთან ლოცულობდა და კალეს ბელადზე ჰკუა ეკეტებოდა. ათას რამეს ყვებოდა. სამხედრო ნაწილში, მოსკოვის გარეუბანში მსახურობდა, ერთხელაც სტალინი გამოჩენილა, ჯარისკაცებისთვის ხელი ჩამოურთმევია და კალე ხელს ადარ იბანდა თურმე, ყველას ეტრაბახებოდა – აემ ხელზე შემეხო, იმის ულვაშს ვენაცვალეო.

ამის გარდა კიდევ ბევრ რამეს იგონებდა. როგორ გამოილია ერთხელ სურსათის მაღაზიებში მარილი და სტალინმა მარილის ქარხნის ხელმძღვანელს მოუხმო: „სოლ ბუდეტ, ტი ბუდეტ, სოლ ნე ბუდეტ, ტი ნე ბუდეტ“. კიდევ

ორკარიანი მოსკვიჩი რო გამოიგონეს და სტალინი და ერთ-ერთი ქვეყნის ელჩი მანქანის შესამოწმებლად ჩასხდნენ. სტალინს უთქვამს მანქანის ინსტრუქტორისთვისაო, მოდი შენც დაჯექიო, საწყალი ინსტრუქტორი ტარაბუადახვეული გარს უვლიდა მანქანას და როგორ დაჯდებოდა. სოსოს ულვაშებში ჩაედიმა და უთხრაო, ორი კარიც დაამატე, თუ გინდა რო ცხრაგრამიანი არ მოგხვდეს შებლშიო.

ლავრენტი ვეება ნაძვის ქვეშ გაყურსული იჯდა და ბელადის ძეგლს ასცქეროდა. თვალწინ თუმნიანების შეკვრა უტრიალებდა. ერთი აძრომა ჭირდა ძეგლზე, წითელ საღებავს ჩამოასხამდა და რაიკომიდან გაგდებულ სერგოსგან დანაპირებ ათას მანეთს მიიღებდა. გრძელი ბამბუკის კიბეც იშოვა, ძეგლთან მიათრია, მაგრამ... ვინმეს რო შეემჩნია, ვინმეს რო თვალი მოეკრა... ციმბირი აქეთ დარჩებოდა. ბელადის ძეგლის წაბილწვას ვინ აპატიებდა. გული ცემას ვერ ასწრებდა, პირი უშრებოდა, მზერა მთავრობის სახლისკენ გაურბოდა, მესამე სართულზე, რაიკომის მდივნის ჩაბნელებულ ოთახს აშტერდებოდა. წარმოიდგინა, დილით, შავი ვოლგებით მოსისინებული მთავრობის ხალ-

ხი, წითლად მოსარგლულ ძეგლს რო დაინახავდნენ, რა ამბავი ატყდებოდა.

დიდხანს იყურეუტა, დიდხანს აკვირდებოდა ცას შეუ-
დებულ ბრინჯაოს ქმნილებას, ბოლოს კიბეს ხელი დავ-
ლო, საღებავით სავსე ყუთიც ამოიჩარა და ლანდივით
გაქრა.

„არა, მმაო, მე ამათი თავი არა მაქ“.

წლები გავიდა, თაობები შეიცვალა.

ბელადის ძეგლი კი ისევ შერჩა ქალაქს. იდგა და იდ-
გა, შეჩვეოდა ხალხის თვალი და ისიც შეჩვეოდა ხალხს.
გადაპყურებდა მედიდურად იმ ქალაქს, სადაც იშვა და
გაიზარდა. მერე რა, რო საქართველოს დაპყრობაში
რუსეთს ხელი წაახმარა? მერე რა, რო როგორც ვიდაცემ-
ბი ამბობდნენ ილიას მკვლელობაშიც იყო გარეული, მერე
რა, რო ოსები და კიდევ სხვა მცირე ერები თავზე წამოგ-
ვასვა და მარადიულ ტკივილად გვიქცია ძველი ქართული
მიწები, მერე რა...

ყოველ ცხრა მაისს და ოცდაერთ დეკემბერს ბრინჯა-
ოს უზარმაზარ ქმნილებას გვირგვინებს შემოუწყობდნენ
ომის ვეტერანები, თუ ვეტერანების შთამომავლები და
იმართებოდა სტალინის პანაშვიდი.

მერე იყო 2008 წლის ომი. რუსებმა გორი აიკლეს, ბომბები ძეგლის წინ ჩამოყარეს, ვეება, მოასვალტებული ალაგი სისხლით იყო მოსარგლული, შენობები დაცხრილული და გადატუგული, მაგრამ ძეგლს ულვაშიც კი არ ჰქონდა დაზიანებული.

„საბჭოთა კავშირის დაშლა, დიდი უბედურება იყო“, თქვა რუსთა ხელმწიფები და მფრინავებიც დაარიგა: „ღმერთი არ გაგიწყრეთ და ემანდ ძეგლს არაფერი მოარტყათ თორემაო“... და ასე გადარჩა სტალინის შვიდტონიანი ბრინჯაოს ქანდაკება.

ერთი ხანობა, რომელიდაც გორელს გაუარა თავში აზრმა:

– ბიჯოო, სტალინის ვაგონი რო დავაყენეთ ეგრეჯორივით და ლამის არი უანგმა შეჭამოსო, მაგითი კაი ფულის შოვნა შეიძლებაო. აბა საფრანგეთსა ჰყოლოდა, ან გერმანიას, გინდა იტალიასაო.

– როგორაო, – პკითხეს სხვებმა.

– როგორა და ჩავუბათ მატარებელსა და გავუშვათ სხვადასხვა ქვეყნებში, გინდ მარტო ჩინეთში გავუშვათო. თითო კაცი რო ავიდეს და თითო მანეთი გადაიხადოს, ის ფული ყელში ამოუგაო გორსაო.

— ე, მართალიაო, — მათაც მოუწონეს აზრი, წინასწარიწყეს ნაშოვნი ფულის დათვლა, წინასწარ ელანდებოდათ, გაგონს მისეული ჩინელები... მაგრამ ამ საქმეს ვერ მოაბეს თავი.

„მენეჯმენტი“ არ გვივარგა, თორემ ქვეყნის ტურისტები გვეყოლებაო.

დადგეს ვევბა წარწერა გორის შემოსასვლელში, რომელიც მგზავრებს აუწყებდა, რო 100 მეტრში მსოფლიოში ყველაზე დიდი პოლიტიკური მოღვაწის სახლ-მუზეუმი იყო. ყოველდღე აუარება ტურისტი მოდიოდა. გორში ჩამოსული უცხოელები ჯერ სტალინის ძეგლთან დადგებოდნენ და სურათებს იდებდნენ, მერე ბელადის სახლ-მუზეუმისა-კენ გასწევდნენ. მღიმარე სახეებით ჯუღაშვილის არე-მარეზე დაბორიალობდნენ.

დრო კი მიდიოდა... ხან ზოზინით, ხანაც სწრაფად.

ძეგლი იდგა, ან სად წავიდოდა. მერე, თანდათან, ბრინჯაოს ბელადის ცქერაც მოსწყინდათ გორელებს. ემაგ ძეგლს მანდ რა უნდა, დადგა დრო, რო სახლ-მუზეუმში გადაიტანონ, როდემდე უნდა იდგეს მანდა, ერთი თაობა, ორი, სამი, ოთხი, რა უბედურებაა კაცოო.

ძეგლიც „გრძნობდა“, რო გაუვიდა ყავლი, გრძნობდა, რო ცოტა ხანში ადგილი უნდა შეეცვალა და მისი გადატანით, რაღაცისგან გათავისუფლდებოდა ქალაქი. შეიძლება ეს გათავისუფლება ტკივილიანი ყოფილიყო, მაგრამ მაინც გათავისუფლება დაერქმეოდა ამ ამბავს.

* * *

— ვინ ააღებინებთ ამ ძეგლსა, ქვეყანა ჩალით კი არ არის დახურულიო. ვისი სამასხარაო გახდა სტალინი, რატომ ლმერთი არ გაიცინებს, ნახე რა ამბავი მოჰყვება, მეორედ მოსვლა მოგონილი იქნება, — გაიძახოდა მაიმა. ნამდვილი სახელი გრიგოლი ერქვა, მაგრამ მთელი ქალაქი მაიმას ეძახდა. საზოგადოებაში ადგილი ვერ იპოვა, იბორიალა, იბორიალა და ყოფილმა თევზის ვაჭარმა, რომელიც ერთ დროს მოზდოკიდან თართს ეზიდებოდა, ერთერთ პარტიაში შეიტანა ფხაჭანი. მაიმას, უკვე წარმოედგინა, რაც მოხდებოდა ქალაქის ცენტრში, ბელადის ძეგლის აღებისას. ვიდაცამ კი უთხრა, — შენ არ იყავი კაცო, ქორწილში რო სტალინის სადღეგრძელო არ დალიე და თავ-პირი ცემით დაგისიესო.

– მაშინ სხვა დრო იყო, ეხლა... ბევრი რამ წავიკითხე
და დავრწმუნდი, სულ ტყუილა შეაზიზდეს ხალხს ამ
კაცის თავიო, – მაიმამ იხტიბარი არ გაიტეხა.

როცა „სტალინის გულშემატკივარი“ მესამე სიზმრის
ხილვით ტკბებოდა, გორელებმა იმ დროს დაიწყეს ძეგლის
აღება. დილით უძეგლოდ გაიღვიძებდა ქალაქი და დას-
ვამდნენ კითხვებს.

- ე, რა იქნა სტალინი.
- ძეგლი აუღიათ.
- შეხე, აღარ დგას სტალინი, რა უყვეს კაცო, სად
წაიღეს.

შუალამისას, ძეგლის სიახლოვეს, მოასფალტებულ მო-
ედანზე ორმოციოდე კაცს მოეყარა თავი, იქ, სადაც ორიო-
დე წლის წინ სისხლის გუბეები დააყენეს რუსებმა.

ძეგლის აღებას კი მოება თავი, მაგრამ მაინც ხელფეხ-
შებორკილებივით იდგნენ. ჯერ იყო და ამწეს მძღოლს ვერ
პოულობდნენ. უფრო სწორად, ამწეს მძღოლი ბევრი იყო,
მაგრამ ამ საქმეზე უარს ამბობდნენ. ვერაო, ხალხისა გვე-
შინიაო, ე, ძეგლს კი ჩამოვიდებო, მაგრამ მერე სად წავი-
დეთო, სახლში მოგვივარდებიან და აგვაწიოკებენო. ძაან

კი არ გვეხატება გულზე სტალინი, მაგრამ ხალხისა გვეშინიაო.

ბოლოს ერთი გაბედული მძღოლი გამოჩნდა, — ძეგლი კი არა, თუ გინდათ სახლ-მუზეუმსაც ავიღებ, თქვენ ოლონდ მითხარითო, ხმა მაინც დარხეულიყო ქალაქში. „პატარა გორში“ შუალამე იყო. გორიჯვრის მთაზე მკათათვის სიცხით გათანგული მთვარე სთვლემდა, „ხალხი“ არ ჩანდა. ის „ხალხი“, ვისიც ამწევბის მძღოლებს ეჭინოდათ. ბელადის ბედისწერა ასეთი იყო. ასე უნდა მომხდარიყო. მერე ერთ-ერთი გორელი გასცემს ჟურნალისტებს კითხვაზე პასუხს:

— ვინ გადაწყვიტა, ან როდის გადაწყდა სტალინის ძეგლის აღებაო.

თავიდან ცოტა დაიბნა გორელი და მერე მახვილ-გონივრულად უპასუხა:

— ძეგლის აღება ზეცაში გადაწყდაო და თვითონვე გაედიმა, რა კარგი პასუხი მოვიფიქრეო.

არადა, მართლა ზეცაში გადაწყვეტილიყო...

— აბა, შალვა, შენ იციო, წააქეზეს ერთ-ერთი ბიჭი და ტანდაბალი ახალგაზრდა, რომლის დიდი პაპა სტალინს ციმბირში ჰყავდა გადასახლებული ამწის კალათში ჩახტა.

– წამოახედა ეხლა პაპაჩემი, რას გაიხარებდაო, – ხითხითებდა შალვა, – ერთი დრო არავის შერჩება, არავისაო, რას მოიფიქრებდა სტალინი, რო კიკაანთ ვასოს შვილთაშვილის წერა გახდებოდაო.

ულვაშა მძღოლმაც აამოძრავა კალათი და წავიდა დადგლა შალვა, დაბლიდან ყიჯინა დასცხეს, – მიდი შალვა, მიდი შალვაო. ბელადის ბეგლზე მაღალი იყო ცოტა ხანში შალვა.

– ჰე, ჰე, ჰე, – ხელი დაუქნია, – რა სიმაღლე ყოფილა კაცო, თვალი მოავლო შალვამ მოედანს, მწვანე ნათურები ენთო დაბლა, გადაკრეჭილი ბზის ბუჩქები ზურმუხხისფრად ხასხასებდა.

– დაუწი, ცოტა დაბლა, – მძღოლს ჩამოსძახა შალვამ.

მძღოლმა გერ გაიგონა.

– დაუწი, დაუწი, – ახლა ხელით ანიშნა.

ნელ-ნელა დაეშვა კალათა...

– ჰოო, კაი.

შალვა კალათიდან გადაიხარა და სტალინის უზარმაზარ თავს შეეხო, ჯერ ულვაშზე მოკიდა ხელი, მერე შუბლზე შეახო და მუშტი მიუკაპუნა.

– სურათი მაინც გადამიღოს ვინმემ, ინატრა შალვამ.

- მიდი რადას უყურებ! – მოქსმა დაბლიდან.
- ეხლავე, – შალვამ მაჯის სიმსხო თოკი გამოაყურთ-
მაჯა და სტალინს თავზე ჩამოაცვა.
- ეპვ, ვასო, ვასო, – წაიბუტბუტა შალვამ, – ამ დღეს
მაინც მოსწრებოდი. სად ჩაყარე ძვლები, საფლავიც არ
გედირსა, შე უბედურო. ხომ ხედავ, რა მამაძაღლია ცხოვ-
რება... ვის რა მოელის. ესეც ჩვენი ბელადი...
- დაბლა შეგროვილმა ხალხმა თანდათან მოედნისკენ
გადაიწია.
- რა იცი, როდინდელი დადგმულია, ან ხელი მოსძვ-
რეს, კაცო, ან ფეხიო.
- შალვა კიდევ არხეინად იჯდა კალათში და დაბლა-
დაბლა მოიწევდა. ძეგლი თითქო მოედანზე შეკრებულ გო-
რელებს სიტყვაში გამოსული ორატორივით თავს უკრავდა,
ნელ-ნელა დაიზნიქა, დაიზნიქა, და ბოლოს მოცელილივით
ჩამოეშვა...
- კომუნისტებიო, ასე აკეთებდნენ, ისე აკეთებდნენო.
აგრა, – თითს იშვერდნენ მოტიტვლებული კვარცხლბეგი-
საკენ. დახე ორ ცალ რკინის პალოზე ყოფილა დამაგრე-
ბული, ჩვენ კიდევ გვეგონა, რო ამის აღებას მთელი ბატა-
ლიონი დაჭირდებოდა... – ჩაილაპარაკა ვიდაცამ.

* * *

მზის ამოსვლას ბელადის გარეშე შეეგება გორი. ვეება მოედანზე უძეგლო კვარცხლბეჭს დასცქეროდა მკათათვის მნათობი.

- სტალინის ძეგლი აიღეს.
- წუხელის აიღეს.
- სახლ-მუზეუმში გადაუტანიათ, ისე, ეგრე ჯობდა, რა უნდოდა შუა ქალაქში.

მერე ტურისტებიც გამოჩნდნენ. მოედანზე ორსართულიანი ავტობუსი გაჩერდა და ციფრული აპარატების ციმით ჩამოიშალნენ ბელადის თაყვანისმცემლები.

მაგრამ ფაფუ სტალინი!

იდგნენ ეგრე და ასცქეროდნენ უძეგლო კვარცხლბეჭს, ასცქეროდნენ და თვალებს არ უჯერებდნენ.

მერე ერთ გამვლელ კაცს შემოეხვივნენ და კითხვები დააყარეს, შავტუხა გორელმა, რომელმაც ორიოდე სიტყვა ინგლისური იცოდა, თითი გაიშვირა სტალინის სახლ-მუზეუმისაკენ.

– ჰია, ჰია...

ეგ იყო და ეგ...

2010 წ. 28 თიბათვე
ბაზალეთი

**მთვლემარე წლები
გუძღვნი ზურაბ ოქროპირიძეს**

- უნდა წავიდე!
- სად უნდა წახვიდე? – მეკითხება ჩემი ძმა და გაოცებული მომჩერებია.
- სად უნდა წავიდე და... სიტყვა, კაბდოსავით წამომედო ყელში, გაიჩნირა, თითქო ხორხი უნდა ამოეგლიჭა.
- ძაან დაბნეული ლაპარაკობ, – თქვა ნიკობ და ძველი გაზეთის კითხვა გააგრძელა.

ავდექი, ჯერ ოთახში დავიწყე ბოლოთის ცემა, წინ და უკან ბორიალს მოვყე. ნიკოს ხანდახან თვალი გამოექცეოდა ჩემსკენ, მერე ოთახში სიარული რო მომწყინდა,

აივანზე გავედი. მომაკვდავ მზეს, რომელიც მთების უბეში გაჭრილ სამარეში, ნელ-ნელა ეშვებოდა, სუდარად ეხურა დასალიერზე შედედებული წითელი ღრუბელი.

ეს ორი კვირაა დამებს ვტეხავ. დავწვები, მინდა რო სიზმარეთს მივცე თავი და ამ მტანჯველი ფიქრებისაგან გავთავისუფლდე, სხვა სამყაროში გადავსახლდე, სიზმრის სამყაროში, რომელიც ნელ-ნელა, საიქიო ცხოვრებას აჩვევს ადამიანს. როგორ? დაფიქრდით და მიხვდებით.

საიქიოს ძალიან ჰგავს სიზმარეთი.

ვწრიალებ ძილგამფრთხალი ლოგინში. ხან საით გამექცევა ფიქრი, ხან საით, ახალმოგებულ ხბოსავით დაკუნტრუშებს, რომელიც კაცმა არ იცის, საით გაიქცევა.

ხან ომში ვარ, ტყვიის წვიმა მოდის ციდან და ეშმაკი დაგვხარხარებს. ხან ჯარისჯაცების გვამებით მოფენილ მინდორში დავდივარ, სისხლით დალაქავებულ მინდორში. რა წარეცხავს ამდენ სისხლის გუბებს. შეკვერებული სისხლით მოსარგლულა ამოდენა კალო ადგილი. დახე... სხვა რა უნდა იყოს ჯოჯოხეთი. აუცილებელი კი არ არის, რო სამთითა პვერთხით დახტოდეს შენს გვერდით უსახური არსება და მყრალი კუპრი თუხთუხებდეს. თუმცა, აღარ ვაცდით რო წუთისოფელი დასრულდეს და საკუთა-

რი თვალით ვიხილოთ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“, განწირული ადამიანების ყოფაც ჩვენივე თვალით დავლანდოთ. აქვე ვაწყობთ ჯოჯოხეთს. აქვე, წუთისოფლის სცენაზე, ჩვენივე ხელით ვჩუქნით სულს იმ არსახსენებელს, ყველაზე ძვირფასს, რაც უფალმა მოგვანიჭა და რითაც ცხოველებისაგან გამოვირჩევით.

ომი... ვერასოდეს ვიფიქრებდი, რო ოდესმე მეც მომოწევდა ომის დროს ცხოვრება, მე მინდოდა... მინდოდა რო ისე დამემთავრებინა ცხოვრება, როგორც თავიდან მქონდა ჩაფიქრებული და ყოველთვის ისე დამენახა ადამიანები, როგორც ბავშვობიდან ვუმზერდი. მაგრამ მარტო სურვილი არაფერს ნიშნავს, ცხოვრებას ისეთი საცეცები აქვს, როგორც გინდა გვერდი უარო, ვერ გაექცევი, რაღაცნაირად მაინც შეგეხება და ეს ერთი შეხებაც უკვე იმას ნიშნავს, რო შენც ისეთი ხარ, როგორიც ყველა, ჩვეულებრივი, ხრწნადი მოკვდავი.

ის მყრალი, მსუსხავი საცეცები ყველგან არის, სულ ყველგან, თითქო არ ჩანს, მაგრამ მაინც გრძნობ რო უხილავად დაცოცავენ.

ყოველ დამე კოსტა ძიაზე ვფიქრობ. წარმოსახვაში გხედავ ჩემს ძველ მასპინძელს, რომელიც ხელს მიქნევს,

თავისი რობერთხა სმით მეძახის, მაგრამ ვერ მივდივარ, წინ დიდი უფსკრულია, თითქო საშინელი მიწისძვრა იყო, გასკდა მიწის ქერქი, იქით კოსტა ძიაა, აქეთ, მე.

დღედაღამ „ჩემი“ ოთახი მელანდება. ნივთები იქ დამრჩა, იმ ციცქა თთახში, რომელიც გამოტენილი იყო სტუ-
დენტობის დროს ნაყიდი წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით.

ვარა ძალოს სმაც ჩამესმის.

— გეყოფა წიგნების კირკიტი, ამო პური შეჭამე, — მიხ-
მობს კოსტა ძიას მეუდლე.

— პო, ამოვალ ეხლავე.

— ვიცი, შენი ეხლავე, ხო იცი, კოსტა ლუკმას არ
გატეხავს შენ გარეშე.

მივანებებდი თავს წიგნებს. ვარა ცხელ-ცხელი ჭახრა-
კინებს დამახვედრებდა. კოსტა ლვინოს ჩამოასხამდა.

ეს კაცი, ერთმა ჩემმა თანაკურსელმა ოსმა გოგომ —
ზალინამ გამაცხო. ახალი ჩაბარებული მქონდა. ბინას
დავეძებდი ცხინვალში, რო ქირით მეშოვა. ზალინამ წამიყ-
ვანა. მარქსის ქუჩაზე, მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობს,
ბიჭები „ორჯონიკიძეში“ ჰყავთ, ოთახს აქირავებენო.

მაშინ გავიცანი კოსტა. სამოცდაათს გადაცილებული,
ახმახი ოსი, პირხმელი, ვეება შავი ულგაშებით, კენიანი

ცხვირით, უხორცო ყვრიმალებით და ნაცრისფერი თვალებით.

შეგვრთი მის დანახვაზე. კოსტას ცოლი წამიძღვა და პირველ სართულზე, პატარა ოთახი მაჩვენა, რომელიც გასაქირავებლად ემეტებოდა.

ვარამ უფრო სხვანაირი შთაბეჭდილება დატოვა. არ ვიცი, რა ძალამ მიბიძგა, დავთანხმდი და ასე გავხდი კოსტას მდგმური.

თვეში ორმოცი მანეთი უნდა მეხადა. ორი თუ სამი თვე იყო გასული და კოსტამ ფული აღარ გამომართვა.

— ეს ფული, შვილო, სხვა რამეში გამოგადგება, სტუ-დენტი კაცი ხარ, ფული შენ უფრო გჭირდება. ჩემი ბიჭებიც შენი ტოლები არიან, ერთი ოცდაერთისაა, მეორე ოცდასამის. აიდე ეს ფული და იცხოვრე ჩემთან. აგა, შენი ოთახი, როგორც გინდა, ისე გამოიყენე. საჭმელად მაღლა ამოდი ხოლმე, ხელი გამომიწოდა. ცოტა დავიბენი, მაგრამ უცბათ გამოვფხიზლდი.

სასწავლებლიდან თუ შემაგვიანდებოდა, საძებნელად მოდიოდა ხოლმე.

— ფხიზლად იყავი, ვგრძნობ, როგორ დვივდება ჩვენ ხალხში ქართველებისადმი სიძულვილი, ხიფათს არაფერს

გადაეყარო. მეც ბიჭების პატრონი ვარ, რუსები შუდლს აგდებენ ჩვენს შორის, ოსები ამას ვერა ხვდებიან, ვგრძნობ, რო დიდი ამბები დაიწყებაო, — კოსტას ხმა თითქო ახლაც ყურში ჩამესმის.

საღამოობით ხეივნის ქვეშ ვარას სუფრას გააშლევინებდა ხოლმე. პატარა საწდეთი ღვინოს გამოიტანდა, თბილი დაისლამე შემოგოგმანდებოდა ცხინვალში, ზაფხულის დაისლამე, ლიახვის საამური შხუილი ისმოდა.

— მოდი, ქალო, აქეთა, ჩამოჯეჭი, მუხლი შეასვენეო, — ცოლსაც დაუძახებდა.

— ჩემი მეგობრებიდან ბოლოს ესდა შემრჩა. — ცოლზე ამბობდა. ზოგი სიკვდილმა წამართვა, ზოგი ცხოვრებაშ შეცვალა და ვარ აესე.

— ჩვენი წინაპრების დიდება იყოს. ჩვენ წინაპრებში მარტო ოსებს როდი ვგულისხმობ, ჩემი გვარი რო აქა ცხოვრობს, ამ მიწაზე, მაჩაბლების დამსახურებაა. მაჩაბლები მაგარი ხალხი იყო. პაპაჩემის მამა — ბათირა მოჯამაგირედ ედგა მაჩაბლებსა, გაჭირვებულ-უპოვარი კაცი. ეხლა რო ალაგირია, იქ ერთი პატარა ოსური სოფელი ყოფილა, ცოლ-შვილს რო ვედარ არჩენდა, ბარში სარჩოს საძებნელად წამოსულა. უხეტიალია, უფრატუნია იმ ცხო-

ნებულსა და მაჩაბლის მოურავს გადაჰყრია. მოურავს ბატონთან წაუყვანია, ბათირა ისეთი ვაჟკაცი იყო, მამაჩე-მისგან გამიგია, მთას მოგლეჯდაო, ცხვარსა ჭამდა ერთ ჯერზე თურმე, მაჩაბულსაც თავისთან აუყვანია, ხან რას აკეთებინებდა, ხან რასა. თანდათან ბათირამ ბატონის ნდობა დაიმსახურა და მაჩაბულს ფული მიუცია. ამ ფუ-ლით ცოლ-შვილიც ჩამოუყვანია, ბატონის მამულში დაუ-სახლებია. როცა აქაურ გლეხებს ბატონის წინააღმდეგ რაღაცეები დაუწყვიათ, ბათირას კბილებით დაუცავს, მა-მას ეძახდა თურმე. მერე მაჩაბლის მიერ მიღებული ფუ-ლით მამულები იყიდეს ბათირას შვილებმა და ცხინვალში დავსახლდით. აეს სახლი მამაჩემის აშენებულია, თუმცა... კოსტამ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, ამათ (ოსებს გუ-ლისხმობდა) ან მეხსიერება დაკარგეს, ან კიდევა, რუსების დაკრულზე ცხპვავენ... ჩვენი მიწააო... ეს, ესე არ გამოვა არაფერი. ხიდი ინგრევა, ხიდი. ჩვენი თაობა მიდის და მაგის უფრო მეშინია. ჩემი თაობის კაცებს ყველაფერი კარგად ახსოვთ, მარა, ზოგი უკვე აღარ არის, ვინც დარჩა კიდე, ამ მამლაყინწების შიშით ხმა ვერ ამოუღია. ამო-ღებენ და...

— გაგვიმარჯოს, — ჭიქა მომიჭახუნა კოსტამ — დმერთმა აცხონოს მათი სული.

* * *

ომმა ყველას თავისი დაღი დაასვა. ხასიათი შეგვეცვალა, სიკვდილზე ფიქრი მოგვეძალა. სიკვდილზე, რომელიც მალ-მალე გვახსენებს თავს.

ბინდი შემძულდა. დღის დაბერებას როგორ ველოდები, იცი?! ტანში მაჟრულებს, გული მაქვს დამძიმებული. როგორც კი მრუმე ქსოვილი შემოეხვევა შამბირეთის მთებს, სროლა ატყდება და ისეთი შეგრძნება მაქვს, რო მანათობელი ტყვიები, სივრცეს რო სერავენ საბოლოოდ ჩემს გულში ცივდება.

ვიდაც ზის არხეინად და ფულს შოულობს. ჩვენ ერთმანეთს ვკლავთ.

ვიდაც ქართველი კაცი, კარგა მუცელგატკვლეცილი მოვიდა სახლში, თან მხარზე კარაბინი პქონდა გადაკიდებული, სლოკინ-სლოკინით აანთო სინათლე, ჯერ ცოლი გააღვიძა, მერე აკვანს თეთრი ნაჭერი გადახადა, მძინარე თოთო ბალდს დასწვდა, ამ დროს მოფუტკნული იარაღი-დან ტყვია გავარდა, რომელმაც ახლად მოვლენილი

ბავშვის სიცოცხლე შეიწირა. ურცხვად გადააბრალა შვილის სიკვდილი იმ კაცმა ოსებს.

შემოვლითი გზა გაგონილი გექნებათ. ქოჩორა მთა მაინც გეცოდინებათ. მართლა ქოჩორივით მოჩანს მთის კორტოხზე წიფლის ტყეები. ომის დროს აქ შემოვლითი გზით სარგებლობდნენ ლიახვის ხეობელები, ფქვილი და საჭმელ-სასმელი გადაპქონდა ლიახველ ქართველობას, რო იქაურ სოფლებს ესულდგმულა. სწორედ იმ შემოვლით გზაზე დაწვეს ოსებმა ლიახვის ხეობელი ქართველები. ხეზე მიაბეს და ისე დაწვეს. იმ ვაჟკაცების ხორცის სუნი დიდხანს იდგა ტყეში.

ქართველებმა ერთი ოსი გამოიჭირეს, შუა ზამთარში ჯერ ყინულიან წყალში აყურყუმელავეს, მერე ოსების დროშა საკუთარი ხელით ნაკუწ-ნაკუწ დააჭრევინეს...

ოსებმა...

ქართველებმა...

სადამდე მივედით. როგორ შემოძვრა, როგორ შემოფლითა სული ეშმაკმა და უცბათ გაიდგა ბოროტებამ ფესვი.

— საწყალი თენგიზა, — მეუბნება ჩემი ძმა და დანანებით თავს იქნევს.

- აბა, თენგიზა.
- მართაანთ თენგიზა.
- ჰოო.
- მოუკლავთ.
- რას ამბობ, – შუბლზე დავიდე ხელი, თითქო სიცხეს ვიმოწმებდი.

– ვის მოუკლავს? – გული ჩამწყდა. სკამზე დავეშვი...
თენგიზასნაირი კაცი ბევრი არ დადიოდა ჩვენს სოფელში.
უდალატო კაცი იყო, მშრომელი, იმისი ხმამაღალი სიტყვა
არავის ახსოვს.

– ვის მოუკლავს და... დღეობაში წასულა უბედური. –
ნიკოსაც ცრემლი ჰქონდა თვალზე მომდგარი. – შელაპა-
რაკებულან, ამას უთქვამს ამ ცხონებულს, კაი კაცი ყველა
„ნაციაშიაო“, თხებშიც არის ბევრი ვაჟპაცი, ვისთანაც
დალაპარაკება შეიძლებაო.

– ამას დედა ოსი ჰყამსო, – უთქვამს ვიღაცას და ამ-
დენი მთვრალი კაცი ერთიანად დასევია საწყალ თენგი-
ზას. უმოწყალოთ უცემიათ და ექიმამდე ვეღარც მიუღწე-
ვია...

ნიკო ნერვულად აწვალებდა მოვერცხლილ ხანჯალს.
ამოაძრობდა ქარქაშიდან, ისეგ ჩააგებდა. საცოდავ თენგი-

ზაზე გული დამეწვა, იმაზე ვფიქრობდი, ბრძომ როგორ გაიმეტა ახალგაზრდა კაცი სასიკვდილოდ და მერე რისთვის, სიმართლე თქვა, სხვა ხომ არაფერი.

ნიკო ისევ აწვალებდა ხანჯალს, თითქმ ვიდაცას ემუქრებოდა, შურისძიებას აპირებდა. ეს ხანჯალი...

გიორგობისთვეში რო აუარება ხალხი მიაწყდა ცხინვალს, მიტინგის ჩასატარებლად ჩამოსულ ადამიანებს ვგულისხმობ, იმ ჯგლითში, ერთი კაცი გაუცვნია ცხონებულ მამაჩემს, რომელმაც მერე ქალაქელი სტუმარი, სახლში წამოიყვანა. ახლაც თვალწინ მიდგას. სვანური ქუდი ეფარა, მაღალ-მაღალი კაცი იყო. ეს ხანჯალი მან დაგვიტოვა. რო დავინახავ, უმალ ცხინვალის მიტინგი მახსენდება...

- უნდა წავიდე!
- სად უნდა წახვიდე?
- კოსტა უნდა ვნახო ცხინვალში.
- ეე, ვინ არი ესა, დაეტიქ, შვილოსა, ძალად შარი ხარ?
- რა გინდა კაცო.
- როგორ თუ რა მინდა, მე მეგონა ხუმრობით მეუბნებოდი, ამხელა კაცი ხარ, ჭურში ხო არა გძინავს?

- პო, კარგი, აღარ წავალ, — ვუთხარი ნიკოს და ცოტბა დამშვიდდა. სიგარეტი ამოიდო და გააბოლა.
- ეგენი რა სანდონი არიან... მაგათ რა სინდისი მოეკითხებათ. თამბაქოს კვამლს ამოაყოლა სიტყვები...

* * *

ჯერ არ შედამებულა. ჯერ დდის ნათელია. აღმოსავლეთით გადავიდა მზე, ნელ-ნელა მოიპარება ცოტაც და ბინდი ჩამოწვება.

მე გზადაკარგული მგზავრივით მივდივარ. ცხინვალის მისადგომებთან ატენილი სროლის ხმაზე გავჩერდი, ყური წავუგდე. ორმხრივი სროლა ოციოდე წუთს გაგრძელდა და მერე ისევ გაყუჩდა მიდამო. გზა გავაგრძელე. ქართველი ჯარისკაცების პოსტი გამოჩნდა. ვეება კარავი. კარავის გვერდით სამხედრო მანქანები და ჯავშანტრანსპორტიორები იდგა. კარვის წინ ქვიშით გატენილი ტომრების კედელი აღმართულიყო. გზა ვეება ხის შვერილით ჩაეხერგათ. იქვე, მსუბუქი მანქანა იდგა. მძღოლს ჯარისკაცები საბუთებს უჩხრევავდნენ და გაშვებაზე უარს ეუბნებოდნენ. წითელი 06-ის მძღოლი ეხვეწბოდა, ლამის იყო მუხლებზე დაცემულიყო, ფულსაც სთავაზობდა, მაგრამ ჯარისკაცები

მაინც არ უშვებდნენ. საგუშაგოს მივუახლოვდი. საბუთები მომთხოვეს. პასპორტი ვაჩვენე.

— სად მიხვალ? — მკითხა ტანმაღალმა, ქერა რიგითმა.

მე გულწრფელად მოვუყევი ყველაფერი. კოსტა ძიაზეც ვუამბე. ისეთი სახით მიყურებდა ჯარისკაცი, ისეთი თვალებით, რო აშკარად გადარცული ვეგონე.

„ვერ არი, ვიდაცაა, ვინ კოსტა ძია, ამას სადა ჰგონია თავი“.

ჩემი ლაპარაკი, მეორე ჯარისკაცმაც მოისმინა, რომელმაც თავხედურად მკითხა:

— პატრონი გყავს?

მე ხმა არ ამომიღია.

— წადი აქედან...

ერთი სიტყვით არ მიშვებდნენ ცხინვალში. არც მე, არც იმ წითელი 06-ის მძღოლს, რომელიც თბილისში დაბადებული და გაზრდილი ოსი იყო. ბოლოს, არ ვიცი, რა მოხდა, რა ჭკუაზე დადგნენ, იფიქრეს, ალბათ, ჯანდაბის იქითაც ჰქონიათ გზაო და, — გაგვიშვეს.

— ვისთან მიდიხარ? — მეკითხება მძღოლი და თან სარკეში მაკვირდება.

— კოსტასთან მივდიგარ, მარქსის ქუჩაზე ცხოვრობს.

— კოსტა... — თქვა და ჩაფიქრდა, — ვინ არის კოსტა
მარქსის ქუჩაზე... იფიქრა, იფიქრა და მაინც ვერ მიხვდა.

— ერთი კოსტა ვიცოდი, მაგრამ როდის ის მოკვდა. ეგ
მითხარი როგორ გარისკე წამოსვლა, მე თბილისელი ოსი
ვარ, დედაჩემი ცხინვალში ცხოვრობს, წნევადარტყმული
ქალი და იმის გასაყვანად მივდივარ და შენ... ეხლა ოსებს
ჩემი მტერი ჩაუვარდეს ხელში. ცოცხლად გაატყავებენ
ადამიანს. დაწყნარებულიყო და ისე გენახა ის შენი კოს-
ტა... კოსტა გიშველის კაცო?

ზღუდრის ფერდობზე დავეშვით.

— აგე, რუსების პოსტიც, — რუსი „მშვიდობისმყოფელუ-
ბის“ საგუშაგოზე მიმანიშნა მძღოლმა. ერთი მე ვარ დედა
ტერეზა და მეორე ეგენი მშვიდობისმყოფელები. მაგათ
არიეს ყველაფერი. ფეხებზე არ კიდიათ? პასპორტი დამა-
ლე, თორე თუ გიპოვეს...

რუსების პოსტს მიუახლოვდა მანქანა.

მძღოლი მანქანიდან გადავიდა, რუსებს საბუთები აჩვე-
ნა, მერე საბარგული აუხადა და ისევ მანქანაში ჩაჯდა.

— ესენი რო წაეთრევიან, მერე ყველაფერი კარგად იქ-
ნება, — რუსების მისამართით შეიგინა თბილისელმა ოსმა.

აქ რა სიკვდილი უნდათ, სამართალი აღარ არის? ამ ოსებსაც ტვინი აქვთ ნაღრძობი.

რუსების საგუშაგოდან, სულ რაღაც კილომეტრნახე-
ვარში ოსების პოსტი იდგა.

ნიკოს მტუქსავი ხმა ჩამესმოდა.

— რამ წაგიყვანა ამხელა კაცი, ტვინი სადა გქონდა,
ომში, უბედურებაში რამ მოგაფიქრა ცხინვალში ჩასვლა.

წარმოვიდგინე, როგორ დამიჭერენ თსები. ცემა-ტყეპით
წამათრევენ და მერე...

გულისცემა გამიხშირდა, თითქო სუნთქვაც მიჭირდა,
მძღოლმა ოსების საგუშაგოსთან მანქანა შეაჩერა, ფანჯა-
რა ჩაუწია და ხელისაწევით მიესალმა.

— ირონდა? — მანქანის სარკმელთან დაიხარა წვერგაუ-
პარსავი ფორმიანი ოსი და მანქანას მოავლო თვალი.

— ირონ, ირონ, — გაუდიმა მძღოლმა.

თსებმა „შლაგბაუმი“ ახსნეს და ზღუდრიგვერდას
ფერდობიდან წითელმა 06-მა მარცხნივ ჩაუხვია.

— სტადიონის გავლით აღარ წავედი, — თქვა მძღოლმა,
იქაც პოსტი აქვთ, ვაითუ ეჭვი აიღონ... მცირე ხნის შემდეგ
მანქანა შეაჩერა და თვალებში მომაჩერდა.

— უნდა გადახვიდე, ძალიან მეხათრება, მაგრამ სხვა გზა არ არის. მე ჩემს თავზე ნაღდად ვერ ავიღებ. შეიძლება ცუდ რამეს ვაკეთებ, მე ეროვნებით კი ოსი ვარ, მაგრამ თავს ქართველად ვთვლი... რა ვქნა, — ენა დაება.

— არაფერი, — ვთქვი, დავემშვიდობე და მანქანიდან გადმოვედი.

ფეხით ავყვვი ცხინვალის ერთ-ერთ ძველ ქუჩას, სადაც კაციშვილი არ შემხვედრია, თითქო სადღაც, უდაბნოში მოვხვდი. ძე ხორციელი არ ჭაჭანებდა. ხანდახან ქალაქის განაპირა ტერიტორიიდან, სადაც ლიახვის ხეობის ქართული სოფლები იწყება, სროლის ხმა მოისმოდა. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის გაბმული ხმა არღვევდა ქალაქში დასადგურებულ მყუდროებას. ოსები ქართული სოფლების მიმართულებით ისროდნენ.

ქუჩა ისე ავიარე, მხოლოდ ორიოდე მსუბუქი მანქანა დავლანდე. რუსების „ბეტეერმაც“ ჩამიქროლა. კარგა ხანს ვიარე მიყრუებული ჩიხებით და მარქსის ქუჩასაც მივაღწიე. შორიდანვე მომხვდა თვალში კოსტა ძიას ალაყაფის კარი. გული გამინათდა, სულში უცნაური სითბო ჩამედვარა, თუმცა ეჭვმა დამიწყო ღრღნა, ვაითუ შინ არ დამხვდენ და ტყუილად ჩამოვედი. მართალია დიდი სიყვარული

მქონდა ოსი მასპინძლების მიმართ, მათი ნახვის სურვილ-მა მოსვენება დამიკარგა, მაგრამ... იქნებ აქ აღარც ცხოვ-რობენ, ან იქნებ... არც მიმიღონ. ომია, ომი სახესაც უცვ-ლის ადამიანებს და ხასიათსაც.

ვარა ძალომ გარი და რო დამინახა, სახტად დარჩა. რა გაეკეთებინა. არ იცოდა, ხმას ვერ იღებდა, იდ-გა ეგრე კარში და შემომცქეროდა. მერე უცებ ხელი მომ-კიდა, მომქაჩა, ეზოში შემიყვანა და კარი ჩაგმანა.

— რამ ჩამოგიყვანა! — ჩურჩულით დამელაპარაკა ქალი. აქ ისეთი ამბებია... ერთი ქართველი არ დარჩა, ყველა წა-ვიდა, ის კი არა, ვისაც ქართველი ნათესავი ჰყავდა, ისი-ნიც შავ დღეში ჩაყარეს. შიგნით შევედით.

კოსტა ტახტე იყო წამოწოლილი.

რო დამინახა, ჯერ თვალებს არ უჯერებდა. შემდეგ ჭაბუქური სისხარტით წამოხტა. გულში ჩამიკრა და ცრემ-ლი ვეღარ შეიმაგრა.

— როგორ გაბედე აქ ჩამოსვლა შვილო! რანაირად მოახერხე?

— რო არ მენახეთ, არ შემეძლო. ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებდი. თქვენ იმხელა ამაგი გაქვთ ჩემზე... — ჩავი-ბუტბუტე.

ვარა შეშინებული მზერით მომჩერებოდა.

- ჩამოჯექი, – ტახტე მიმანიშნა კოსტამ.
- ხომ გახსოვს, როდის გეუბნებოდი, რო ეს ამბავი მოხდებოდა.
- მახსოვს, – თავი დავუქნიე.
- უტვინო ხალხი ვართ. რა ხდება ჩვენს თავს, წარმოდგენაც არ გვაქვს. ეს ამბავი ვიღაცამ კარგად დაგეგმა, ჩვენი ხელით უნდათ მზაკვრული გეგმის შესრულება.
- შენ წადი, – ცოლს მიმართა კოსტამ, – კარები ჩაკეტე.
- ჩაკეტილია, – ჩურჩულით უთხრა ქალმა.
- ბალის კარიც ჩაკეტე, – ვარა გარეთ გავიდა.
- ხომ არავინ შეგამჩნია, რო აქ შემოხვედი? – მკითხა კოსტამ.
- არავინ არ შემხვედრია, ქუჩები ცარიელია.
- შენიშნებულია ხალხი, გარეთ ვერ გამოდის, წუხელ მეორედ მოსვლა მეგონა, ისეთი საშინელი სროლა იყო, ფანჯრები ჩაიმტვრა, ისე, ძალიან გამიკვირდა შენი დანახვა და რაღაც უცნაურ სიამაყეს ვგრძნობ.
- კოსტამ ხელი გადამხვია.
- ვაჟპაცი ყოფილხარ!

* * *

- ძაან მეშინია, კოსტა.
- რისა გეშინია?
- რისა მეშინია და ბათოსი მეშინია, — კოსტას ძმის-წულს გულისხმობდა ვარა, რომელიც ცხინვალში მცხოვრებ ქართველებს აწიოკებდა.
- ბათომ რო გაიგოს, ამასაც მოკლავს და ჩვენც ზედ მიგვაყოლებს.
- ნუ გეშინია, — დააიმედა კოსტამ. — საიდან გაიგებს.
- ვაითუ, ვინმემ დაინახა, ბათოს რო ამბავი მიუტანონ დავიღუპებით.
- ნუ გეშინია მეთქი! — კოსტას ხმა გაუმკაცრდა. — ამ ბავშვს რო ვინმემ რამე აწყენინოს... — მაპინძელმა კბილები გააკრაჭუნა.

* * *

- ეს ლამე გაათენე და ხვალ დილით უნდა წახვიდე, — მითხრა კოსტა ძიამ, — რა ვუყო, შენი გაშვება არ მინდა, მაგრამ რადაც ხიფათს გადავეყრებით, ვიღაც შეგამჩნევს, მოგვივარდებიან და შარში გავეხვევით, ამიტომ ჯობია, რო წახვიდე, — ნაცრისფერ თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

დაღამდა, წყვდიადი ჩამოწვა ცხინვალში. გაბზარული სარკმლიდან თიბათვის დამე მოჩანდა. ქალაქში სროლის ხმა ისმოდა.

ვარამ სუფრა გაგვიშალა. წინა დღეს გამომცხვარი ხაჭაპურები გააცხელა. კოსტამ ლვინო ჩამოასხა.

მცირე ხანს ვისაუბრეთ, ქართველებსა და ოსებს შორის ატეხილ დავიდარაბაზე, მერე კოსტას საწოლს მივაშურე და... უცბათ გამახსენდა ჩემი ოთახი, სადაც სტუდენტობის წლები თვლემდნენ.

— „ადამონ ნიხასის“ წარმომადგენლები იყვნენ მოსულები, გაიგეს, რო ჩვენთან ქართველი სტუდენტი იყო მდგმურად, — თქვა კოსტამ, — აატრიალეს მთელი ოთახი, რა ჯანდაბას ეძებდნენ, არ ვიცი. ხვალ დაათვალიერე, ებლა დაისვენე...

მთელი დამე თვალი არ მომიხუჭავს. ვგრძნობდი, რო არც კოსტას ეძინა. უცბათ ხმაური გავიგე და სმენად გადავიქმი. ცოლ-ქმარმა ტახტი მიახოხა იმ ოთახის კართან, სადაც მე ვიწევი.

კოსტას ცული ედო თავთით.

თეთრად გავათენე ის დამე. არც მე მომიხუჭავს თვალი, არც ჩემს მასპინძლებს.

დილაუთენია წამოვდექი. ვარას ჩაი აედულებინა. უგულოდ ვისაუზმე. ვიდრე წამოვიდოდი, „ჩემს“ ოთახში შევაბიჯე, ყველაფერი აქოთიალებული იყო, წიგნები უწესრიგოდ ეყარა.

— ვეღარ მოვიცალე, რო დამელაგებინა. — თავი იმართლა კოსტას ცოლმა, — გულიც არა მქონდა, გული გაუხმეთ...

ძირს დავიხარე და ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ ავიდე. „გიგა ფავლენიშვილის საკუთარი წიგნებიდან“, ნაყიდია ცხინვალში, 3.05.1990წ.

გამახსენდა ის დღე, როცა ეს წიგნი ვიყიდე. უცნაური სევდა მომაწვა. თითქო ყველაფერი დასრულდა. მივდიოდი და ჩემი ახალგაზრდობა აქ რჩებოდა, ამ ციცქა ოთახში. ჩემი ხელით შეგროვილ სტიპენდიით ნაყიდ წიგნებს შორის. რაღაც ოსური გაზეთი ვიპოვე, რუსულენოვანი წიგნი გაზეთში გადავახვიე და მასპინძელს დავემშვიდობე.

ცრემლი უბრწყინავდა ნაცრისფერ თვალებში კოსტა ძიას.

— რამოდენა გული გქონია... — მისი ბუტბუტი მომესმა, როცა ეზოდან გამოვედი.

ახლა მხოლოდ განგებას ვიყავ მინდობილი.

ფეხით უნდა გამევლო ცხინვალი.

ოსების პოსტს ვერაფრით გვერდს ვერ ავუვლიდი.

პირჯვარი გადავიწერე. ზღუდრის გორაკისაკენ გამექცა მზერა. ნამყოფი ვიყავი ამ გორაკზე, სტუდენტობის დროს თანაკურსელს წავყევით ბიჭები. დედის საფლავზე ავიდა ჩვენი თანამერხელი. მაღლა ვეება სასაფლაოა, სადაც ერთად, გვერდიგვერდ არის ქართველებისა და ოსების საფლავები და იქ არც ომია, არც არაფერი, მარტო სიმშვიდეა, საოცარი სიმშვიდე, როგორც ყველა სასაფლაოზე.

იქვეა, წმინდა გიორგის სალოცავი, რომელიც უმოქმედო იყო. წამიკითხავს ერთი უცხოელი მოგზაურის წიგნი, რომელშიც ეს სალოცავიც იხსენიება, აქ თურმე წმინდა გიორგის კბილი ინახებოდა, და მერე დაკარგულა.

სალოცავისაკენ გამირბის მზერა, მაგრამ აქედან ეპლუსია არ ჩანს, ხეები ეფარება. კოპიტის კორომში შემალული ციცქნა ტაძარი.

ეს სალოცავი თუ მიშველის...

მივდივარ, ცარიელი ქუჩის ტროტუარს მივუყვები, გულში ლოცვას ვამბობ და ამ ლოცვაში ვადგამ ნაბიჯებს. საშინელი განცდა ამყვა. თითქო წუთები მაქვს და-თვლილი. ვეღარსად გავეცვი გავეშებულ ოს „ბოევიკებს“,

დამიძახებენ და როგორც კი გაიგებენ, რო ქართველი ვარ, მაშინვე მესვრიან, მერე საღმე მიმფლავენ და ჩემი საფლა- გიც არავის ეცოდინება.

ახლა მარტო დმურთზე ვფიქრობ.

მუხლებათროლებულმა გამოვიარე ის ადგილი, სა- დაც ოსების საგუშაგო იდგა, ჩემს ბედად, ფორმიანი თხები იქვე გაჩერებულ „ბეტეერთან“ იყვნენ მიხროვილნი, ყურადღება არც მომაქციეს. თუმცა, მე ყოველწამს ველო- დი... სიკვდილს ველოდი... მშვიდობიანად ამოგუყევი ზღუდ- რის ფერდობს, სანამ რუსების პოსტოან მივაღწევდი, გო- რაკისაკენ მივტრიალდი, მუხლებზე დავდექი და პირჯვარი გადავისახე...

ელიზბარი

— ელიზბარ! როგორ დაათრევ ამ ჩამწარებულ-ჩაბალ- დამებულ სიბერეს, იქნებ აღარცა ლირდეს ამ დაბნელებუ- ლი მზის ცქერა. თითქო სამუდამოდ დადამდა შენოვის, რაღაც უხილავი კრეტსაბმელი გადაეფარა მნათობს და წყვდიადია ირგვლივ. ის ოხერი სიკვდილიც... სად ჯანდა- ბაშია, სად მოუსავლეთში, აღარ მოვიდა, აღარ მოგაკითხა. „ის სატიალო, ამ ჯეელ ბიჭებს რას ერჩოდა, მოთრუელი-

ყო და მე წავეყვანე, მე ჩემი გავლიე მაინცა, ავად თუ კარგად ჩავამთავრე“, – დგახარ ახლა და ელოდები, ის კი იგვიანებს. ხელმოცარული მგზავრივით ხარ, შე საცოდავო.

„ხელმოცარულ მგზავრს კიდე რა უშავს“, – ფიქრობს ტახტე ჩამომჯდარი მოხუცი, და გამხდარ ყვრიმალებზე ჩამოგორებულ ცრემლს, აკანკალებული ხელით იწმენდს. სახრჩობელამდე მისვლას ცოტადა უკლია. ამ გაძაღლებულ ცხოვრებას ერთხელ და სამუდამოდ დაუსვამს წერტილს და მისი ტანჯვაც დასრულდება, მაგრამ...

ბოლოს იმედი კვდებაო, – ნათქვამია და გულის კუნჭულში რო ფეთქავს, ის პატარა იმედის ნამცეცი აძლებინებს, „იქნებ არ გამწიროს ბედმა, ბოროტება არასოდეს ჩამიდენია“, განვლილი ცხოვრება დაუდგება თვალწინ, ახალგაზრდობის, თუ სიჭარმაგის წლები, „ვითომ ესე გამწირა უფალმა?“ ვერ იჯერებს. „იქნებ ცოცხალია, ჰა“. აღმოსავლეთის კედელზე ხუთიოდე წლის წინ გარდაცვლილი მეუღლის სურათს შეავლებს თვალს.

მღიმარი თვალებით უმზერს მეუღლეს მართა, მაგრამ ელიზბარს ეს დიმილი სხვანაირად ეჩვენება. თითქო შავჩარჩოში მოქცეული ქალის მზერა მეუღლეს საყვედურს უუბნებოდეს. როგორ ვერ მოძებნე შენი შვილი? ჰა...

„ვერ მოვძებნე“, – ქვითინი ბდავილში გადაუვა, ახლოს მივა კედელთან, მეუღლის სურათს ჩამოილებს და მდუღარე ცრემლებით დასტირის.

„მაპატიუ, მართა, მაპატიუ, გენაცვალე, ალბათ ასე უნდოდა ლმერთსა, მართალია, გვარის გამგრძელებელი აღარა გვრჩება, მაგრამ ვალმოხდილები ხომ ვართ, სამშობლოს შესწირა თავი ჩვენმა შვილმა. რომც დამეშალა, ის მაინც არ გაჩერდებოდა. ალბათ ჩვენი ბრალია, რო ესეთი გავზარდეთ...“

ერთავად შინ არის ჩაკეტილი. აღარავის დანახვა აღარ უნდა. ყველაფერი მობეზრდა. შვილის ტანსაცმელს გამოალაგებს, მის პერანგებსა და შარვლებს ყნოსავს, შვილის სუნი ჯერ კიდევ შერჩენიათ. ეს სუნი აძლებინებს... საღამოობით მეზობლის კაცები შემოდიან, შვილდაკარგულ მამას ხეივნის ქვეშ ჩამოუსხდებიან და ათას რამეზე ესაუბრებიან, რო როგორმე გული გადააყოლებინონ, ხან ომზე საუბრობენ, რუსეთ-საქართველოს ომზე, ხან ახალ ამბებზე...

- კიდევ აპირებენ თურმე, – ამბობს ვანო.
- არ მოისვენებენ, – ეთანხმება ზაქრო.

— ე, ჩვენ რა გვეშველება, ეგ არის საქმე, — კითხულობს გურამა.

— აბა, რავი რა გვეშველება.

ელიზბარისათვის სულ ერთია. ადარც მოსალოდნელი ომი აფიქრებს და ადარც არაფერი. მისთვის ყველაფერი დამთავრდა. გაჩერებულ დროში ცხოვრობს. თენდება, დამდება, მაგრამ დრო მაინც არ გადის... მას ასე ეჩვენება.

* * *

— მაისურაძე,

ვანიშვილი,

მურლულია,

ნამიჩეიშვილი,

ლაბაძე... — გული შეეკუმშა ელიზბარს, — ვაიმე, შვილო! — დაიღრიალა, ისეთი ხმით დაიღრიალა, რო პოს-პიტალის წინ მდგომ დაჭრილების მშობლებს, თუ ახლობლებს თეთრწვერიანი ბერიკაცისაკენ გამოექცათ მზერა...

ელიზბარი პოსპიტალის კარს მივარდა, მაგრამ სამხედრო ფორმიანმა კარისკაცებმა არ შეუშვეს.

— გამატარეთ, თქვე უდმერთოებო, თქვენა! — ყვიროდა ელიზბარი, — გული არ გაქვთ კაცო? ჩემი ბიჭია აქა.

- ვერ შეგიშვებთ, ძია კაცო, აკრძალული გვაქვს, – უთხრა კარისკაცმა, მაგრამ ელიზბარი მაინც არ მოეშვა.
- როგორ თუ არ შემიშვებთ?!
- ნებართვა არ გვაქვს, – ცივად უთხრა მეორე კარისკაცმა და ელიზბარის გაალმასებულ მზერას სახე მოარიდა.
- ჩემი შვილია, ადამიანები არ ხართ, იქნებ რა უჭირს, დაჭრილია, ოხ! – ლამის ძარღვები დაასკდა ყელზე.
- აქ ყველაფერს გაუკეთებენ, დაწყნარდით, გახედეთ,
- იქ მყოფი ადამიანებისკენ მიანიშნა კარისკაცმა ელიზბარს. ელიზბარმაც გაიხედა, ზოგი რკინის დობესთან ჩაცუცქულიყო, ზოგი ფეხზე იდგა, ტიროდნენ, ვიშვიშებდნენ.
- ყველა შენ დდეშია, მაგრამ აქ არ უშვებენ.
- ელიზბარს უნდოდა ეთქვა, ეგ ერთი ბიჭი მყამ ცასა და ქვეყანას შუა, მზე და მთვარე მაგაზე ამომდისო, მაგრამ თითქო ენა ჩაუვარდა, პოსპიტალის კართან ჩაიმუხლა და ქვითინი დაიწყო.
- კარისკაცები ამშვიდებდნენ, მაგრამ ელიზბარს მათი ლაპარაკი არ ესმოდა. მერე უცბათ წამიერად თავი ასწია, ცრემლიანი, დაოსებული თვალებით გახედა პოსპიტალის შენობას, ფეხზე წამოდგა, კარს ბებერი ხელებით მოეჭიდა

და ისეთი ძალით შეაჯანჯდარა, კარისკაცებს გული კინა-
დამ გაუსკდათ.

— რას აკეთებ, კაცო!

— უღმერთოები ხართ, უღმერთოები, თქვენი...

კარისკაცებმა დაცვის სხვა თანამშრომლებს მოუხ-
მეს. ერთ-ერთი მათგანი ელიზბართან მივიდა, ხელი მოკი-
და, დაამშვიდა, ისეთი თბილი სიტყვები უთხრა, რო ელიზ-
ბარმა კარს ხელი გაუშვა და დაცვის თანამშრომელს
მუდარით სავსე თვალებით შეხედა.

— წამო ჩემთან, ძია, — უთხრა ფორმიანმა.

ელიზბარიც გაჰყვა. ფორმიანმა ელიზბარი პოსპიტა-
ლის ეზოში შეიყვანა. ბერიკაცმა უკან მოიხედა და კარის-
კაცებს ნადვერდლიანი თვალებით შეხედა...

— აკი არ შეიძლებაო, თქვენი... ზოგი როგორი დაიბა-
დება.

— აქ დამიცადე, ძია, ეხლავე გავიგებ თქვენი შვილის
მდგომარეობას. გვარი მითხარი.

—ლაბაძე.

— სახელი რა ქვია?

— ზაზა, — თქვა ელიზბარმა და ლამის გული გაუჩერ-
და.

პოსპიტალის ეზოში იბორიალა, ვიდრე ის კეთილი კაცი პასუხს გამოუტანდა.

— სად დაიჭრა ნეტა, ან როგორ დაიჭრა, ვაიმე, შვილო, — ტუჩები დაიჭამა ნერვიულობით. — ვინ იცის, რა დღეშია, იქნებ სისხლი ჭირდება, — დადიოდა და თავის თავს ელაპარაკებოდა.

— ამ დღეს რა მამაფიქრებდა, ბედნიერია ჩემი ქალი, რო ამ ამბავს არ მოესწრო.

სირენაჩართული სასწრაფო დახმარების მანქანები მალ-მალე შემოდიოდა პოსპიტალის ეზოში, საიდანაც საკაცებით გადმოჰყავდათ ომში დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები.

ელიზბარი ნერწყვგამშრალი შესცემოდა და ბუტბუტებდა:

— ვაიმე შვილო, ამას რას მოვესწარი, ამასა. ეს რა დაგვემართა, რა უბედურება დაგვატყდა.

მერე კეთილი კარისკაციც გამოჩნდა.

ელიზბარს მუხლები ეპეცებოდა. თვალზე ბინდის უხილავი ქსოვილი გადაეკრა.

— სხვა ლაბაძეა, — უთხრა ფორმიანმა.
— როგორ თუ სხვა ლაბაძეა.

- პოო, სხვა არი, თქვენ შვილს ხო ზაზა ჰქვია.
 - პოო, – ამოიხავდა ელიზბარმა.
 - დაჭრილი არის რუსლან ლაბაძე.
 - რუსლან ლაბაძე... – ჩაიბუტბუტა ელიზბარმა.
 - პო, საოპერაციოში ჰყავთ.
- ელიზბარი თითქო დამშვიდდა, მაგრამ გული მაინც ცუდს ეუბნებოდა.
- თითქო წავიკითხე ჩემი ბიჭის სახელი ეწერა.
 - აბა წამო, გნახოთ, – წინ გაუძღვა კარისკაცი.
- პოსპიტალის წინ უფრო მეტი ადამიანები იდგნენ, ვიდრე წელან და თითქო ელიზბარმა წააქეზა, დაჭრილი ჯარისკაცების მშობლები თუ ახლობლები, პოსპიტალში შეშვებას ითხოვდნენ.
- ლაბაძე რუსლანი... – წაიკითხა დაცვის თანამშრომელმა, ელიზბარს შერცხვა, თავი ჩაღუნა.
 - კარგად იყავი ძია, – გამოემშვიდობა ფორმიანი და პოსპიტალის ეზოში შევიდა.
 - როგორ ვერ წავიკითხე... რა არი სიბერე... – ბუტბუტებდა ელიზბარი.

* * *

მკვდრებშიც ეძებდა, მაგრამ... ვაი იმ ძებნას.

მაშ რა ექნა, უკვალოდ გამქრალიყო მისი ერთადერთი ბიჭი. ისდა დარჩენოდა, რო ეგებ შვილის ცხედარი მაინც ეპოვა და ომში დაღუპული სისხლიერი ლირსეულად გაეპატიოსნებინა.

კანდელაკი,

გველესიანი,

ქართველიშვილი,

მაჩაიძე,

დაღუპულთა სიაში კითხულობდა, შიშით დაზაფრულ-მა, აკანკალებული თითი ჩამოაყოლა დაღუპულთა გვა-რებს. „ღმერთო, შენ დამიფარე, ღმერთო შენ დამიფარე“, – მიმჯგნარ სახეზე ბებრული ცრემლი ჩამოსდიოდა და თოვ-ლისფერ წვერში უჩინარდებოდა, გრძნობდა რო უცბათ დაპატარავდა, გაილია, დაჩიავდა და მილასტულ ბებერ-კაცად გადაიქცა.

სახვაძე,

ჯვარშეიშვილი,

ცრემლიანი თვალებით ძლივს ჩაიკითხა სია.

ლაბაძე არ ეწერა... ცისკენ მადლიერებით სავსე მზერა გაექცა. უნდოდა, რო ქვეყნის გამჩენი დაენახა და მადლო-

ბა გადაეხადა. შვილგადარჩენილი მშობლის მადლიერებას სხვა მადლი აქვს...

დამშვიდდა, მაგრამ ვეღარ მოდიოდა იმ ადგილიდან, სადაც დაღუპულთა სია იყო გამოკრული. თითქმ სასწაული არ უშვებდა. დაღუპული ბიჭების გამწარებული მშობლების სახე დაუდგა თვალწინ, და თითქმ ყინულიანი წყალი დაასხესო, ისე გააკანკალა, მარიამობისთვის დურდურა მზისქვეშ შეამცირნა...

მერე თვალი გაექცა გვერდით. დამწუხერებულ ადამიანებს დააკვრიდა, რომლებიც ელიზბარის მსგავსად იმ საშინელ ფურცლებს მისჩერებოდნენ და ეძებდნენ, ან შვილს... ან სისხლით ნათესავებს. ისევ აუგარდა ტირილი, გულაჩუყებული ბალდივით სლუკუნებდა ბერიკაცი.

მერე იქვე მდგომი ახალგაზრდა, ორმოცს მიტანებული კაცი მიუჟახლოვდა, ელიზბარს თანაგრძნობის ნიშნად ხელი დაადო მხარზე.

ელიზბარმა, უცხო კაცს ახედა.

– უნდა გავუძლოთ, ძია კაცო, სხვა გზა არ გვაქვს.

ელიზბარმა თავი ჩაღუნა, მიწას დააშტერდა და მოეჩვენა რო ქართველი ჯარისკაცების სისხლის ტბორი იდგა...

* * *

ახლა ტყვებზე ფიქრობს ელიზბარი. იქნებ... იქნებ ტყვედ ჩავარდა ზაზა. ომში ეგეთი რაღაცებიც ხომ ხდება. წარმოიდგინა, როგორ აწამებენ გადამთიელები, სცემენ, აფურთხებენ, ფეხით დგებიან, შვილის გამწარებული სახე, ნაგვემი მზერა გაუალვებს და შლეგიანივით წამოხტება. – „მე ასე, არხეინათ ვარ აქა და ვინ უწყის, ის რა დღეშია“, – ფერდაკარგული დარბის წინ და უკან. – ვაიმე, შვილო, ვისთან მივიდე, ვის შევჩივლო, რა გავაკეთო“. „რაღაცა იღონე, მამი გევედრები, აქ არ დამტოვო, თორემ ჩემი ხელით გამათხრევინებენ ეს წუნკლები საფლავს“, – მუხლებზე დაწოქილი, ხელებშექრული ზაზა ეზმანება. იქვე, ზაზას გვერდით სხვა ქართველი ჯარისკაცებიც არიან, ისინიც ნაცემ-ნაწამები, თვალებშეშუპებული, საცოდავი სახით იმზირებიან და შველას ევედრებიან.

– არა! – დაიყვირა ელიზბარმა, – ჩემი შვილი მტერს ასეთი არ დაენახვება, გამორიცხულია. ის კი არა, არ ახსოვს ოდესმე ზაზას ეტიროს. მის თვალებზე ცრემლი არასოდეს შეუმჩნევია. უტეხი ბიჭია. გაუძლებს, ყველაფერს გაუძლებს. ომია, ომს მოთმინება ჭირდება, გაძლება, ცრემლები? ცრემლების დრო არ არის ახლა. გულის მოოხება მერე... როცა სიკვდილის კალოდან გამოაღწევენ ბიჭები.

სამხედრო შტაბს მიაკითხა.

მისთვის არავის არ ეცალა. ფორმიანი სამხედრო ჩინოსნები წინ და უკან დარბოდნენ. რუსულმა ავიაციამ ყველა დაბნია, მოურიდებლად ყრიან ბომბებს. არ ედარდებათ ვინ დაიღუპება. გორი უკვე აღებული აქვთ. ბებერი ციხიდან ხუთჯვრიანი დროშა ჩამოხსნეს და გამარჯვებას ზეიმობენ. დედაქალაქს უკვე სწვდება რუსული ტანკების რახრახი და არაყვადაკრული ვანიას, თუ პაშას ყიუინა.

ვის აქვს ელიზბარის დარდი.

- წადი, ძია, ხომ ხედავ რა დღეში ვართ.
 - ლაბაძის მამა ვარ!
 - ვინ არი ლაბაძე? – ეკითხება ოფიცერი ყასიდად.
 - ზაზა ლაბაძე, მეორე ბრიგადის კაპრალია.
 - არ ვიცი, არ ვიცი, – მირბის ოფიცერი.
 - მოიცა, – უკან მისდევს ელიზბარი.
- ოფიცერი უკვე მანქანაში ზის.
- არც დაჭრილებშია, არც დაღუპულებში, – ჩახლეჩილი ხმით ყვირის ელიზბარი.
 - ვერ გეტყვი!
 - იქნებ ტყვედ ჩავარდა, ვისა ვკითხო, შვილო, სად არის უფროსი, „ხაზეინი“ ხო გყავთ.

- არ ვიცი, არ ვიცი, ტყვეებისა არაფერი ვიცი, დაღუპულებიც ვერ გამოგვიყვანია...
 - მაშ ვისა ვკითხო, – ამოიხავლა ელიზბარმა, მაგრამ სამხედრო ფორმიანს მისთვის პასუხი აღარ გაუცია.
 - თფუი, შენი... – ვეღარ შეიკავა თავი და გინება მიადევნა, – ან მამა არ გყამ, ან პაპა? აფსუს ჩემი ზაზა! – ცრემლი ჩამოუგორდა თვალებზე.
- „რა ვქნა, ვის მივმართო“, – თავისთვის ბუტბუტებდა ელიზბარი. ვითომ ტყვედ ჩავარდა? ვინ იქნება იმისი პატრონი, სანამ ომი არ დამთავრდება, ტყვეებს ყურადღებას ვინ მიაქცევს. ცხადი თუ სიზმარი ჯოჯოხეთად გადაექცა. უნდოდა საკუთარ თავს გაქცეოდა, საშინელი ფიქრებისაგან თავი დაეღწია, მოსვენება დაკარგა. ყოველ დამით, ფეხ-შიშველი გამოდიოდა ნამდაფენილ აივანზე და მთის კორტოხზე ჩამომჯდარ ბებერ მთვარეს შესცქეროდა, უდიმდამოდ რო ბეუტავდა. თითქმ თანაბრად გაელიათ ზენარისგან ბოძებული წუთისოფლის ბილიკი მას და ელიზბარს და ყველაზე მეტად ისინი უგებდნენ ერთმანეთს.
- ესეც ჩემსავით არი მილეული, ცოტაც და... დათვლილია ამ მთვარის დღეები, როგორც ჩემი დღეებია დათვლილი, ერთად ვუახლოვდებით სამანს, წუთისოფლის სამანს,

თუმცა ის გაცილებით ბედნიერია ჩემზე, ძველ მთვარეს ახალი შეცვლის, ამ გალეული, მიბჟუტული მნათობის ნაცვლად, ოქროსქანდიანი წოპტოპა მთვარე ჩამოეკიდება ცაზე.

მთვარესაც კი რჩება ვიღაცა, მემკვიდრე, სახელის გამგრძელებელი... მეც შევადარე ჩემი თავი, მწარედ ჩაეცინა ელიზბარს. მთვარეს უნდა დარჩეს, მთვარის გარეშე რა ფასი ექნება ქვეყნიერებას, ახალი მთვარე გამოვა, მერე ის მთვარეც დაბერდება, მერე კიდევ ახალი მთვარე ამობრდლვიალდება, ისიც დაბერდება, ასეც უნდა იყოს. ე, მე კიდე, ელიზბარი ვითომც ყოფილა, ამ ქვეყანზე და ვითომც არა... ვინ რას გაიგებს, თითქოს არც მოვსულიყვე.

— ეგრე არ არის, — ჩასჩურჩულებს ორეული.

— ჩიტი რო ჩიტია, ერთი ჩიტის სიკვდილითაც იცვლუბა სამყარო. რაღაც აკლდება, თითქოს ისეთი აღარ არის, როგორც იმ ჩიტის არსებობის დროს იყო.

აღარ ეტევა ფიქრები თმაგაცვენილ თავში, აღარ ეტევა, იტყვი საცაა თავის ქალა გასკდებაო ისეთი შეგრძნება აქვს. შევა ოთახში და თითქო პირდაღებული სამარე უცდიდეს. ცივი, გაყინული ლოგინისაკენ გადადგამს მძიმე ნაბიჯებს.

* * *

ომი დამთავრდა. სისხლის წვიმებმა გადაიღო. ცხვირ-პაჭუა რუსებმა უკანასკნელად ისამხრეს კარალეთის ვეება ჭადრების ქვეშ. დანის წვერებით მოფხიკეს ხორცის კონ-სერვიანი ალუმინის ქილები, მერე ბუზდუნ-ბუზდუნით აჭ-ამცეს სამხედრო კარვები, ეკლიანი მავთულიც აახვიეს, ხელები დაეკაწრათ და უფრო მეტად გაგულისდნენ, „აკი გაზაფხულამდე ვრჩებითო“.

„გიჟი ქორწილში შევიდაო...“ აქაური დვინო და არაყი ენანებოდათ. – ნეტა უფრო ბევრი გვესვაო. ახსენდებოდათ დვინის მოუხდელი კასრები და ტუჩებს იკვნებდნენ. – რა მოხდებოდა, რო გაზაფხულამდე ვყოფილიყავითო.

აადრიხინეს ჯავშანმანქანები, ტანკები, ბეტეერები და კიდევ რადაც ჯანდაბები, რომლის სახელიც არ ვიცი.

- აკი არ გავლენო?
- ეხლა ოცდამეერთე საუკუნეა, ის დრო ადარ არი, ეგზეპუციებს რო აყენებდნენ.
- რუსისთვის სულ ერთია რომელი საუკუნეა. – ჩურ-ჩულებდნენ გლეხები და რუსების ტანკებს, რომლებიც ჩრდილოეთით დაიძრნენ, თვალს არ აშორებდნენ.

ელიზბარიც გასქცეროდა რუსების ტანკებს, მაგრამ სახეზე ვერაფერს შეატყობდით, მისთვის თითქო სულ ერთი იყო...

* * *

მათეს მოტანილმა ამბავმა მოსვენება დაუკარგა ელიზბარს. მათე, მედვინე არსენას ბიჭს ერქვა, ელიზბარის ბადის ბოლოში ედგათ სახლი. არსენას ბიჭი სარწყავი წყლის გამოსაშვებად ყოფილიყო ასული ქვაფთის ჭალას-თან, იმ ჭალის იქით ოსების მიერ გადამწვარი ქართული სოფლებია. სწორედ იქ უნახავს მათეს, მდინარის პირას, დაუმარხავი ჯარისკაცების ცხედრები...

თითქო უკვე იპოვა შვილი, საბოლოოდ არ გაწირა უფალმა, საფლავი ხომ მაინც ექნება, შვილის საფლავი. უსაფლავო სისხლიერს ახლა მაინც გააპატიოსნებს...

ზაზას სურათზე დამხობილა ელიზბარი და ზლუქუნებს, იმ ჯარისკაცების მშობლებს შენატროდა, რომლებმაც ომში დაღუპული შვილები დაიტირეს. ელიზბარმა შვილის საფლავიც არ იცოდა.

ახლა თითქო შვილის ნეშტი უხმობს „ამოდი, ამომხედვე, ეპალმა და ბარდმა გადაიარა ჩვენს ძვლებზე, მიწის

ნატრულები ვართ...“ – ზაზა ეჩურჩულება, – „მამა, მომხედე!.. ეს ბიჭებიც გააპატიოსნე“.

– მათე!

– ჰო, ძია ელიზბარ!

– გამამყე, შვილო!

– სად გამოგყვე? – მათემ ელიზბარს შეხედა.

თმა-წვერ გაბურძგნულ მოხუცს დაკეცილი ტომარა ამოედო იღლიაში.

– შენ რო იყა, ჯარისკაცების ცხედრები რო ნახე...

– ჰოო, – მათემ საქოჩრე მოიქექა, – როდის წავიდეთ?

– ეხლავე წავიდეთ, შვილო, ზაზა მეძახის!

– ზაზა? – გაკვირვებით თქვა მათემ.

– ჰო, ჩემი ბიჭი მეძახის, მომხედეო, მიწა მომაყარეო, მამა მოუკვდეს.

ელიზბარს შეშლილ სახეზე შეაჩერდა მათე.

„საწყალი“ – გაიფიქრა.

* * *

– მოხვედი?

– მოვედი, მამა გენაცვალოს.

– გაგახაროს დმერთმა, რახან მიწის მიყრას ვეღირ-სები.

– სად აღარ გეძებე, შვილო, მთელი ქვეყანა შევძარი, მაგრამ... თურმე სად ყოფილხარ, მამა მოგიკვდეს, შენ უნდა მოგეყარა ჩემთვის მიწა.

– მთავარია რო მიპოვე...

– ვიცოდი, რო გიპოვიდი, გული მიგებდა...

მათეს არ ესმოდა ეს საუბარი, ცრემლმორეული იდგა და ელიზბარს დასცექეროდა, რომელიც ეპალ-ბარდებით დასისხლიანებული ხელებით მზეზე გამომშრალ უცნობი ჯარისკაცის ძვლებს ეფერებოდა...

2010 წელი, აღდგომა

დიცი

საძირეები

– იმ დალოცვილი კვირტების ჭირიმე! რა ხელზე გამამატანა კაცო, რა ხელზე... თან რა უცნაური რამე იყო, უცხვირპიროს ტყუილა როდი ეძახდნენ იქაურები. კაი

წვალება დამჭირდა მაგრამა, უწვალებლივა, უშრომლათა, ვის რა მოუწევია. ჯერ იყო და იმ მწარე საძირეების ჩამოტანის დროს რა მოგვივიდა. ახირებული კაცი ხარო, აბესალომმა. ნამყენების მეტი რა იყიდება, შე კაი კაცოო, ბაზარი ნამყენებს მიაქო, ლიახვის პირას რო ბაზრობა არი. აეგრეა გაფენილიო, ვერცა ყიდიანო. მერე რა ჯიშები აღარა აქვთ, მარტო მოიკითხეო. ჩემი საქმისა, მე ვიცი, მეთქი – ვუთხარი. პაპაჩემმა, იმ სულკურთხეულმა რო ბალი გააშენა, როდინდელი ხეებია, – ჩაფიქრდა ამირანი და დადარული შუბლი მოისრისა, დაკოურილ თითებზე ჩამოითვალა წლები, მაგრამ მაინც ვერ იანგარიშა, ლამის საუკუნისანი არიან და როგორ ვაშლს ისხამენ, შარშანწინ რო გადავაკაფინე სერგოს შვილიშვილსა, დალოცვილმა როგორი ნაზარდი აიყარა, უცბათ აიყარა და დაიჯოშა, მერე როგორი ვაშლი მოისხა, უჰ, თვალი მამცა და მაცქერინაო, ვაჭრები რო მოდიოდნენ, თათარი ვაჭრები ბაირამობისთვინ რო ყიდულობდნენ, წუნი ვერ შეპქონდათ, „იახში ალმა“, „იახში ალმას“ – გაიძახოდნენ. ჯერ კაი ხანს გაძლებენ პაპაჩემისეული თურაშაულები, იმიტომ რო ძლიერ საძიერეზე არიან, ძირი როგორიც არი, ნაყოფიც ისეთივეა. ესენი კიდე, ჩემი მეზობლები, აუხირებიათ, ნა-

ხევრად ძლიერიო, ვიდაც ქარაფშუტა კაცმა მოიგონა, იმი-
ტომაც უხმებათ ეგრე თვალსა და ხელს შუა. გაიხარებენ,
მოისხამენ, იდივლივებენ და მორჩა, მერე ან თაგვი შემო-
ურბენს ზამთარშია, ერთიანად შემოაცლის ქერქსა, მერქ-
ნამდე დაიყვანს, ან არადა ფეხვის სიდამპლე გაუჩნდებათ,
ანაყარ ყლორტებზევე შეატყოფ, სიმწვანე რო არა აქ, ყვი-
თელ, მოხრუკულ ფოთლებზე ეტყობა, რო დიდი დღე არ
აქვთ. წყალში ჩაგეყრება ამდენი ნაწვალ-ნადაგი. ტყისა
კიდე, სულ სხვა რამეა, დალოცვილი, ჯერ ისა, რომა
მწარეა და თაგვი სათოფეზე ვერ ეკარება, ურბენს, ურბენს
ზამთარში, ჩაიმწარებს პირსა ის კბილებგასახმობი და
თავს ანებებს, მერე კიდე რამოდენა იზრდება, ნაყოფსაც
ძლიერს ისხამს.

— იმ ნამყენების გაგონება აღარ უნდა აბესალომსა, —
ეცინება ამირანს. — ი, ჩვენი რძლის ძმას შევუთვალე სოგ-
რასა ჯვარეთშია, რო ვაშლის საძირეები მინახე, მამიგრო-
ვე და ამოვალ-მეთქი, — სოგრაც წავიდა შუაცხვირის ტყე-
ში. შუაცხვირს ეძახიან, იმ მთასა ხეობელები. ავიდა ტყის
ვაშლები დაიგულა და შემამითვალა, ამო, გინახე და
წიაღეო. ვანკაანთ ბიჭიკოსა ვთხოვე, საწვავს ჩაგისხამ, ნუ
დამზარდები და ჯვარეთიდან ჩამამატანინე საძირეები-

მეთქი, კაი ლვოისსულიანი ბიჭია, წამამყვა, აბესალომსაც ვთხოვე, წამო შენცა, ერთი ნაკვეთი ცარიელი გაქ, კაი ბადი გააშენე, ი, შენი ბიჭი კი მუშაობს, მაგრამა რა იცი, რა დრო მოდის, ბადი თავისას იტყვის-მეთქი. ჯერ არ მოდიოდა – ნამყენის მეტი რა არი, დაგაბარებ და ამოვა-ტანინებ, რადა იქიდან ვათრიოო, წვალებაც ხო უნდაო, მერე როგორც იქნა დამთანხმდა და წავედით სოგრასთანა.

სოგრას კარებწინ, მიწაში მიეფლა, რაც საძირეები დაეთხარა, მაგრამ რო დავითვალე, არ გვეყოფოდა და ტყეში წავედით. იქვე, სოფლის თავზე, ფოხალას გორაკს ეძახიან, ავედით და ტყის ვაშლების გარშემო, რაც ბარტყები იყო ამოხეთქილი, მოთხოვა დავიწყეთ. კარგა ბლომად მოვაგროვეთ. ადრიანი გაზაფხული იყო, ჯერ არ დაეწყო მცენარეებს სუნთქვა, მარიამობისთვეში დამყნობაც მოესწრებოდა. სოგრამ მაჟალო დაგვიკონა და ის იყო ფერდობზე დავეშვით, რო ამ გამოჩერჩეტებულ აბესალომს ქვაზე წამოეკრა ფეხი და კვიტი გორგალივით დაგორდა ამოდენა კაცი. ნამყენს ვიღა ჩიოდა, კაცო, საით მოვისროლეთ სოგრას შეკონილი ტყის ვაშლის საძირეები დაგენახათ, აბესალომს მივარდით, ცხვირპირიდან სისხლი მოსდიოდა, უცბათ ჩამოგბანეთ, ლოეა და წარბი ჰქონდა გაფუჭებული,

ნუ გეშინია, საიმისო არაფერია-მეთქი, მაგრამ პატარა ბალლივით ყვიროდა. ვერა და ვერ წამოვაყენეთ. იმხელა ბეხლერწას ხან აქედან ვეჯაჯგურეთ, ხან იქიდან, მაგრამ ვერაფერი. თურმე მარჯვენა ფეხი კოჭში ჰქონდა გადამტვრეული. ბიჭიკოს „ვილისზე“ დავდეთ და წამოვიყვანეთ. რაც იმან გზაში მლანძლა, – შენი ნათქვამა კაცი ხარო, გითხარი და არ დამიჯერეო, ნამყენის მეტი რა ყრია ბაზარშიო. აეს მიყო შენმა ახირებამაო. ტყის ვაშლი შენა და ჯანდაბაო. მამალი ეშმაკივით შემახტა მხარზე ეს ოხერიო, – ეუბნებოდა ბიჭიკოს. ბიჭიკოს ულვაშებში ეღი-მებოდა აბესალომის ლაპარაკზე, მაგრამ არ იმჩნევდა, სარკიდან ჩუმჩუმად გახედავდა ხოლმე.

ერთი სიტყვით, სოგრასთან ასვლა კარგა ძვირი და-ვუხვი აბესალომსა, ჯერ ხო რაიონის საავადმყოფოში წაიყვანა ბიჭმა და ფეხი თაბაშირში ჩაუსვეს, ყავარჯნები დააჭერინეს. იმის სახლისწინ ვეღარ გამევლო და გამომევ-ლო, აბესალომის ცოლი წყევლით მიკლებდა, ბალი შენა და ამოწყვეტაო, რა დღეში ჩააგდე საწყალი კაციო!

ერთი თვის მერე, თუ უფრო მეტი დრო იყო გასული, თაბაშირი ახსნეს ამ ჩემს დონდლო მეზობელსა, სურათი გადაუდეს და არაო, სწორად არა აქ შეხორცებული, ოპე-

რაცია უნდაო. ახლა დედაქალაქში წაიყვანეს, ოპერაცია გაუკეთეს, რკინის ჯოხები ჩაუმაგრეს ფეხში და ჩამოიყვანეს.

გარეთ ვეღარ გამოვდიოდი, რადა გამეცეტებინა არ ვიცოდი. ერთი ნაკვეთი მქონდა ნაჭარხლარის ბოლოზე, წითლუანთ გოდერძას სახლთან. გოდერძა და მამაჩემი დაუბრებულები იყვნენ მთელი ცხოვრება, მამაჩემი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან გოდერძასთვის ხმა არ გაუცია. გოდერძა ჩვენ ნაკვეთს ეპოტინებოდა, რამდენი აღარ შემომთავაზა, ხან ვინ გამომიგზავნა, ხან ვინა, მაგრამ ვიცოდი, როგორ გაჯავრდებოდა იმ ქვეყნად მამაჩემი და გავრეკე გოდერძას მოციქულები, ბოლოს აბესალომის ამბავმა ისე დამბოლმა, ავდექი და მივადექი გოდერძას, ფული გამოვართვი და ნაკვეთი მივეცი. ჩემს მომიჯნავეს თვალები ეშმაკურად უციმციმებდა, აკი არ მოგყიდითო, აგრა თუ არ მამყიდეთ. რა ჯანდაბათ უნდოდა, ერთი ბიჭი ჰყამდა, წელიწადში ერთხელაც არ ჩამოდიოდა ქალაქიდან. თვითონაც ორი პარასკევი წინ აღარ ჰქონდა, მაგრამ ხარბი კაცი იყო.

მივუტანე ეს ფული და აბესალომის ცოლს მივეცი.

ჩემს საქმეზე ვიყავით, რაც დაემართა ჩემი ბრალია და მაგ ფულით საავადმყოფოს ხარჯები გაისტუმრეთ-მეთქი. აბესალომი არ მინახია, მოვერიდე, ლანძღვა-გინება არ დამიწყოს-მეთქი.

საღამოს მეზობლის ბავშვი გამოეგზავნა და ის ფული უკლებლივ უკან გამოეტანებინა. თან იმ ბალდმაც სიტყვა-სიტყვით მომიტანა რაც დააბარა.

ეგ ფული გოდერძას ჩაუტანოს, ნაკვეთი უკან გამო-ართვას და თავი დედისა მეორეთი აღარა ჭამოსო.

ჩავყარე სოგრას გამოტანებული საძირეები. გვიან შე-მოდგომით გადავატრიალე მიწა, ცალფრთიანით გადავატ-რიალე, მერე ჩემს იღბალზე, კაი გვარიანი ყინვები დაიჭირა. იმ წელიწადს თოვლიც მუხლამდე მოვიდა და სანამყნე ნაკვეთი ქუმელასავით გახდა. პაპა ენაცვალოს ჩემს გიორ-გისა, იმის სახელობაზე ჩავყარე და ოოგორც პაპაჩემი-სეულ ვაშლებს შევხარივარ ეხლა, ისიც ალბათ ეგრე იქნებოდა ერთ დროსა, როცა დავიწყებული ვიქნებოდი. რა ჯიშები უნდა გაუშვაო, შემამიჩნდა დალილაანთ ზაქრო, კეხურას ვაპირებდი. ტყის საძირეზე დანამყნებული კეხუ-რები რა იქნებოდა, ოჲ, ოჲ, ოჲ.

— ერთი კარგი რამე უნდა გითხრაო, — ზაქრომ.

- აბა გისმენ-მეთქი.
 - ღვარები ხო იციო.
 - აბა, ღვარები-მეთქი.
 - ღვარები, კაცო, სოფელი როაო.
- თავი დავუქნიე, როგორ არ ვიცი-მეთქი.
- აიქა ცხოვრობს ერთი კაციო, ანდრო ჰქვიაო. უცხვირპიროს ეძახიანო. მაგასა აქვს კეცურები, იმის დედა ვატირე, საყურებლად მიდის ხალხიო.
 - შენ რა იცი-მეთქი.
 - ჩემი მოყვრის მოყვარე ცხოვრობს ღვარებში. ერთხელ ვიყავი და ეგეთი ბალი არსად მინახიაო. ვაშლის უნახავი გავხდიო. ერთხელ აშენებ ბალსა და თუ გააკუთებ, ბარემ ჯიშიანი ვაშლი დაანამყნე, საძირე რო კარგია, კვირტიც ხო ხელს უნდა უწყობდესო. აემ საძირეზე რო ღვარებიდან წამოდებული კვირტი გაუშვა, შენისთანა ბალი რაიონში არავის ექნებაო.
- საძირები ჩავყარე, გაზაფხული დადგა, მიწამ სუნთქვა იწყო, მზემ ძალა მოიდგა, მაჟალომაც გამოიტანა კვირტი, ერთი არ მოცდა. ეხლა მარიამობისთვეს ველოდებოდი, რო ზაქრო თავის მოყვრის მოყვარეს სოფელში წამეყოლებინა და იმ უცხვირპირო კაცისგან კვირტები წამომედო.

— ვინმე უნდა მივუგზავნოთო, — ზაქრომ მითხრა, — განა ეგრე იოლად კი არ მოგცემსო, უცხვირპიროს ტყუილად კი არ ეძახიანო. ისეთი კრიუანგი და გოთვერანი კაცი ჩანს, რომა, შეიძლება სულაც ხელცარიელები წამოვიდეთო. წავედით ერთ დღისითაც ღვარებში. ჯერ ზაქროს ნათესავთან გავჩერდით, რო შეიტყო ჩვენი სტუმრობის მიზეზი, ჩაეცინა.

— გუშინაც იყვნენ, ვიღაც უცხოები, ერთი ისეთი ჯიშის მსხალი უდგია, რაიონში არავის აქვს, წითელი მსხალია, ეხვეწნენ, ემუდარნენ და მაინც არ გაატანა, ფულიც შესთავაზეს, მაგრამ უარი უთხრა.

მაინც წამოგვყვა უცხვირპირო მეზობელთან.

ჯერ ბადი შეგვათვალიერებინა შორიდან. იფ, რა ნახა ჩემმა თვალებმა, ჩემი თავი მეურნე, მშრომელი კაცი მეგონა და მშრომელი რას ერქვა, ეხლა მივხვდი. თვალს ვერ გაუწვდენდით იმოდენა ბაღსა, რაღა აღარ ხარობდა. რა ჯიშის ხეხილი აღარ იყო. მერე როგორი მოვლილი, ერბო აიკრიფებოდა, ისე ჰქონდა დაგვილ-დამარმარებული. რო მივედით ჯაურასა დგამდა და მეზობლის ბიჭები ეხმარებოდნენ. ანდრო დაგროვილ თივას აწვდიდა ჩანგლით. ბიჭები ჯაურას ტკეპნიდნენ და მაღლა-მაღლა მიიწევდნენ.

თითქო ვერც დაგვინახა, ყურადღება არ მოგვაქცია. სამოცდაათს გადაცილებული იქნებოდა, ნაჯაფარ მკლა-
გებზე ძარღვები დაბერვოდა და ზაფხულის თაკარა მზეს
თითქო მთელი სიმხურვალე მის ხმელ ტანზე დაეხარჯა,
ლაპლაპი გაუდიოდა, ბეჭებზე ალაგ-ალაგ მზით დახრუკუ-
ლი კანი აქერცლოდა.

„ტყუილა კი არ დაურქმევიათ უცხვირპირო“, — გავი-
ფიქრე, მართლა კაი უშმური ჩანს. ცოტა ხანს ეგრე ვი-
დექით დაუპატიჟებელი სტუმრები, მერე ზაქრომ თვალით
ანიშნა თავის მოყვრის მოყვარეს, მიდი ეხლა უთხარი და
თუ მოგვცემს, მოგვცემს, თუ არა მაგი პატრონი დედაცაო,
ამოვიკითხე ჩემი მეზობლის თვალებში.

არ ვიცი, რა თვალზე დამინახა უცხვირპირო ანდრომ,
რომელსაც ცხვირიც ჰქონდა და პირიცა, შემომხედა, მიყუ-
რა, მათვალიერა, კარგა ხანს მაკვირდებოდა. მერე გვითხ-
რა, ცოტა ხანს დამელოდეთო, მოკოკოლავებული ჯაურა
მოამთავრებინა ბიჭებს, ზვინს გვერდები ჩანგლით ჩამო-
ბარცხნა, შემოაკოხტავა, ჯაურას სარზე წვიმის დროს
წყალს რო არ ედინა თივაში, ტოლი გადააფარა, მავთულ-
ამობმული ქვები ჩამოჰკიდა და ბოლოს ბალში შეგვიძლვა.

მივდექ-მოვდექი, ნამყენის დანა მოვიმარჯვე და ანდროს კეხურებს ქორფა ყლორტები ავაჭერი.

— რახან ანდრომ ხელცარიელი არ გამოგვიშვა, კაი წელიწადი იქნებაო, — ქირქილებდა ზაქრო, — ეტყობა კაი ხასიათზე იყო, ან შენ დაგინახა კაი თვალზე, ეგეთი უცნაური კაცი არ მინახიაო.

მეორე დღეს სერგოს შვილიშვილი წავიყვანე და ნამყნობას შევუდექით. კაი იღბალზე კი წამომყვა შობელბალლი. ხელმადლიანი გამოდგა. ყინვები კი დაიჭირა იმ ზამთარსა, ქვისტებვა იყო, ყაშვაში გაუდიოდა, რა ნამყენს უნდა ეხარა, რა კვირტი უნდა გადარჩენილიყო, მაგრამა... როგორც კი გაზაფხულდა, როგორც კი ძალა მოიდგა მზემა, ეს ჩვენი დანამყნებული საძირეებიც ამუშავდნენ, დაიბერა კვირტები, ერთი არ გაცდა დალოცვილი, წამოიდო და რა წამოიდო, ტყის საძირემ თავისი ქნა, მიწაცდონიერია და უცბათ აიყარა ნამყენმა.

აბესალომიც ჩამოჩლახუნდა ერთხელ ჩემს ბაღში, უყურა, უყურა, — კაი მამაძაღლი ხარ, ეს რო დაიძახებს, ისეთი გახდება, და, და, და, მერე ნახეო.

არც წყალი მამიკვლია, არც პატივი, ბარე ასი ტაჭკა შევაზიდვინე ბიჭებს. მთელ ბალს მოვდე, მოვფინე, ფეხი იფლობოდა.

უცბათ დაიძახა, უცბათ დაიჯიშა, მეოთხე, თუ მეხუთე წელი იყო და ნიშანი კვირტებიც გამოისხა, ყვავილი შევა-ცალე, დაიჩაგრებოდა.

ყმაწვილ გოგოს რო ადრე გაათხოვებ და ორსულობა-ში რო ზრდას შეუფერხებს, ნაადრევად რო დააქალებს, კბეც ეგრეა.

დავაცადე, დავაცადე, მაგრამ რა გამოვიდა... ადარც ნაყოფის მოწევა დამაცადეს, აღარც არაფერი. დაიწყო ეს არსახსენებელი ომი. თფუი, მაგის მომგონმა აღარაფერი მოიგონოს. ქალივით ვიწყევლები, მაგრამ ისე მაქვს გული დაჯავრიანებული, ჯერ ხო თვითმფრინავებივით გვარბენი-ნეს მაგ წუნკლიანებმა, პირდაუბანელებმა, ახია ჩვენზე... მერე ტანკები შემოახრიგინეს, ფეხათ ვერ ეტეოდნენ რუსე-ბი, ნემსი არ ჩავარდებოდა, ნემსი, მოედვნენ მთელ სოფელსა, სოფელში სად დაეტეოდნენ, ეგ უპატრონები და მთელი მინდვრები აიკლეს. ე, ხალხი გაიხიზნა, წავიდა დედაწულიანათ. როგორ გაამტყუნებ, არ წახვალ და, რაც ცაცუნას გაუკეთეს, სხვებსაც ის დღე ელოდათ. წადიო,

ეხვეწებოდა თავის ჯორზაქარა ცოლსა და არაფრით არ წავიდა, სადაც შენა, მეც იქაო. წადიო, ხან ეხვეწებოდა, ხან ემუქრებოდა, მაგრამ ჯიუტი ქალია. რუსები რო შემოვიდნენ, ცაცუნამ სახლში შეიპატიჟა, მარანში შეუძღვა, აქეთ არაყი პქონდა შუმის ბოცებით, წინა წელს გამოეხადა, ერთი დამპალ ჭანჭურს არ გააფუჭებდა, მეორე მხარეს კიდე, დვინოები, თან ნაირნაირი, ლომიაური გინდა, თხელ-ტვანა, ჩინური, თუ გორული, მაგრამ რუსებმა რა იცოდნენ, ან ჩინური და ან გორული.

გოჭიც დაუკლა. რო ვაქეიფებო, არაფერს მერჩიანო, – უბედურმა, ცაცუნამ საცა ერთი ლერი რუსული იცოდა, სულ დახარჯა. რო შეზარხოშდნენ რუსები, ქალები მოიკითხეს.

- ქალები სად არიანო.
- ქალები წასულები არიანო, – ცაცუნამ, მარტო ჩემი ცოლიაო. ერთი სიტყვით, თეკლეზე იძალავეს იმ უპატრონებმა. ცაცუნამ ერთი რუსი ცულით დაჩეხა შიგ მარანშივა, მაგრამ რა გამოვიდა, ავტომატით დაცხოვილეს უბედური, მე და ტაბიკაანთ თედომ დავმარხეთ ეზოშივე. რო წასულიყო ის ჯადო ქალი, ხო გადარჩებოდა საწყალი კაცი.

გრუებუნ-გრუებუნი გაუდიოდათ ბაღებში რუსების ტანკებსა, ამოდენა ჯარსა რა გააძლობდა, კაცო, შეესივნენ, შეთქვირულ ატამსა და ტოტებიანათ ჭამდნენ. ვინ იყო დამშლელი. საქონელი ხო გააწყვეს. ჩემს თვალწინ ესროლეს ჩემ დეკეულსა, თიმთიმი გაუდიოდა, კვერცხი დაასკდებოდა. თვალწინ მამიკლეს, თოკი მოაბეს და გაათრიეს. სულ რამდენი კაცი დავრჩით, თითზე ჩამოსათვლელები, დაცარიელებული სოფლის ცქერა არ გინდა? გამოკეტილ სახლებს რო დაინახავ კაცი, რა ჭიათუ უნდა იყო ჰა. შევქუჩდებოდით სადამოობით მე, ვიქტორა, ალექსა, გოგია და დაბოლმილი სახეებით შევცქეროდით ერთმანეთს. ეს რა დაგვემართა კაცო, ეს რა ლვოის რისხვა დაგვატყდა.

ჩვენც ხო რუსის ჯარში გვქონდა ნამსახურევი, ალთასა და ბალთას ვიყათ მგონი, ჯანდაბაში, მოუსავლეთში, ორი წლით ოჯახს მოწყვეტილები. იმისთვინ ვიყავით, რო რუსის ჯარს ეგრე წავეხდინეთ კაცო! ახია ჩვენზე, ყველაფერი!

სოფლის სკოლაში დაბანაკდნენ. ექიმებიცა პყავდათ, ექთნებიცა, მერე ალექსას ბიჭი მივიდა რუსებთან. ბარეთხუთმეტი წელი ცხოვრობდა რუსეთში და რუსულადაც სხაპასხუპით ლაპარაკობდა. რუსების უფროსს გაესაუბრა,

თურმე ისიც იმ ქალაქიდან იყო, სადაც ალექსას ბიჭი ცხოვრობდა.

— ნუ გეშინიათო, — დაგვამშვიდა ალექსას ბიჭმა, — არ დაგვხოცავენო, ესაო, სამედიცინო ნაწილი ყოფილაო. მოჰყავდათ და მოჰყავდათ დაჭრილი რუსი ჯარისკაცები, რუსის სისხლის სუნი იდგა სკოლაში. პაი დედასა, რას მოეთრევი, შვილოსა, რა ჯანდაბა გინდა, ცოლი გყამ, შვილი, ოჯახი, დაეტიო...

გენაცვალე ჩვენს ბიჭებსა, ისე უბრაგუნებდნენ რო აღარ ეტეოდნენ დაჭრილები.

ბარე ორი თვე დაჰყვეს ჩვენს სოფელში და ერთ საღამოსაც თვალებანთებული შემოვარდა ალექსას ბიჭი — მიდიანო.

ჩვენც წამოვცვივდით ფეხზე, ყველაფერი გადაგვავიწყდა.

ერთიანად აგრუხუნდნენ მზის ჩასვლისას რუსების ტანკები და შებინდებისას დაიძრნენ. ბარე საათნახევარი გაგრძელდა ტანკების რახრახი და, როგორც კი ბოლო ტანკი გავიდა სოფლიდან, ისეთმა სიჩუმემ დაისადგურა, იტყოდი, არც არაფერი მომხდარაო.

ისე, კიდევ კარგი ამდენი ტანკი შემოიყვანეს, თორემ

ვერაფერს გახდებოდნენ ჩვენს სოფელში. მე, ვიქტორა, ალექსი და გოგია ვიყავით და კიდევ რამდენიმე კაცი და ხუმრობა ხომ არ იყო, ვაი, მაგათ პატრონსა.

ბაღში გადავედი მეორე დილით, გადავედი და ნეტა არ გადავსულიყავი. გადახრუკულ, უდაბნოსავით გადამხმარ მინდორში ვერცა ვპოულობდი რა ადგილას იყო ჩემი ბაღი, ერთი ნამყენიც აღარ იდგა, დამხვდა მარტო რუსების მიერ ნათხარი სანგრები, ტანკებით გადატკეპნილი მიწა, რომელიც თევზისა და ხორცის კონსერვის ყუთებით იყო მოფენილი.

ღმერთო! თვალთ დამიბნელდა, მუხლებში ძალა გამომეცალა. ლამის პირქვე დავემხე, ქვაზე ჩამოვჯექი, უფრო სწორად ძალა გამოცლილი სხეული დავაგდე და ვაკვირდებოდი მინდორს. ტირილი მინდოდა, მაგრამ ცრემლი მქონდა გამშრალი.

— ამირან! — ხმა მომესმა. მოვტრიალდი და აბესალომი მოჩლახუნობდა. დავაკვირდი და ქალივით ქვითინებდა ამოდენა კაცი.

მოვიდა, მხარზე ხელი დამადო, ცრემლები მოიწმინდა.

— არ იდარდო, მთავარია, რო გადავრჩიო, ყველაფერს ეშველება. სახლსაც, ბაღსაც, მთავარია ოჯახები გვყვავს

კარგად. ნამყენის მეტი რა იშოვება, რამდენიც გინდა
იმდენია, თუმცა... – შემომხედა და ცრემლიან თვალებში
ღიმილი ჩაუდგა, – წავიდეთ და სოგრასგან ჩამოვიტანოთ
საძირები, ტყისა უფრო ჯობია.

მეც გამეცინა.

2010 წლის 4 მკათათვისა,
დიცი

ნაგენახარი

ხუთი ბიჭი ჰყავდა ტალიპ-ტალიკები. ერთს ერქვა
გურამი, მეორეს – ნიკოლოზი, მესამეს – ფიდო, მეოთხეს
– უშანგი, მეხუთეს – შაქრო.

ყველაზე პატარა შაქრო იყო ოთხი წლისა, იტყოდი
ერთავად არაყსა ხდისო, სახეგაშმარტლული, ქუსლებდა-
ხეთქილი, სამოსშემოკონკილი დადიოდა, არც სხვები იყვ-
ნენ ევროპულად მორთულ-მოკაზმულები. ხან ვინ აჩუქებდა
ტანსაცმელს სამადლოდ, ხან ვინ და იოლას გადიოდნენ.
მაგალოს კოლმეურნეობამ აუშენა სახლი. თავიდან ალი-
ზის ქოხი ედგათ და რო ვეღარ დაეტივნენ რაიკომის მდი-
ვანთან ჩავიდა მაგალო. ოთარაანთ ქვრივივით ჩავიდა და
აბა ნუ აუშენებდნენ. ორსართულიანი სახლი წამოუჭიმა
თავმჯდომარებ. ახლა ყველა დაეტია. ეზოში ერთავად
ბავშვების ურიამული იყო, მაგრამ ყველას შაქრო აჭარ-
ბებდა. ვიღაცას ესწავლებინა ლექსი: გამარჯობა კირილე,
გაგიმარჯოს ჭირიმე, სად მიდიხარ კირილე? გორში შენი
ჭირიმე, იქ რა გინდა კირილე, შვილები მყავს ჭირიმე, რამ-
დენი გყავს კირილე? ოცი შენი ჭირიმე, სახელები კირი-
ლე? დიმპი, ტაირო, როსტომ, ყაირო, ჭაპიტონი, ჭიპიტონი...

სოფლის საბჭოში რო სტენდი იყო, მაგალოს ფოტო იქ გამოეკრათ, საიდანაც ხუთი შვილის გამჩენ-გამზრდელი ქალი იმზირებოდა.

— უი, უი, ამ მოვარობასაც დაუდგა თვალი, ისე უსვა-
მენ თავზე ხელსა, ისე ელოლიავებიან, თითქო ცხრა ძმა
ხერხეულიძე გაეჩინოს ამასაცაო.

მაგალოსთვის ბევრს მიურბენინებია ამბავი, ამანა და
ამან შენზე ესე იჭორავაო. მაგალო წარბებს შერუჭხეავდა,
სახე წამოენთებოდა. ემაგან, თავის ჭირიან ბავშვს მიხე-
დოს და ჭლექიან ქმარსა ყველაფერს ურჩევნიანო. ვისი რა
საქმეა რამდენს გავაჩენ, ბოზობით კი არ მეყოლა შვილუ-
ბიო, როცა მაგათ ჩემმა ბავშვებმა წყალი და პური სოხო-
ვონ მერე თქვან რამე, მაგ ენაჩასაგდებებმაო.

მაგათ ჯიბრზე, მეექვსეც უნდა გავაჩინოო.

მაგალო ჯან-ღონიო სავსე ქალი იყო, ხუთი შვილი
გააჩინა, მაგრამ რა სამშობიარო, რა ექიმი და ბებია ქალი,
თვალითაც არ ენახა. ბებიობას თავისი ქმარი ლეო
უწევდა.

კოლექტივს ცალი ხელი მაგალოსკენ ჰქონდა გაწვდი-
ლი. ძროხა არა პყავდათ და მეცხოველეობის ფერმიდან
ორ-ორი მეწველი გამოუწერა თავმჯდომარემ. ყოველ ახალ

წლისათვის მაგალოანთა ათფუთიანი დორი იკვლებოდა. ისიც კოლექტივიდან მორთმული.

— ნეტაი ამათა, — ჩაიცინებდა მაგალოს მეზობელი პაპუნა და ცოლს შეხედავდა, — გაგეჩინა შენცა ბევრი შვილები, აგე როგორ დაუფასეს მაგალოს.

— მეხი მაგას დავაყარე, — მაგალოს კარ-მიდამოს ქოქოლას მიაყრიდა თამარი, — სამადლო არაფერი მინდა.

კოლექტივმა სხვებს თუ შრომა „შეაყვარა“, ლეო გააზარმაცა.

გული ზაფხულის ლუნგ დღეებში, როცა მთელი სოფელი ველ-მინდვრებში იყო გასული, ლეო კაკლის ქვეშ მხართეძოზე იყო წამოკოტრიალებული და არხეინად ხვრინავდა.

პაპუნას იქვე, ლეოს კარ-მიდამოს გადასწვრივ ჰქონდა ვენახი. მთელ სოფელს მის ვაზზე რჩებოდა თვალი. რა ჯიში აღარ ხარობდა. პაპუნა დღედაღამ ვენახში იყო, ვაზს შვილივით უვლიდა. გასხვლა, თუ დაბარვა, გაფურჩქნა, თუ შეყელვა, ერთ დღეს არ გადააცდენდა ცადა ქვეყანა რო დაქცეულიყო...

პაპუნამ იმ დროს ჩაიარა ვენახისკენ ლეო რო კაკლის ქვეშ კოტრიალობდა.

— ადე, კაცო, რა დროს ძილია. ე, შვილების შექნაში რო უქნიხარ დმერთსა, რჩენაც უნდათ იმათა.

ლეომ გვერდი იცვალა.

— რა ზარმაცია! — ჩაიბუტბუტა პაპუნამ, — სულ მთავრობის იმედზე როგორ უნდა იყვეს. ამხელა კაცია და სახლში ერთი ჩაფი ღვინო არ მოეპოვება, რო სტუმარს გაუმასპინძლდეს. რქა ვერ ჩაურჭვია მიწაში.

ლეომ ყური მოჰკრა პაპუნას ბურტყუნს.

და ის დღე იყო და ის დღე, ბოლმა ჩაუგუბდა გულში. პაპუნას ვენახს თვალი და ყბა დაადგა. ამას თუ ის ზვარი არ წაგართვა, კაცი არ ვიყვე, მე ხუთ ბიჭს ვუზრდი ქვეყას, მაგას კიდე ერთი ჩიტირეკია ქალაჩუნა შვილი ჰყაბ და ისიც ქალაქშია გადაკარგული. მაგას რათ უნდა ამდენი ვაზი. ხახამშრალი უნდა დავტოვო, დადგეს და იხტუნაოს. მაგალოსაც გაანდო თავისი გულთნადები. რაიკომის მდივანთან ჩავალ და იქნება ცხვირიდან ბოლი ადინონ. მზე ახალი ამოსული იყო, პაპუნა რო ვენახში წავიდა. შესაყელად მიდიოდა, მანეულის კონა იღლიაში ამოედო და დიდინით მიჰყვებოდა ბილიკს.

ვენახის კარი გააღო, ნამი ათასფრად ბრწყინავდა ზერების თავში დაყამირებულ ალაგზე, სადაც წვიმაში

თავშესაფარი ფარდალალა ქოხიც დაედგა პაპუნას. მანეულის კონა გახსნა და ის იყო მუშაობას უნდა შედგომოდა, რო შეა ზვარში ვიღაც შენიშნა. „თვალი ხო არ მატყუებსო“ გაიფიქრა ბერიკაცმა, ვენახს ჩაუყვა და ხელთ ლეო შერჩა, რომელსაც ჩამოძონდილი ბამბაზიის პერანგის სახელოები აეკაპიწებინა და ისე გულმოდგინედ ახვევდა ვაზს, თითქო მის ჩაყრა-დახარებაში დიდი გარჯა მიუძღვდა. ერთი რიგი უკვე ნახევრად ჩაეტანა.

- ლეო არა ხარ კაცო? – ჰკიოხა პაპუნამ.
 - მერე რა გინდა? – უკმეხად უპასუხა.
 - აქ რას აკეთებ? – წყრომა გაერია ხმაში ვენახის პატრონს.
 - რას ვაკეთებ და ეგ მე ვიცი. – ლეომ არც მოხედა, მუშაობა გააგრძელა.
 - როგორ თუ შენ იცი, – ახლა უკვე ბრაზი გაერია ხმაში პაპუნას, – ჩემ ვენახში დაუკითხავად რად შემოხვედი, ან შეყელვა ვინ დაგავალა?
 - ამ ვენახს მე მაძლევს მთავრობა.
 - რაო? – ჯერ ყურს არ დაუჯერა პაპუნამ.
- შემდეგ სიცილი დაიწყო, „გაგიჟებულა ეს ოხრად დასარჩენიო“, ბოლოს სახეზე ალმური მოედო.

— ეხლა აახვიე აქედანა, დროზე, — თქვა და ვაზის
მაკრატელი მოუღერა, მაგრამ ლეომ ვითომც არაფერი...

— დროზე მეთქი, თორე, ემ მაკრატლით დაგუშამ.

— ვნახოთ ვინ ვის დაპუშამს! — ლეომ დამუქრებით
დააქნია თავი და მუშაობა განაგრძო.

— გიჟია, — თქვა პაპუნამ, — შენა კაცო, სიცოცხლე ხო
არ მოგბეზრდა, ლეომ კიდე არ შეიბერტყა ყური და პაპუ-
ნა ფოცხვერიგით ეცა, ყელში წაუჭირა, მაგრამ ლეოსთან
ვერას გახდა.

ლეოს და პაპუნას ჩხუბის ამბავი სოფელს მოედო.

პაპუნამ სად აღარ იჩივლა, სად აღარ იარა, რაიკომის
მდივანთანაც შევიდა, შევიდა და ქუდი ცხვირწინ დაუ-
ხეთქა.

— სად გაგონილა კაცო ასეთი ამბავი, ჩემი მამა-პაპუ-
ლი ადგილი, ჩემი გაშენებული ვენახი, ჩემი თუ არა გჯე-
რავს. სოფელსა ჰკითხეთ. ხალხმა ხო იცის, მიდით და
ჰკითხეთ, თუ გამამტყუნებს პირზე კლიტეს დავიდებ, თუ
არა და...

— დაწყნარდით, ამხანაგო, დაწყნარდით! — დაამშვიდა
რაიკომის მდივანმა, რომელსაც ბერიკაცის გასაჭირი ფე-
ხებზე ეკიდა, — უველაფერი სამართლიანად გადაწყდება,

ისე, რომ არავინ დაზარალდებით.

პაპუნა იმედს მაინც არ ჰქარგავდა. „ჩალით ხო არ არი დახურული ქვეყანა, მაგ ვენახს როგორ დავთმობ კაცო, ხო გულიც დამარტყამს, არა, არა ლეოს ჩემს ნალოლიავებ ზვარში როგორ შევუშვებ, დედას ვუტირებ, ციხეში წავალ და მაინც არ დავთმობ“.

იმ საღამოს პირი ვერაფერს დააკარა, აივანზე გულადმა იწვა და ფიქრობდა. შვილს წერილი გაუგზავნა. „ხვალ ჩამოვა... ჩამოვა და მერე დამჩაგრონ, მეცა მყამ პატრონი, კანონები იმან იცის, თუ იცის“. გული გახეთქვასა ჰქონდა. „ლილიპუტმა“ ვახომ უფრო გააგიჟა, ლეო ამ საღამოს შენ ვენახში ვნახე, თავში, ყამირზე მოზვერს აძოვებდაო. „რა გქნა როგორ წავიდე ამ სიბერის ჟამს ციხეში? ოხ, ამათი! ამათ გაუწყრეთ ფუძის ანგელოზი“.

— ადე, ადამიანო პური შჭამე! რა გულს იხეთქამ, გათენდეს დილა, დავუძახოთ მეზობლებსა და ყველაფერი მოგვარდება. — ანუგეშა ცოლმა.

ვიღაცამ დაიძახა, ძაღლმა ყევა ატეხა. თამარმა გაიხედა, დაისღამე ჩამოწოლილიყო.

— ადე, თავმჯდომარეა, — თქვა ქალმა. პაპუნა წამოდგა, კალოშებში ფეხი გაყო, კიბეზე დაეშვა.

პაპუნამ თავმჯდომარეს სკამი დაუდგა. კოლმეურნეობის თავკაცი საქმეზე გადავიდა.

— პო, იმაზე მოვედი, — თქვა თავმჯდომარემ და გამელოტებულ კეფაზე ვება მტევანი ჩამოისვა. ეს დავა როგორმე მშვიდობიანად უნდა მოვაგვაროთ. ჩვენი სოფელი მოწინავე სოფელია, გარდამავალი დროშის მფლობელი და ესეთი კინკლაობა კაცო, ესეთი შეხლა-შემოხლა, მთელ რაიონში თავს მოგვჭრის და მეც თქვენი გულისთვის საყვალეულს მივიღებ. — პაპუნა მოთმინებით უსმენდა, — სოციალისტურ სოფელს ასე ვერ ავაშენებოთ. ხანდახან მოთმინება გვმართებს.

— მაგას რათ მეუბნები, — მოუთმენლად ჰკითხა პაპუნამ.

— იმიტომ გეუგნები, რო ეგ ვენახი უნდა დასთმო. ვიცი, ძნელია შენთვის ამაზე საუბარი, შენი ნაკვეთია, ვაზიც შენი ჩაყრილია, მაგრამ მათ მოთხოვნას დაუკმაყოფილებელს ვერ დავტოვებ. მე, ბევრი ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწყვიტე ფერმის გვერდით, ორი შენი ვენახის ხელა მიწა მოგიზომო.

— ფერმის გვერდით ლეოს მიუზომე, მე კი ჩემი ვენახიც მეყოფა, სადაური კანონია, ჩემ გაშენებულ ვენახს

მართმევთ, — პაპუნას ნერვიულობით ენა დაება და ცახ-ცახი დაიწყო.

— დაწყნარდი, დაწყნარდი, — ამშვიდებდა თავმჯდომარე...

* * *

— მართლა ჩალითა ყოფილა დახურული ეს წასალეკი ქვეყანა, თქვენა, თქვენა ხართ კანონის ხალხი, თფუი! — წამოიძახა რაიკომის მდიგნის კაბინეტიდან წიხლნაკრავი-ვით გამოვარდნილმა პაპუნამ და კიბეზე გამგელებული დაეშვა.

— მაშ საბოლოოდ დავმარცხდი? ჰაი, დედასა, რახან სამართალი არა ყოფილა ამ დამპალ ქვეყანაში, მე თვი-თონ მოვუვლი. ი, ჩემი დოკლაპია ბიჭის იმედიც ტყუილა მქონდა. წავიდა ქალაქში, ორჯერ გადააფსა და ჭკუას მარიგებს, მიწის გულისთვის ხალხს ნუ შეიძულებო, მაგან მიწის ფასი იცის?

სახლში გაგენთებული მივიდა.

კიბე მკვირცხლი ნაბიჯით აიარა, ოთახში შევიდა, იბორიალა, მერე ისევ ეზოში ჩამოვიდა, კაკლის ძირში ჯორჯოზე ჩამოჯდა და უბიდან უფილტრო სიგარეტი და

გამურული მუნდშტუკი ამოიღო.

დაღამდა. კუნაპეტ წყვდიადში გარინდებულიყო სოფელი. ხანდახან პაპუნას მოუსვენარი ძაღლი თუ წამოიყევებდა.

პაპუნას არ ეძინა, აიგანქვეშ გაეშალა ლოგინი, გულაღმა იწვა და ვენახზე ფიქრობდა.

„რას მიშვრება მე მაგის... უნდა მოვკლა“ და... ლეოს მოკვლის სცენას დგამდა გონებაში. როგორ მიეჭრებოდა ხანჯლით და ცოლის თვალწინ გამოჭრიდა ყელს. „არა, დანას თოფი სჯობია“. ახლა თოფიანი პაპუნა გაიელვებდა ფიქრის ბუდეში. მიტოვებულ ვენახში მიღიოდა დიდინდილინით ლეო, პაპუნა ჩახმახშეუენებული ცალიანით იჯდა ფშავის ბუჩქს უკან. ლეოს ჩამოვლა და თოფის გავარდნაც ერთი იყო.

მომაკვდავი ლეო მიწაზე ეგდო და ფართხალებდა. პაპუნა მტერზე გამარჯვებული ძლევამოსილი რაინდის სახით იდგა და სიბრალულის წერტილიც არ ჩანდა მის თვალებში...

იფერფლებოდა დამეები და პაპუნა კი თითქო ძილს გადაჩვეოდა. ერთავად მეზობლის მოკვლაზე ფიქრობდა, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნდა, რო ლეოს მომკვლელი არ

იყო. წარმოიდგინა ლეოს აღნავლებული ბალდები, მერე ციხეც წარმოიდგინა, ოთხ კედელშეა გატარებული სიბერე.

გავიდა ცხელი, უღიმდამო ზაფხული და მოდგა შემოდგომა, შუა-გულ ენკენისთვეში შეთვალდა ყურძენი და პაპუნას გული გადმოვარდნას ჰქონდა, ღამ-ღამობით ჩადიოდა ვენახის სანახავად.

- სად მიდიხარ კაცო?! – ჰკითხავდა თამარი.
- ეგ მე ვიცი, სადაც მივდიგარ!
- თქვი, ადამიანი არა ხარ?

ღამიან ჩავიდა ვენახში. ჯერ კაკალთან შეჩერდა. ყამირი უკვე ნამს დაესველებინა და ახლად ამოსული მთვარის შუქზე ათასფრად ბრწყინავდა ცის ცრემლი. მთვარეს ახედა, ამოიოხრა და ზვრებში ჩაიარა. ბალახი წამოსულიყო, „ჰაი დედასა, როგორ აკლია ჩემი ხელი“, ცრემლები წასკდა პაპუნას, ჩაიმუხლა, შეთვალებულ მტევნებს მიეფერა, ხელები უცახცახებდა...

შუაღამისას დაბრუნდა სახლში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სხვა მიწის ნაკვეთი მიუზომა პაპუნას მეცხოველეობის ფერმის გვერდით, მაგრამ პაპუნა არც ასულა, ნაკვეთი თვალით არ უნახავს,

მთელი კვირა დამ-დამობით მიდიოდა ვენახში და შვილი-ვით გაზრდილ ვაზს ეფერებოდა, მერე კი... ლოგინად ჩა-ვარდა და რთვლის ქამი იდგა უკვე, როცა პაპუნას სული უფალმა მიიბარა.

იმ ამბის შემდეგ დიდი დრო გავიდა.

იმ სოფელში ეხლა აღარც კოლმეურნეობაა, აღარც საბჭო, აღარც თავმჯდომარე...

ფშანის პირზე, იქ სადაც ერთ დროს პაპუნას ნალო-ლიავები ზვრები იყო, ახლა წლების წინ მიგდებული ნავენახარია.

2003 წელი, 29 მკათათვისა

დიცი

გარდასახვა ცოდვაში

- ააფეთქე!
- მიღი, შენ ააფეთქე.
- არა, შენა, შენ უფრო კაი ხელი გაქ, ბარაქიანი ხელი, შენ რო აფეთქებ, მაგარია, მაგრა საკაიფოდ გვყოფნის, მე უბარაქო ვარ, უცბათ იფუქება, გინდ წაუსველე გინდ არა. ხო ეგრეა წიპუკ, – ლაშამ მეგობარს შეხედა.
- ეგრეა, – თავი დაუქნია წიპუკამ.
- შენ რო ნაპასები იცი, არა ჯოჯო?
- ჰო, მაგარია, „პილასოსივით“ არი და უბარაქო ხელი მაქო. – ლაშას ჩაეცინა, – თუ ეწევი გემოზე უნდა გამოარტყა, მაშ როგორა.
- ჯოჯომ ცერის წვერზე დაბერტყა გამოფშვნეტილ პაპოროსში ჩატენილი ბალახი, მწვანედ შემხმარი, მაკრატლით დანაკუწებული ბალახი.
- მაგარი სუნი აქვს, – თქვა ჯოჯომ.
- ჯერ კიდე „მალადნიაკია“, – თქვა წიპუკამ.
- „მალადნიაკია“, მაგრამ საკაიფოა, აზიდან ჩამოტანილი თესლისაა, ვიტიას ბიჭს მამიდაშვილმა ჩამოუტანა ტაშქენტიდან, რა იქნება, კითხვა უნდა?

- ბევრი აქვს? – ვიტიას ბიჭზე იკითხა ჯოჯომ.
- ისე რა! კარებწინა აქვს, იქნება ერთი თხუთმეტი ძირი, ზოგი დაინაკა, ზოგმა ტანი ქნა, დრო უნდა. ვიტიას ბიჭი კიდე ხო იცი რაც არი, ლამის ფესვებიანად შეჭამოს.
- ვიტიას ბიჭიც ეწევა?
- ეხლა გაიგე?
- კაი კაცო, – გაიკვირვა წიპუკამ და გამწვლიკულ თავზე გადაისვა ხელი.
- ეგრეა, – თავი დაუქნია ლაშამ.
- არადა ხო იცი რა გამოუსწორებელი ლოთი იყო, ლამის ლვიძლი დაეშალა, მაგ ჩემისას, ეხლა პლანს უქიმინებს, შენ ის უნდა განახვა მამა-შვილი რო პარაოზებს ურტყამენ.
- ჰი, ჰი, ჰი, – ჩაიცინა წიპუკამ.
- რა ყოფილა!
- იმ დღეს დაიჭირეს ვიტიას ბიჭი, – თქვა ლაშამ და წვერმოპრუჭნილ პაპიროსს მოუკიდა, დიდხანს, დიდხანს ისრუტავდა, ლამის თვალები გადმოსცვივდა, ლვივილი დაიწყო პაპიროსმა, მერე სალოკ თითზე დაინერწყვა და გარშემო დორბლით დაალბო ბალახშეკეთებული პაპიროსი, წიპუკას მიაწოდა. წიპუკაც დაეძაგრა, როგორც ძუძუს

გოჭი ჩამოეკიდება დედალორს და თავდავიწყებით მიეძაგრება, ისიც ისე ჩაფრინდა.

— გეყოფა, ბიჯო! — გაბრაზდა ჯოჯო.

წიპუკამ ბოლი ჩაიგუბა, დიდხანს, დიდხანს ატრიალა ფილტვებში და მერე ნელ-ნელა ხველებ-ხველებით გამოუშვა.

— უჟ, — კიდე ჩაახველა და გადააპურჭება.

— ბევრი ხო არ გადაურიე თუთუნი, — პკითხა წიპუკას.

— ბევრი არა, ერთი ბეჭო იყო.

წიპუკამ ლაშას მსგავსად ნერწყვით დაასველა პაპიროსი და ჯოჯოს მიაწოდა. ახლა ჯოჯო დაეძაგრა. სასაცილო იყო ჯოჯო, ჯოჯოსავით პატარა, წითური, დამფრთხალი მზერა პქონდა, კაი ხანს ახლუჩუნა ჯოჯომ, მერე ისევ ლაშას მიაწოდა.

— თითო გამოგვივა.

— გამოგვივა, — თქვა ლაშამ და ყუნწამდე დასულ პაპიროსს დახედა.

მცირე ხანს იდგნენ ესე და დასცქეროდნენ ძირამდე ჩანავლებულ პაპიროსს, დაუკმაყოფილებელი თვალებით დასცქეროდნენ.

— მოიტანა? — პკითხა წიპუკამ.

- ჯერ არა, – თქვა ლაშამ, – მოიტანს.
- კაი პლანი ჩანს, მე მგონი „პოზდნიაკია“. გვიან მოიტანს.
- ასწორებს „პოზდნიაკი“, გვიან მოდის და გვიან მოდის, – თქვა ლაშამ.
- მე არ მევასება „პოზდნიაკი“, – თქვა ჯოჯომ, – დადექი და ელოდე, ლოდინი არ მევასება.
- გასინჯული გაქ? – ჰერთხა წიპუკამ ჯოჯოს.
- გასინჯული მაქ, სამ კაცს ისე რა, რო გითხრა ანგრევს, ეგრე არა, მაგრამ მოაქ.
- გახსოვს, ვასოს კანაფი რო მოვხარშეთ? – უთხრა ჯოჯოს წიპუკამ.
- ჯოჯომ მხრები აიჩეჩა.
- ციხესთან რო მოვხარშეთ ჰა, რამ დაგაქლიავა, შარშან, პარმენა რო მოხეტდა ზვიადის მამინაცვალი, თუ მამობილი.
- ჰოოო, გამახსენდა, – თქვა ჯოჯომ და აქირქილდა.
- როგორ აარტყა პარმენამ, ძროხებს რო ებაზრებოდა, როგორ ებაზრებოდა, ძროხას თავის ცოლის სახელს ეძახდა.
- ჰა, ჰა, ჰა, – ლაშაც აქირქილდა.

— რა იყო ბიჯო! ეგეთი რამე არ მინახია, — თქვა წიკუპამ, — ორი დღე კაიფში ვიყა, ქალაქში მეძინა, სადამო ხანს გამომედვიძა, დართვილულივით ვკანკალებდი, წამო-ვედი ისევ სოფელში. პარიკმახერ ოთარას შევჩივლე, იცი რეები მემართებოდა? მელანდებოდა რაღაცეები, მეშინოდა, ოთარა ძველი ნახიშტარია და ეგეთ რაღაცეებში გარკვეული. ოთარამ მე ვიცი შენი წამალიო და სამი ლვინის ჭიქა არაყი ვცხე ეგრევე, ოთარას სახლში მეძინა, რო გა-მომედვიძა, უკვე კარგად ვიყავი.

— მოიტანა — თქვა წიკუპამ.

— მოიტანა, — დაეთანხმა ლაშა და უაზროდ გაეცინა.

ჯოჯოსაც გაეცინა, ჯოჯოს წიკუპაც აჟყვა. სამივე ერთად იცინოდა, სიცილი ხარხარში გადაუვიდათ. იმათ ხარხარზე ეშმაკმაც გამოაჩინა ეშვები, თუმცა მათ არ დაუნახავთ. არსახსენებელი იქვე, ორი ფეხის ნაბიჯზე იდგა და შესცეკეროდა, შესცეკეროდა კმაყოფილი მზერით.

— „სუშნიაკი“ მაქ, — თქვა ჯოჯომ, რომელიც მცირე ხნის შემდეგ ვიტალას ბაღში გადაძვრა და ერთი კალთა მკვახე ვაშლი გამოიტანა.

— ასწორებს, — თქვა ჯოჯომ და კეხურა ჩაკბიჩა.

— მეც მომანდომა, - თქვა წიკუპამ და იმანაც გათქვ-

ლიშა, – აუპ, რა კაი რამეა.

ლაშამაც დააგემოვნა.

– დედაჩემი რო გარგლის კამპოტის გარეშე დავტოვე, ხო გითხარი, – ლაშას შეხედა ჯოჯომ.

– არ გითქვია.

– გუშინ მე და პეტოს ბიჭმა მოვწიეთ, მივედი სახლში, მშიოდა, მშიოდა და დავინახე ერთი დიდი ტასტი იდგა გარგლით საგსე, დავადექი და ოციოდე წუთში ფაფუ, გაგიჟდა დედაჩემი.

– მაგრა ასწორებს.

– პო, ასწორებს.

– „დავიგრუზე“, – თქვა წიპუკამ.

ჯოჯომ უაზროდ ჩაიცინა.

– ასწორებს, – თქვა წიპუკამ.

– ასწორებს, – თავი დაუქნია ლაშამ.

– ასწორებს, – ჩაილაპარაკა ეშმაკმა.

2002 წ. 8 ენკენისთვე

დიცი

სულში რო გროვდება წუხილი

- იცი რა მჭირდება?
- სევდა, ცოტა სევდა მჭირდება.

სოფო თვალებმოლრუბლული მომჩერებოდა. დავაბოტებ ვევება ოთახში, წინ და უკან დავდივარ. მაგიდაზე ყრია თაბახის ფურცლები და ორი წვერწათლილი ფანქარი, არ ვიცი საიდან ავიხირე, ფანქრით უფრო გამომდის, ფანქრით იოლად გადადის ქაღალდზე თავის ქაღაში გამომწყვდეული ფიქრი და ევლინებიან ზეცისქვეშეთს სხვადასხვა არსებანი, ზოგი უსახურნი, ზოგი სახიერნი, ევლინებიან და იწყებენ ცხოვრებას. თუ ცხოვრება ჰქვია ამას.

მომწონს ფანქრით წერა. ჩემს ცოლს არ მოწონს. როცა მიყურებს როგორ გავუტევ ხოლმე წერას და ფანქრის ქაღალდზე შეხების ხმა ესმის, მსაყვედურობს: – მოაშორე რა, გეხვეწები, რადა დროს ფანქარია, მეცხრამეტე საუკუნეში ხო არ ცხოვრობ?

- შეიძლება ვცხოვრობ, აბა რა ვიცი. – მღიმარი თვალებით შევყურებ.
- ეგვ, კარგი, რა, იტყვი ხოლმე რადაცას.

რო დაიძინებენ ოჯახის წევრები, მერე უფრო იხსნება

ფიქრის კიდობანი. იხსნება და მოედინება სიტყვის ნაკადი, ხვავდება მაგიდაზე ფურცლები, რომლებიც როცა ფულს მოვიგდებ, აუცილებლად მიმაქვს ქალაქში ამწყობთან, რომელსაც ლალი ჰქვია. იგი სადაზღვევო კომპანიაში მუშაობს, განათხოვარი ქალია, მაღალ-მაღალი, ტანწერწეტა, ორმოცს გადაცილებული, ისე უვლის თავს, ისე, ისე, რო... მანქანით აკითხავს ხოლმე ვიდაც ჭადარაშეპარული, თავისზე უფრო მაღალი კაცი...

— რა არის კაცო ესაო, — დახედავს ჩემ ნაწერებს ამწყობი და შემომხედავს მტუქსავი თვალებით.

— რა უბედურებაა, ვიტანჯები, ცოტა ლამაზად როწერო, არ შეიძლებაო? ან ეს ფანქარი რაღაა, ვერაფერს გერ ვიგებ, თან ისეთი გაკრული ხელია!

მერე დავიწყებ თავის მართლებას, დაწვრილებით ვუხსნი სახეკეთილ ქალბატონს, რო არაჩვეულებრივი კალიგრაფია მქონდა, რო სკოლაში ჩემნაირად არავინ წერდა, რო კედლის გაზეთები სულ ჩემი გაფორმებული იყო, რო რუსულში და გერმანულშიც მაგარი ხელი მქონდა. ლალი ისევ ჩემს ბატიფეხურს უყურებს.

— სწრაფმა წერამ გამიფუჭა ხელი.

— მერე ნუ დაწერ სწრაფად, ნელა წერე, შენი ნება არ

არის?

— ემ.

— რა ეკა, — გაუკვირდა და მომაჩერდა უცნაური მზე-
რით, იმ მზერაში იყო დაცინვაც და ეჭვიც.

— არ ვიცი. — გთქვი და ვაგრძნობინე რო დავამთავრე
ლაპარაკი. ლალი რო ტექსტის აკრეფას მორჩება, ჩემი
ზეიმია. მომაქვს სახლში კომპიუტერიდან ამობეჭდილი
მოთხოვობები და გულმოდგინედ ვასწორებ...

რამდენჯერმე ჩავასწორებ ნაწერს. ჩემი წიგნების ტი-
რაჟი ას ცალს არ აღემატება. აქედან გამომდინარე, მყავს
ასი მკითხველი, რომლებიც კითხულობენ ჩემს ნაწერს,
კითხულობენ, ოღონდ მოსწონთ თუ არა, ვერ გეტყვით.

წარმოიდგინე ვევბა, ხალხმრავალი სუფრა. ხარ ამ
სუფრის თამადა, დგახარ ყანწით ხელში მაგიდის თავში
და სადღეგრძელოს ამბობ, სუფრაზე არის ალიაქოთი,
ზოგი იცინის, ზოგი რაღაცას ჰყება, ერთი სიტყვით არ
გისმენენ.

იმ ხალხმრავალ სუფრას ხომ ჯობია, ისეთი საპურ-
მარილო ალაგი, სადაც რამდენიმე კაცი ზის, მაგრამ ყვე-
ლა ყურადღებით უსმენს თამადას.

ასი ნალდი მკითხველი მირჩევნია ათას გადამკითხ-

ველს!

ხანდახან, როცა დასაძინებლად დავწვები, ვფიქრობ ჩემთვის – რისთვის არის საჭირო ეს ყველაფერი. რა აუცილებელია ქვეყანაშ გაიგოს რა ხდება შენს სულში. რა აუცილებელია შენი სევდა და სიხარული სხვასაც გაანდო. შეიძლება ისე განერიდო ცხოვრებას, რო ერთი კაცი არ გამოჩნდეს, ვინც ოდესმე შენს ნაფიქრს ჩაწვდება და შენს სულში არსებული ტკივილი გადაედება...

თუმცა შენ თავს ხო არ ეკუთვნი, ემორჩილები ვიდაც უჩინარს და რო არ მოიცილო დაგროვილი ფიქრი არ შეგიძლია.

– შენი მოთხოვობა წავიკითხე! – მეუბნება ამას წინათ ჩემი მეზობელი ქეთო, რომელსაც ქალაქში პყავს შვილები.

– რომელი მოთხოვობა-მეთქი?

– აი ისა, „თებერვალი დადგაო“, ტირილით დავიოსე თვალები, შვილო, რო წარმოვიდგინე ჩემი თავი იმ ქალის ადგილასა, რო წარმოვიდგინე, რო ჩემს სახლსაც ესე მიატოვებენ ჩემი შვილები. ვაი, ჩემს მოსწრებას, – ამოიოხ-რა ქალმა და ჩამომჭკნარ გუგებზე ჩამოუგორდა ცრემლი, როგორ ვეხვეწები მაგ ჩემი ცოდვით სავსეებს, როგორ ვეხვეწები, ჩამოდით, შვილო, ჩამომხედეთ-მეთქი, გაგიგია?

ქალაქის მომგონი ამოწყდა...

– სევდა მინდა!

სოფო გაოცებული მიყურებს.

– რა სევდა?

– როგორც კერძს მარილი, ისე უნდა სევდა შემოქმედს. სევდის გარეშე არაფერი იწერება.

დავაბოტებ ოთახში, დავდივარ უაზროდ წინ და უკან. სულში რო ჩაგროვდება წუხილი, სევდა რო ჩაგროვდება, მაშინ მინდება წერა, მაშინ ეხსენება ფიქრს გზა-ბილიკი. წერ, ივსება ფურცლები და, თავისუფლდები... მზად არის.

ის მოთხოვთ რო რომელიმე რედაქტორს მიუტანო, შეიძლება დაგიწუნოს.

ის პიესა, რო რომელიმე რეჟისორს აჩვენო, შეიძლება არაფრად ჩააგდოს, მთავარია, რო...

– გის ჭირდება ეს ყველაფერი?! – ვეკითხები ფიქრის ლუკმად ქცეულ ორეულს.

– მე მჭირდება!

2006 წელი, 4 მირკანი

დიცი

გზაში

— უქმური ამინდია, — თქვა გიგამ.

ლრუბლებით დაჯანლულ ცას ავხედე, სადაც ერთი საავდრო ლრუბელი იყო ყველას ერთად მოეყარა თავი. შეაპუნა წვიმის მოლოდინში იყო გაყუჩებულიყო ბუნება.

— მაგრა დასცხებს! — ვთქვი და მანქანაში ჩავჯექი, გიგაც გვერდით მომიჯდა.

— მეზიზდება ესეთი ამინდი.

— მე, კიდევ პირიქით, სულიერად ვისვენებ, წვიმის წვე-
თების შეხება ენით უთქმელ სიამოვნებას მანიჭებს, თით-
ქოს ქალს ვეხებოდე, წვიმაში სიარული ყველაფერს მირ-
ჩევნია, ჩამოლორთხილი რო მიდიხარ, წურწურით ჩამოგ-
დის წყალი და გუბეგბში მიტოპაობ, მაგარია... მერე შეხ-
ვალ სახლში და ფიქრი გეძალება.

— ფიქრი... — ჩაილაპარაკა გიგამ, — მე თუ მკითხავს
კაცი, ფიქრი საერთოდ არ უნდა არსებობდეს, თავს იტკიებ
კაცი, ფიქრი რო არ არსებობდეს, ხომ არ იფიქრებ. იქნები
ფიქრის გარეშე მორჩა და გათავდა.

— სულ არაფერზე იფიქრებდი?

— „ვაბშე“ არაფერზე, ვიქნებოდი ეგრე ცხოველივით.

თუ არ ჯობდეს კიდევ.

- არც შეყვარებულზე იფიქრებდი?
- კაი ერთი თუ ძმა ხარ, რომელ საუკუნეში ცხოვრობ, ჩარჩი მემგონი შენ ტანოტატანოებთან, რაღა დროს სიყვარულია, დაძველდა ყველაფერი.
- აბა სიყვარული რისთვის არსებობს?
- მე რა ვიცი, მემგონი მარტო წიგნებშია სიყვარული... სიყვარული ქალია, ქალი ასწორებს, – ჩაიხითხითა. – ქალზე კარგი რა არი, მითუმეტეს, თუ ფულიან ქალს გადაეყარე. იფ! – ფიქრებმა წაიდო ჩემი მეგობარი და ცოტახანში დაიწყო რაღაც-რაღაცების გახსენება, მე რო ცოლი არ მომეუვანა მაგრა ვიქნებოდი, ავჩქარდი, უფრო სწორად ბავშვურად მომივიდა, ვისაც დავინახავდი ყველა მინდოდა, ახლა ვრწუნდები, რო ქალი მინდოდა, ცოლი კი არა. არადა რა ქალი მყავდა გამოჭერილი, იცი? მაგრა მაგულავა, მაგრამ რად, გინდა ვატყუე, ვატყუე უცოლო ვარ-მეთქი, ქალს რას გამოაპარებ, გაიგო და ამომიჭირა, გამოაგდო.

მანქანა დავქოქე და მცირე ხანში დავიძარით.

- კაი, მანქანა დაითრიე, მაგრა მომეწონა, – თქვა გიგამ, თან მაგარი იაფია, „მერსედესი,, მაინც „მერსედესია“,

მეც სიდედრის ბინის გაყიდვას ველოდები. აბა, რა ჩემფეხებად მინდა, მაინც ჩემთან არ ცხოვრობს, ოცდაოთხისათი იქ არი, გავყიდი და კაი მანქანას გამოვაგზავნინებ. ნიკას წინა კვირას ველაპარაკე, სხვა ქალაქში გადასულა, მაგრა იჭკუა ისე, ბოთე-ბოთეო ვეძახდი და კაი ბოთე გამოდგა. მამამისს სერიოზული ბიზნესი ააწყობინა, გივი ჭკუაზე ადარ არი, გზავნის და გზავნის მანქანებს.

- ღმერთმა გაუმარჯოს!
- საით წავიდეთ?
- რა ვიცი, საითაც გინდა.
- ქალაქგარეთ გავიდეთ.
- იცი, საით? სართიჭალისკენ გზისპირზე ახალი სამწვადე გახსნეს. წყაროც როა, შევდივართ თუ არა.

– ხო გამახსენდა.

– მაგარ მწვადს წვავენ.

თითქო ჩამოღამდა, არადა დაღამებამდე ჯერ დიდი დროა. ისეთი პირი უჩანს ისეთი, ორმოცი დღე-ღამე თუ არა, ალბათ, ორი დამე მაინც გადააბამს.

– დაიწყო, – თქვა გიგამ, – დახე, რა სიმსხო წვეთები წამოვიდა.

– ემ, – ჩაილაპარაკა ხასიათწახდენილმა.

საქართველოს დანახვაზე, უცნაური სიამოვნების გიგრძენი. ცას ავხედე. ნაადრევად მომკვდარიყო დღე. ურუანტელმა დამიარა, თითქო ცივი წვები გიგრძენი სხეულზე. ცოტა ხანში ბარაქიანად დასცხო. მე კმაყოფილებით გამებადრა სახე. გიგა აბუზლუნდა.

– რატო გეჯავრება წვიმა?

გაოცებით შემომხედა.

– შენ რატო გიყვარს?

– რა ვიცი, მიყვარს.

– მეც რა ვიცი, მეჯავრება, – თქვა და ჩაიხითხითა.

– ბოლომდე აუწიე ფანჯარა, წვეთები შემოდის, –

სარკმლისკენ მიმანიშნა.

– იმიტომაც დავტოვე, რო უნდა შემოვიდეს.

– რასაც ეს არ იტყვის, მაგარი უცნაურობები იცი.

პრინციპში შენსას ბევრ რამეს ვერ ვიგებ, – ჩამეცინა.

– რატო იცინიხარ, ხო ეგრეა, თქვი.

– რა ვთქვა?

– რაც გითხარი. კითხვაზე გამეცი პასუხი.

ყველა ადამიანი ეგრეა. ყველა ადამიანი უცნაურია, ყველას თავისებური წიკები ჭირს, ზოგს ისეთი, ზოგს ასე-

თი, ყველა ადამიანში დევს სიგიჟის მარცვალი და ყველა გიჟისგან შეიძლება გაიგო რაღაც ჭკვიანური.

— მართალია, რამდენი სულელისგან მომისმენია ჭკვიანური აზრი. უცნაურობებზე კიდე ნუდარ იტყვი...

ვერბა რკინის მკლავი საქარე მინის გაწმენდას ვერ ასწრებს, იტყვი ვედროებით ასხამენ. პაპაჩემთან სოფელში მახსოვს ასეთი წვიმები, ერთხელ სარების მოსაჭრელად წაგვიყვანა ტყეში მე და ჩემი მამიდაშვილი — ლევანი, გზაში გაგვიავდარდა, რაც კი წვიმა არსებობდა იტყოდი, ერთიანად წამოვიდა. სარების ჯავრი ვიღას ჰქონდა, სახლში რო მივედით ტბორი დაგაყენეთ. ბუხარში ლამის შევგერით. ბაბანი გაგვქონდა მე და ლევანს. ახლაც ისეთი წვიმა იყო და საოცარ სიამოვნებას მგვრიდა. ეკალს მაყრიდა ტანზე, მაურუოლებდა და მახსენებდა ორიოდე წლის წინანდელ ამბავს. მაშინ შეყვარებული ვიყავი, ისეთი შეყვარებული ისეთი, რო სიყვარულით მქონდა ჩაფუფქული გულ-მუცელი, ყველას გაუვლია ეს პერიოდი სიყვარულობანა, ყველას ყოლია შეყვარებული...

პო, ის ამბავი გამახსენდა, მაშინაც ძაან მაგრა წვიმდა, კოკისპირულად ასხამდა, ჩამოქცევას იყო ცა. მაშინაც მანქანით დაგსეირნობდი და ვფიქრობდი ათას რამეზე, ის

ათასი რამე კი მხოლოდ ერთი რაღაცის გარშემო ტრიალებდა, ერთი სიფრიფანა, ქერათმიანი გოგოს გარეშე, რომელიც თავდავიწყებით მიყვარდა, ისე რო დალაპარაკებულიც არ ვიყავი და არც იმაში ვიყავი დარწმუნებული, თუ დაველაპარაკებოდი ოდესმე, იმიტომ, რო გაცნობის შემთხვევაში ის გიჟური სიყვარული აღარ მექნებოდა, რაც მქონდა, შეიძლება ვერც გამიგოთ რას ვბოდიალობ და არც არის გასაკვირი, მე ვატყობ ჩემს თავს, რო რაღაც უცნაური სენი მჭირს, უაზრობის სენი. თუ შეიძლება, რო ეს სიტყვა გამოვიყენო და ქართული სიტყვით შევიმოსო უდირსი თავი. ვუკვირდები ორეულს და ვატყობ, რო სხვა ყველაფერთან ერთად უზომო ვარ სულელური აზრების გამოთქმაშიც. ესეც ხო ერთგვარი ნიჭია, როცა ამას შენ თვითონ ხდები და მთელ ცხოვრებას სიყალბეში არ გაატარებ. ერთი სიტყვით იმ გოგოს სიყვარულის ხარისხს განაპირობებდა, მისი წარმოსახვაში არსებობა, როცა რეალობა შეჭამდა ამ წარმოსახვას, როცა სიყვარული ხორციელად დაიბადებოდა, მერე თითქო ეშხს დაკარგავდა. მერჩივნა ესე მალვით მედევნა, ვიდრე კინოში დამეპატიუა და სიყვარულის ასახსნელად გამოსაყენებელი სიტყვები დამეხარჯა.

მაშინაც ასე წვიმდა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რო აღარასოდეს გადაიღებდა. წარმოსახვაში ჩნდებოდა წარდვნის სურათი და ორმოც დღე-დამიანი წვიმით დატბორილ დედამიწაზე მცურავი ნოე პაპას კიდობანი. მეც ხომ მაკავშირებს რაღაცა იმ კიდობანთან იმიტომ რო იქ მყოფი ადამიანებისგან მოვდივარ, მარტო მე კი არა ყველა, ვინც დედამიწას ვამძიმებთ.

მივქროდი შხაპუნა წვიმაში მანქანით და მისი სახე მიდგა თვალშინ, მისი თვალების ცეცხლი, მერე გზაში მოხდა ის, რაც სიყვარულზე დაწერილ რომანების მარტივად აღწერილ სცენებში ხდება ხოლმე, ეს ჩემი გულისწორი, ეს ჩემი მზეთუნახავი, რომელზეც იმდენჯერ მეფიქრა, რო ამ თავსხმაში წვიმის წვეთიც არ იყო იმდენი ჩამოვარდნილი, გაწუწული ლობის ჩიტივით დგას გზაზე და ხელს მიქნევს. მეგონა ისევ წარმოსახვა იყო, მაგრამ მალე დავრწმუნდი რო ნამდვილად იდგა. მანქანა გაფუჭებოდა და საშველად ხელს მიქნევდა.

მანქანა გვერდით გადავაყენე და გადმოვედი. ორიოდე ნაბიჯი მაცალა წვიმამ და მერე მეც ერთიანად დამასველა.

— რა დაემართა? — გაითხე და ვიდრე მანქანისკენ წა-

ვიდოდი თვალებში შევხედე. წვიმას ვედარ ვგრძნობდი. თითქო თავსხმა წვიმის შემდეგ ბუხრის პირას მოვკალათ-დი, ერთიანად გავთბი. აღარც ვჩქარობდი, მისი მანქანა, საერთოდ არ მაინტერესებდა, მთავარია, რო ვნახე.

— რა დაემართა? — ისევ შევავლე მზერა, სველი თმები ჩამოსწერებოდა შეცივნულ სახეზე.

— არ ვიცი, — შეცივნული კანკალებდა, — ორი საათია აქ ვარ, ჩაქრა და ვედარ დავძარი, ტელეფონი დაჯდა, სა-ტენიც შინ დამრჩა. უცბათ მოჰყვა ყველაფერს. ისე მესაუბ-რებოდა, თითქო კარგა ხნის ნაცნობი ვყოფილიყავი. ქერა-თმიანის მანქანაში ჩავჯექი. თვითონაც გვერდით მომიჯდა, არავინ გამიჩერა, შემომჩივლა, „კარგია რო არავინ გაგიჩე-რა” — გავიფიქრე, გასაღები მომეცი.

— უკეთია გასაღები, — მიმანიშნა.

კარგა ხანს ვაწვალე, მაგრამ არ დაიქოქა, თანდათან აკუმულუტორსაც ძალა ელეოდა.

— ძალიან დიდი ბოდიში, ზარს გავუშვებ თქვენი ტელეფონით თუ შეიძლება, მამაჩემს დავურეკავ. ტელეფო-ნი მივაწოდე. რამდენჯერმე სცადა ნაცნობ ნომრებზე და, ალბათ, ესეც ჩემი იდბლიანობა თუ იყო, ვერსად დარეკა. ამაზე ძალიან გაგულისდა. მის თვალებში სიბრაზე კრთო-

და და ძალიან ცოტა უკლდა ატირებას, წვიმამ კიდე უფრო მოუმატა, მერე ქარი ამოქროლდა, რომელიც მანქანის ფანჯრებთან აღმუვლდა.

— დედა, რადა ვქნა, არ უნდა წამოვსულიყავი, ჯაბას გაუხმა თავი. — ჩაილაპარაკა, ვინ იგულისხმა, ვინ იყო ჯაბა, არ ვიცოდი და ვიდრე მე ძრავს გამოცდილი ხელოსანივით ჩავყურებდი, სველი თითებით ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს. წარმოდგენა არ მქონდა, არასოდეს გამიკეთებია მანქანა, მაგრამ მთავარი ეგ არ იყო, მთავარი ის იყო, რო იმ გოგოს ჩემი იმედი ჰქონდა, მელოდებოდა. წვიმა წურწურით ჩამომდიოდა, მაგრამ ისე მსიამოვნებდა ნეტავდიდნებანს გაგრძელებულიყო ასე, ნეტავ აღარასოდეს გადაეღო, ეწვიმა და ეწვიმა, და როგორც გითხარით, მოხდა ის რაც ხდება მარტივად დაწერილი რომანების სცენებში. დავახურე ძრავას ისე, რო ხელი არაფრისათვის არ მიხლია და დავჯექი. თეომ მორიდებული, დარცხვენილი მზერით შემომხედა „როგორ დასველდა ჩემი გულისთვის უცხო ბიჭი“. მე გავუცინე, გადავწიე გასაღები და დაიქოქა...

ტელეფონის ნომერი მომცა, წასვლის წინ მომისიგნალა, ხელი დამიქნია და სწრაფად, ჟინიანად მოაფრთხო

მანქანა.

სველი, წვიმით გაუდენთილი ვიჯები მანქანაში და გავცქეროდი გზას, საითაც თეო წავიდა. გავცქეროდი და გიჟივით მეცინებოდა. ბოლომდე მაინც ვერ ვიჯერებდი მეგონა, რო ეს ყველაფერი წარმოსახვა იყო და არა რეალობა.

— თქვი რამე, — მეუბნება გიგა, — სულ ფიქრობ, ფიქრობ რას ფიქრობ, კიბოს წამალს ხო არ იგონებ.

— რა ვთქვა?

— რა ვიცი, რაც გინდა.

— შენ თქვი შენ უფრო ბევრი რამეები იცი.

— მე რა ჩემი ფეხები ვიცი ერთსა და იმავე რაღაცეებს გვვები.

— ციხეში ნაჯდომი კაცი ხარ, მოსაყოლის მეტი რა გაქვს.

— ციხეში... — თქვა და ჩაფიქრდა, ალბათ ციხის სურათები გაუცოცხლდა, მერე ისევ გამოერკვა, — არ მიყვარს სხვისი ამბების მოყოლა. ყველას თავისი ცხოვრება აქვს, ყველას თავისი ამბავი აქვს მოსაყოლი, მართლა, ამ ციხეზე გამახსენდა, მალხაზა გამოვიდა, ხო იცი.

— როდის გამოვიდა?

- სამი დღე იქნება.
- ვერ იცნობ მალხაზას, ხო გახსოვს მაგის ამბები,

რაც იყო.

- როგორ არ მახსოვს.
- სულ სხვა ადამიანია, წასვლას აპირებს, საბერძნეთში ყავს ხალხი.

დაიდალა საქართ მინის საწმენდი, ვერ გამოლია წვიმის წვეთები.

- დღეს არ გადაიდებს, შანსი არ არის, – ამბობს გიგა.
- ძალიან კარგი თუ არ გადაიდებს.
- რა მოგწონს ამ წვიმი?

სართიჭალაც გამოჩნდა.

- არ გაცდე, ნელა იარე.

სიჩქარეს მოვუკელი.

- აიქ არის, „პავაროტნიკი“ ჩაურთე.

მარჯვნივ გადავუხვიეთ. უზარმაზარი ვერხვების ქვეშ, სამიოდე მანქანა ეყენა და მეც იმ მანქანების გვერდით გავჩერდი. კარის გადებისთანავე შემოვარდა მანქანაში მწვადის სურნელი.

- მაგარ მწვადს წვავენ, – ჩაილაპარაკა გიგამ, მანქანა

დავკეტეთ და სამწვადისკენ ჩქარი ნაბიჯით გავემართეთ, მაგრამ წვიმამ გვაჯობა.

სველი, გალუმპული ტანსაცმელით შევაბიჯეთ შენობაში, რომლის კედლები გალაქული ხით იყო მოპირკეთებული. იყო რამდენიმე ღია კუპე, ისე, რო ტანმაღალი კაცი, მით უმეტეს ცნობისმოყვარე, ადვილად შეამჩნევდა ნახევრად დახურულ ოთახებში მოკალათებულ მწვადის მოყვარულ ადამიანებს. ამ კუპეებიდან ბარაქიანად ამოდიოდა თამბაქოს კვამლი და ერთმანეთს ერწყმოდა მწვადის, ლუდის, თუ სიგარეტის სუნი.

- მაგრა დავსველდი, – დაიჩივლა გიგამ.
- მეც დავსველდი, მაგრამ ეგ არაფერი. წვიმაა, მაშროგორ გინდა? – არ დავდნებით.
- კაი არაყი გვიშველის, სახლის არაყი, აქ ყოველთვის კაი არაყი აქვთ ხოლმე „დამაშნი“. საით დავსხდეთ? კუპეები გატენილი იქნება.
- მოდი ვიკითხოთ.

ამ დროს გამოგვეგება ვიღაც ახალგაზრდა გოგო შესამჩნევად ხელოვნური ლიმილით და მის დანახვაზე გამახსენდა, ერთი ჩემი მეგობრის ნათქვამი, მისი სიძის რესტორანში მოგხვდით ერთხელ თბილისში, მიმტანზე

მომიყვა, როგორ გააგდეს რესტორნიდან.

გაგდების მიზეზი კი ის იყო, რო ლიმილი საერთოდ არ იცოდა იმ ეშხიანმა გოგომ. არ იცოდა და ვერც ის-წავლა, კლიენტს კიდევ ლიმილი უნდა, რა მნიშვნელობა აქვს როგორი იქნება, მთავარია, რო ლიმილი ერქვას, ლიმილი იზიდავს ადამიანებს, თუნდაც ყალბი ლიმილი. ასეთი ლიმილი შევამჩნიე ამ გოგოს, რომელიც ჩემი აზრით სოფლელი უნდა ყოფილიყო, მიხვრა-მოხვრაზე ეტყობოდა. ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია. ბარაქიან მკერდზე სახელი ეწერა – თეო და იმ სახელმა უფრო დამაბნია, ის ქერათმიანი გოგო გამასხენა და ის საოცარი შეხვედრა, წელან რო ვთქვი. მკერდზე გაშტერებით ვუმზერდი და გოგო უხერხულად შეიშმუშნა, არადა მის სახელს ვკითხულობდი.

- კუპეში გვინდა, – უთხრა გიგამ, – არის ადგილი?
- თეომ უარის ნიშნად თავი გაქნია.
- ყველა დაკავებულია, გარეთ თუ გნებავთ, – იქვე, შესასვლელისკენ მიგვანიშნა, სადაც მომცრო, მაგიდა იდგა.
- გარეთ არ ტეხავს? – თქვა გიგამ.
- რა გიცი, პრინციპში რაზე ტეხავს.

– მაშინ დავსხედეთ.

მივუსხედით სუფრაგადაფარებულ მაგიდას. თეომ მოგვიტანა ტყავის ყდაში ჩასმული მენიუ. შევუკვეთეთ მწვადი და ხაჭაპური.

– დასალევი? – მკითხა გიგამ, – რას დალევ?

– რა ვიცი.

– სახლის არაყი ვუთხრათ, ერთხელ დავლიეთ აქ, მაგარი არაყი იყო.

გიგამ თეოს მოუხმო.

– სახლის არაყი ხომ გაქვთ?

თეო თავი დაუქწია.

– ჯერ ერთი ბოთლი მოგვიტა...

გვერდით კუპიდან ხარხარი ისმოდა, უფრო სწორად ჩაბჟირებული სიცილი და უწმაწური სიტყვების რახარუხი. უფრო მოშორებით მდებარე კუპიდან გიტარის დაკვრის ხმა და რაღაც გაურკვეველი სიმღერა.

გარეთ წვიმდა, წვიმდა კოკისპირულად და გადაღების, თუ გამოდარების ნაცვლად უფრო უმატებდა. წარმოსახვაში ჩნდებოდა გრძელი, ძალიან გრძელი გზა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა და თავსხმაში ხეტიალი მინდოდა, გავიგლიდი რამდენიმე კილომეტრს და გზის პირზე შევამჩ-

ნევდი წვიმაში გალუმპულ გოგოს. თითქო სახეზე მასხამდა წვიმა. მივყვებოდი ასფალტიან გზას და ვეძებდი... ვიდრე თეო მწვადსა და ხაჭაპურს მოგვიტანდა ავდექი და გარეთ გამოვედი.

- სად მიდიხარ? – მკითხა გიგამ.
- მოვალ ეხლავე, ორ წუთში მოვალ, – ვუთხარი და გარეთ გამოვედი, ბარაქიან წვეთებს ყრიდა ენკენისთვის ცა, სეტყვასავით ცივი წვიმა მოდიოდა, ჩემი მანქანა წვიმით გაწუწულ გერხვის ქვეშ ეყენა, მანქანასთან არც მივსულვარ, ასფალტიან გზას ფეხით გავუყევი.
- სად წავიდა ეს კაცი, სად დაიკარგა? რა უცნაურია,
- ფიქრობდა გიგა, შესცემოდა შამფურზე წამოგებულ მწვადს და მელოდებოდა...

2010 წ. 17 დვინობისთვისა

დიცი

ადსარება მტრის საფლავთან

- ესე იგი, არ მოგიკვლია?
- არ მიმიკვლია, ხომ არ დაგიმალავ? – თქვა ხაზბიმ და სიგარეტს მოუკიდა.
- ყველაფერი სწავლით არის. – დახუჭუჭებული, ქერტლიანი წვერი მოიქექა ჩერმენამ, – რაც მე გურზია-კები მიხოცია, იმდენი ასდოლარიანი რო მამცა, ჩემზე მდიდარი კაცი არ იქნებოდა. „დვარეცი” მექნებოდა ელხო-ტოვაში. ხომ ნამყოფი ხარ ელხოტოვაში?
- გავლით ვარ ნამყოფი. – ჩაილაპარაკა ხაზბიმ. – მახსოვს, დიდი სახლები იდგა, ეტყობა მდიდარი ხალხი ცხოვრობს.
- უჟ, მდიდარი რომელია... ისე შენი ძმა უფრო მაგა-რია, მამაშენს ჰგავს. ცხინვალში გვერდიდან არ მომშორ-და, ნამდვილი მეომარია.
- ხაზბის ადარაფერი უთქვამს, ხეზე მიბმულ მსხვერპლს შეაცექერდა. თითქო უნდოდა მისი თვალებიდან რაღაც ამოეკითხა, მაგრამ მსხვერპლს თვალები დახუჭული ჰქონ-და. წარმოსახვაში ის, ალბათ, უკვე სულეთში იყო და იქ დახვედრილ არსებებს ესაუბრებოდა.

* * *

„ცოტაც და ყველაფერი დასრულდება. ალბათ ასე ჯობია. დამღლელია მოლოდინი, განსაკუთრებით სიკვდილის მოლოდინი. ზიხარ და უცდი. ის კი გულს გიწვრილებს ლოდინით და ხარ ამ ცდაში. წარმოსახვაში გულავენ სადღაც და გაყრიან დორდიან მიწას. ჭიქა ლვინოსაც არავინ იმეტებს, იმიტომ, რო მტერს არავინ ეტყვის შენდობას. მტერს...” ამ სიტყვის გაფიქრებაზე გააჟრულა, ეპალმა დააყარა, როცა იგრძნო, რო მტერში თავისი თავი იგულისხმა და ცრემლი მოაწვა თვალებზე, თუმცა უხმოდ გადაყლაპა კურცხალი. „ვისი მტერი ვარ?” თითქო თოკს უჭერდნენ ყელში და უკანასკნელ სიტყვებს ხრიალებდა, ისეთი ხმა გამოსცა.

ქათამიც კი არ დაუკლავს. სისხლი ყოველთვის აფრთხობდა. ბაგშვილიდანვე სხვანაირი თვალით უყურებდა ფრინველებს, ცხოველებს. რამდენჯერ უფიქრია: „ნეტა როგორ ცხოვრობენ ჩიტები, ან ცხოველებს როგორი წუთისოფელი აქვთ?” მაგრამ ამას ვინ ეტყოდა. სამყაროს გამჩენის მეტმა არავინ იცოდა ეს საიდუმლო. რამდენ მწერალს აუმეტყველებია: ფრინველები, ხეები, ცხოველები... თითქო სული ჩაუდგამთ უენო სულიერი არსებებისათვის მადლიან

შემოქმედებს, მაგრამ სინამდვილეში ხომ არავინ იცოდა, რომელ სულიერს რა საფიქრალი ჰქონდა, რომელი მათგანი რა სამზერით უმზერდა სამყაროს. ეს მარტო უზნაესმა იცოდა.

ცოტაც და ყველაფერი გათავდებოდა. მისი უიღბლო წუთისოფლის დასასრული დგებოდა.

თავი სიზმარში ეგონა. რამდენჯერ დასიზმრებია კოშ-მარი და მაჯლაჯუნები, რამდენჯერ აუყვანიათ გილიოტინაზე, რამდენჯერ ჩამოუბია ჯალათს სახრჩობელაზე. ბრძოლის ველზეც დაცემულა მომხდურის ტყვიით. თუმცა, როცა თვალი გაუხელია, ბალდივით აცქმუტებულა, სხეული ატოკებია. „ცოცხალი ვარ” გაუფიქრებია და მღიმარი თვალებით შეგებებია მთაგრეხილზე ამოცურებულ დილის მნათობს. სუსხიანი ჰაერი შლეგიანივით შევარდნილა ფილტვებში და ამ სასიამოვნო ტკივილით უგრძენია სიცოცხლე – გამჩენისაგან ბოძებული ყველაზე დიდი საჩუქარი.

ახლა სიზმარი აღარ იყო. ხეზე სადღეობო საკლავივით მიბმულს ყურში ჩაესმოდა სიკვდილის ყრუ ნაბიჯების ხმა, რომელიც ადამიანის ფეხის ხმას არ ჰგავდა. სხვანაორი ხმა ჰქონდა წყვეულს, უცნაურ ხრჭიალს გამოსცემდა.

ცხელოდა. მარიამობისთვის ოქრომნათობს თითქო უნდოდა, რო ერთიანად დაეხარჯა დასახარჯი და აღარასოდეს ანთებულიყო. აჭერდა გამეტებით. მისავათებული მზერით გასცემეროდა ხვატში გახვეულ ტრიალ მინდორს.

მნათობს ახედა, მოეჩვენა, თუ იმ წამს, მართლა ასეთი ჩანდა. მზეს სისხლი სდიოდა, ძოწისფერი სითხე დვარად ჩამოდიოდა ზეციდან. თითქო ქვეყნიერების მანათობელსაც ტყვია ესროლეს და ისიც სასიკვდილოდ დაჭრეს.

ყაყანი მოესმა.

მიუყურადა. „ალბათ, ახლა მომკლავენ.” თვალები დახუჭა. თითქო ცხელი ტყვია შესრიალდა მის მკერდში და უცბად მოულო ბოლო. „ალბათ, ადვილია სიკვდილი, მოლოდინია რთული და საშიში, თორემ სიკვდილი არაფერია. უცბად მთავრდები.” თვალი გამოახილა და მიხვდა, რო ჯერ ისევ ცეცხალი იყო. სუნთქავდა. მკერდზე დაიხედა. არც ნატყვიარი ეტყობოდა, არც სისხლი. გაიხედგამოიხედა. ოციოდე ნაბიჯის იქით იარაღასხმული, სამხედრო ფორმაში გამოკვანთული ოსები იდგნენ. სათითაოდ დააკვირდა თითოეულ მათგანს. წყალი მოუნდა. მძიმედ, წვალებ-წვალებით ძლივს გადაყლაპა ნერწყვი. ცემით ჩამტვრეული ნეპნების ტკივილმა გონება ლამის წაართვა.

სუნთქვა უჭირდა. ბრბო ისევ ყაყანებდა. რას ელოდებოდნენ? პატრონი თუ გამოუჩნდებოდა „გურზიაკს“ და ფულს გადაიხდიდა, გაუშვებდნენ. „ტარზანა“ გაეგზავნათ ოსებს. მას უნდა მოეტანა ამბავი. დედით ქართველი ტარზანა გატაცებული ადამიანების გამოსასყიდი ფულით გამდიდრებულიყო.

გაწამებული დედის სახე დაუდგა თვალწინ, რომელიც დაკარგულ შვილს ელოდებოდა.

ფეხმძიმე მეუღლის სახემაც გაუელვა. „როგორ გავაუბედურე საწყალი გოგო, ცხოვრება გავუმწარე, მთელი წუთისოფელი ქვრივი ქალის სახელით უნდა იაროს და ობოლი ზარდოს, რომელსაც ჯერ არ დაუნახავს თვალხილული სამყარო და უკვე ობოლია. თუმცა ერთ დროს იამაყებს, რო გმირი მამა ჰყავდა, რომელმაც საქართველოს გაერთიანებას შესწირა თავი.“ „მთელი ცხოვრება ამით იამაყებს“, – ჩასჩურჩულა ორეულმა.

მაგრამ მაინც ვერ გამხნევდა. „რახანია დასრულდა გმირების ეპოქა“.

– რატომ გგონია ასე? – ისევ გამოელაპარაკა ორეული. – ასე რომ ეფიქრათ ჩვენს წინაპრებს, საქართველოს ნაცვლად რა გვექნებოდა ახლა?

– იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს ქართველი კაცისათვის, როცა ყველაზე ძვირფასს – ლვოისგან ბოძებულ სიცოცხლეს შენს ხალხს და მამულს ჩუქნი. იმისათვის, რო შენ ხალხს საგზალი არ გამოელიოს. ამ საგზალით მოდის ერი, ამ საგზალს იზოგებს დღემდე. მარტო ისტორია, მარტო გარდასული ამბები არაფერია. კი იხსენებ, რო ცოტნე გყავდა, ქეთევანი და კიდევ უამრავი სხვა გმირი, მაგრამ შენს დროშიც აუცილებელია გმირების არსებობა, რო ახალ თაობას იმ გმირი წინაპრების არსებობაში ეჭვი არ გაუჩნდეს. ერის ცხოვრებაში დაცემის უამრავი მაშინ დგება, როცა დიდი წინაპრების მიერ დანთებული კელაპტრები ჩაიბჟუტება და ჩასაქრობად არის განწირული, ჩვენი დროის გმირების თავგანწირვა აძლიერებს იმ კელაპტრების შუქს, თორემ ურთხელ და სამუდამოდ ჩაქრება და ისეთი დღე დაგვიდგება, საკუთარ თავსაც გეღარ ვიცნობთ. აი, რატომ არის შენისთანა ადამიანების არსებობა საჭირო.

თითქო დამშვიდდა.

ისევ გაიხედა ბრბოსკენ. ოდნავ მოშორებით, იქ, სადაც ოსური სოფელი იწყებოდა, ყავრით გადაფარებული ქვის სახლებით და თელის მარგილებით შემორაგვული

დობებით, ჭრელთავშლიანი ქალი შეამჩნია და, მიხვდა, რო ის იყო. იმ ოჯახის დიასახლისი, სადაც ორიოდე კვირა ჰყავდათ მყრალ ბოსელში დამწვდეული და სწორედ ის ქალი პატრონობდა. პურ-წყალს ჩუმ-ჩუმად აწვდიდა. გული კარნახობდა, რო ის დგთისნიერი არსება იყო, რომელიც დასახვრებად წაყვანილ მსხვერპლს უთვალთვალებდა. ნება ახლოს ყოფილიყო, რო ერთი მადლიერების სიტყვა ეთქვა, სიკვდილის წინ მადლობა გადაეხადა.

ცოტა ხანში აღმართზე „ტარზანას“ თეთრი „ნივა“ გამოჩნდა.

ანდროს არაფერი გაუგია, რა ამბავი მოიტანა ოსმა. მძიმედ სუნთქვდა, თითქო მის წილ ჰაერს ეშურებოდა.

ცას აპხედა. მზეს ისევ ჩამოსდიოდა სისხლი და ძორისფერი სითხით ისარგლებოდა ვეება დრუბელი. თვალები დახუჭა.

* * *

თხრიდა უძალოდ, წვალებ-წვალებით, ჩამტვრეული ნეკნების საშინელი ტკივილით ებრიცებოდა სახე და სიმწრის ცრემლები უბრწყინავდა თვალის უპეებში, ოდონდ თავს არ სწევდა, რო მისი ცრემლი არაგის დაენახა. მალ-

მალე წიხლს უთავაზებდნენ. წაიფორხილებდა, ნიჩაბს ჩა-
მოეყრდნობოდა და ისევ გააგრძელებდა სამარის თხრას,
რომელიც ცოტა ხანში ისევ უნდა ამოვსებულიყო. ფორმი-
ან ოსებს იქვე, ხუთიოდე ნაბიჯის იქით ვიღაც ახალგაზრ-
და კაცი დაეყენებინათ, რომელიც დინჯად, აუღელვებლად
იღებდა ვიდეოკამერით – როგორ ათხრევინებდნენ ქართ-
ველ ტყვეს თავისი ხელით საფლავს. მაგრამ ეს საფლავი
არ ჰგავდა მარტო ერთი ადამიანის სამარეს, თითქო აქ
უნდა დამარხულიყო ქართველების და ოსების მრავალსაუ-
კუნოვანი ურთიერთობა – აგ-კარგიანი ურთიერთობა.

რუსული პირბლაგვი, ახალთახალი ნიჩბით ყამირი ად-
გილის ამოთხრა ჭირდა, მაგრამ მაინც თხრიდა. თვალებ-
დაძაგრული ჩასცექეროდა საფლავს და მიწის სუნი სცემდა.
ახალამოთხრილი მიწის სუნი. მიწა იღრინებოდა და ახალ-
გაზრდა მსხვერპლს მოუთმენლად ელოდა. „უცხო მიწაში
ხომ მაინც არ დავიმარხები, ესეც ხომ ქართული მიწაა,
წართმეულია, მაგრამ მაინც ქართულია,” მთის წვერიდან
უხსოვარ დროში სულმნათი წინაპრების ხელით აგებული
სალოცავი უმზერდა ანდროს.

ძალა მთლად გამოელია, მაგრამ მაინც თხრიდა. ცო-
ტაც და ყველაფერი დამთავრდებოდა.

ბოლო ბელტიც ამოაგდო და ფორმიანებს მუდარით
სავსე მზერით ამოხედა, რო დროზე ესროლათ.

ერთი, ორი, სამი, გონებაში გადაითვალა, რატომ? არ
იცოდა, თუმცა მეტის დათვლა კერ მოასწრო...

* * *

„გევედრები, ჩემს ოჯახს ნუ აზღვევინებ ამ საშინელ
ცოდვას. ვიცი, რომ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე ყვე-
ლამ უნდა ვაგოთ პასუხი, მაგრამ ჩემი ოჯახი ხომ უდა-
ნაშაულოა. გევედრები, გვაპატიქ! ლახსთადენქანენ...“

ბებერი მთვარის შუქზე სალოცავის მთის ფერდობის
დაბლა მკრთალად მოჩანდა უსწორმასწოროდ ბელტებმი-
კოკოლავებული საფლავი, რომლის გვერდით უხმოდ ტი-
როდა ჭრელთავშლიანი ოსი ქალი.

ანგელოზთა თოვა

რო შეღამდება, მერე უნდა აანთოს სანთელი, როცა ყურჭთვალა ღამე დაისადგურებს. მალ-მალე გაიხედება სარკმლიდან, თითქო ეჩქარება, ისეთი დალოცვილი დღეა, ისეთი... აპნისის მზემ გამოაშუქა, უძალოდ, ულიმდამოდ გამოიხედა, მაგრამ მაინც გამოაშუქა.

დღეს მთელი თვალხილული, თუ თვალთუხილავი სამყაროს დაბადების დღე დგება. როგორი სიხარულით ხვდება ყოველი ადამიანი თავის დაბადების დღეს, ადამიანს, ხომ ყველაზე მეტად თავისი დაბადების დღე უყვარს, იმიტომ, რო ამ დღეს მოევლინა საწუთოს და ამ დღეს დაინახა ზეცისქვეშეთი, ამ დღეს ჩაისუნქა პირველად და ამ დღიდან დაერქვა მოკვდავი, რომლის არსშიც არის რაღაც ბედიერების განცდა. მოკვდავი რო ხარ, იმქვეყნიური ცხოვრებაც გელოდება, ზეცაში ასვლის დირსი გახდები და იმასაც ნახავ, ვინც ყველაფერთან ერთად შენც შეგქნა, ვინც შენს ამქვეყნად მოსვლაში რაღაც გარკვეული დრო დაკარგა.

აბა გაიხსენე, როგორ უხარიათ ადამიანებს დაბადების დღეები და როგორი მომზადებულები ხვდებიან, ენიო

აუწერელ სუფრებს შლიან, ათასგვარი ნუგბარით უმასპინძლდებიან ერთმანეთს.

აბა წარმოიდგინე, რამდენი ადამიანი დააბიჯებს დედამიწაზე, რამდენი ადამიანი აღნიშნავს დაბადების დღეს და ისიც წარმოიდგინე, ყველა ეს დაბადების დღე რო ერთად აღინიშნოს. ყველა რო გააერთიანო, რა გამოვა? მთელი მსოფლიოს, მთელი დედამიწის ზეიმი. მე მგონი ამასაც ვერ შეადარებ, იმიტომ რო ის სულ სხვაა, ის სხვა განზომილებიდან უნდა დაინახო, რო მერე რადაც ამქვეყნიური ფერებით აღწერო.

არადა, ამ დღეს დაიბადა მთელი მსოფლიო, მთელი დედამიწა. დაბადება უხსოვარ დროში მოხდა, მოზელილი თიხა, ადამი და ადამის ნეკნი, მერე ედემბადი, რომელიც რატომდაც ყოველთვის მგონია, რო საქართველო იყო, ანუ ბიბლიაში ნახსენებ ედემბადში ქართველების სამშობლო იგულისხმება. დემეტრე მეფის იამბიკო მიათკეცებს ამ გუმანს, დედალთისმშობელზე დაწერილი იამბიკო, სადაც ედემია ნახსენები ღვთისმშობელთან მიმართებაში, ღვთისმშობლის სულიერ სამშობლოდაც საქართველო მესახება, რადგან წილხვდომაში და მერე მის მოქცევაში უდიდესი

დვთიური ენერგია იყო ჩადებული და ეს სულიერი მსხვერპლიც შემთხვევით არ იქნა გაღებული.

დაბადება, რო ვახსენე უხსოვარი დროისა, ის სხვა დაბადება იყო. ის იყო კაცთა მოდგმის ხორციელი შობა, მაგრამ მაშინ არ არსებობდა სული, ანუ ადამიანმა არ იცოდა თავის დანიშნულება და არც მიზანი არ ჰქონდა, მიზანი, სიცოცხლის ინტერესი და დანიშნულების შეგრძნება მეორედ დაბადებამ მოიტანა, როცა ღმერთი დაიბადა ხორციელად და კაცთა მოდგმა დაიბადა სულიერად. და იმასაც ვფიქრობ, რო არ დაბადებულიყო მაცხოვარი, მერე რა იქნებოდა, ალბათ, ძველი აღთქმის ზოგიერთი ეპიზოდის ნახირად გადაქცეული ხალხი ვიქნებოდით ქვეყნიერების აღსასრულამდე.

მაგრამ დაიბადა და ჩვენც დავიბადეთ. რომელი თაობის ადამიანებიც არ უნდა ვიყოთ, რომელ საუკუნეშიც არ უნდა ვიცხოვოთ, ჩვენც იმ დროს დავიბადეთ, როცა ძე კაცისა გაჩნდა ამ ქვეყნად და ჩვენც ბეთლემის ბაგიდან დავინახეთ ის, რაც მანამდე არ გვენახა და არ ვიცოდით.

ეგ არის რო, მეხსიერება გვდალატობს და გვავიწყდება ყველაფერი, იმდენად ცუდი მეხსიერებისანი ვართ, რო საჯუთარი ბაგშვიბაც აღარ გვახსოვს.

დაიბადა და ასე მგონია, როგორი დღეც ახლა დამდება, მაშინაც ეგრე იყო, 2000 წლის წინათ, მაშინაც გამოაშუქა ზამთრის მნათობმა, მაგრამ ზაფხულის მზეზე მწველი იყო. მერე დაღამდა და ცაც აყვავილდა. ნაირ-ნაირი ვარსკვლავებით მოიჩითა ცის კაბადონი, ყველა მოკვდავის ვარსკვლავი ერთიანად ანათებდა. ვისიც ოდესლაც ჩამქრალიყო და ჩაკარგულიყო უსასრულობაში, ისიც ჩახახებდა, იმიტომ რო ყველას დაბადების დღე იყო. გალობაც ისმოდა. ანგელოზები დანავარდობდნენ, თეთრი ფრთებით ჰკვეთდნენ წყვდიადს და გალობდნენ, ახლა ჩემი ნათია გალობს: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იმვა ბეთლემსაო და ალილო...“

სადაცაა დაღამდება, სადაცაა შობის დამე შემოყოფს თავს სარკმელში და იქ დახვდება აპარპალებული კელაპ-ტარი, რომელსაც ჩემი შვილები აანთებენ, რო მაცხოვრის დაბადების დამეს, ანთებული სანთლით შეხვდნენ, როგორც ყველა მართლმადიდებელს მოუწოდა პატრიარქმა, რომელიც ყოველთვის იმ საოცარ მოხუცს მაგონებს ქართული მინანქრით შესრულებულ მირქმის ხატზე რო არის გამოსახული.

— ვარსკვლავებია, არ ითოვლებს, — ჩემს ბიჭს მაინც

თავისი ბავშვური საფიქრალი აქვს და ცას ასცერის, საიდანაც უკვე ჩამოიშალა ბინდის მარმაში, ჩამოიშალა და შობის დამის წყვდიადში გაეხვა ქვეყნიერება, ასე მგონია, რო დედამიწის ზურგზე დრო გათანაბრდა და ყველგან დაღამდა, ყველა მოკვდავისთვის შობის დამე დადგა.

— იქნებ ითოვლოს კიდეც, — ვეუბნები ჩემს შვილს და მხარზე ხელს ვუთათუნებ, — ეხლა ისეთი საოცარი დამეა, შეიძლება ანგელოზების თოვა დაიწყოს.

— რა ანგელოზების თოვა? — მეგითხება გაპვირვებული.

— პო, წამოვა ციდან უზარმაზარი ფანტელები, თეთრი ქათქათა ფანტელები და დაიფარება დედამიწა.

— მერე თოვლი იქნება.

— პო, თოვლი იქნება.

— მერე?

— რა მერე, გადათეთრდება აქაურობა.

— ჩემს ბიჭს სიხარულით აენთო სახე.

ზამთარს თოვლი უხდება. ერთი სული აქვს ნათლიამისის ნაყიდ თხილამურებზე დადგეს. არადა, მიწაზე ხომ არ ისრიალებს.

მეც წარმოვიდგინე თოვლით დაფარული არემარე, და

სიამოვნებისგან თვალები დავხუჭე, მეც ბავშობამ წამიღო,
გამიტაცა იმ წლებმა, რომლებიც ტვინის ხვეულებში
თვლემენ თავისთვის და ხანდახან უცბად დავაფეობთ
ხოლმე. წარმოვიდგინე სითეთრე, თვალის მომჯრელი სი-
თეთრე. რას შევადარე იცით შობალამეს მოსული პირველი
თოვლი? თითქო უცოდველი ადამიანების სულებით იყო
მოფელი დედამიწა.

ანთებულ კელაპტარს შევცქერივართ ყველა: მე, ჩემი
მეუღლე, ბავშვები, დედაჩემი, მამაჩემი, პარპალებს შობა
დამეს ანთებული კელაპტარი და მის ალს უერთდება
ჩვენი ოცნებები, თუმცა მარტო ჩვენი არა.

ლამეში, სიბნელეში კი თითქო ბალლის ტირილი ისმის,
ალბათ არ მოგვჩენებია, ყველა მოკვდავის ყურს მისწვ-
დებოდა, დაიბადა და მასთან ერთად ჩვენს დავიბადეთ
ხელახლა...

ჩვილმეტნი

შინდისში გმირულად
დაღუპული ქართველი
მებრძოლების ხსოვნას ვუძღვნი ამ მოთხრობას.

- შაკო.
- ჰო.
- ომობანა გინდა?
- ომობანა? მინდა.
- ვინა და ვინ ვითამაშოთ?
- აი, თაზოსაც უნდა, გურიკასაც, ხო გინდა, გური?
გურიკამ თავი დაუქნია დათოს.
- მეც მინდა, — მამუკაც იქ გაჩნდა.
- შენც ხომ გინდა ზაზა? — ახლა ზაზას მიუბრუნდა,
რომელიც ყურადღებას არ აქცევდა მეგობრების საუბარს,
ბურთს კენჭლიდა. ზაზას მარტო ბურთი ჰქონოდა და ყვე-
ლაფერი ავიწყდებოდა. ლოგინშიც კი ბურთი ედო და ერ-
თავად ოცნებობდა, რო დიდი ფეხბურთელი გამხდარიყო.
- ჰა, გინდა თუ არა? — ისევ შეეკითხა გიო.

ზაზამ პასუხი არ გასცა და გიო გაგულისდა, ბურთი გამოსტაცა.

- რა შეჭამე ტვინი, თუ არ გინდა, ხვეწნას კი არ დაგიწყებთ.
 - ვითამაშებ, ოღონდ გერმანელი არ ვიქნები.
 - ვაა, გერმანელი არ იქნება, – გამოაჯავრა შაკომ, – ვითომ რატო, რა წითელი კაკა ხარ?
 - ჯერ გავიყოთ, – თქვა გიომ, – მერე ავირჩიოთ ვინ გერმანელი იქნება და ვინ ქართველი.
 - არჩევანი, – დაასწრო გურიკამ.
- გიოს სახე აელეწა, გული დასწყდა, მაგრამ რაღას გააწყობდა.
- არადანი, – წაიღუდდუნა.
 - ზაზა ჩემია, – „ფეხბურთელს“ ხელი მოჰკიდა და გვერდით გადაიყვანა.
 - შაკო ჩემსკენ იქნება! – გიომ შაკოს დაადო ხელი.
 - მამუკა ჩემსკენ ითამაშებს, – ახლა მამუკა მოიყენა გვერდით გურიკამ.

გიოს აღარაფერი უთქვამს. ბიჭები უკმაყოფილო სახით შეათვალიერა, „რა ეშმაკია“ გული მოუვიდა გურიკაზე, „როგორ დამასწრო“.

ამასობაში გურიკამ კენჭი აიღო.

- თუ ვერ გამოიცანი, გერმანელები იქნებით, კარგი?
- მომეცი ეგ კენჭი და შენ გამოიცანი! – უთხრა გიომ.
 - კაი, ეგრე იყოს, – დათანხმდა გურიკა. გიომ კენჭი მუჭში ჩაიდო, მერე ორივე ხელი ზურგს უკან დამალა. კენჭს ხან ერთ ხელში გადაიტანდა, ხან მეორეში, ბოლოს შეუმჩნევლად ძირს დააგდო, ისე, რო ბიჭებმა ვერაფერი შენიშნეს და მცირე ხანში მომუჭული ხელები გურიკას წინ გამოიწოდა:
 - აბა, გამოიცანი?
- გურიკამ უკირკიტა, უკირკიტა და მარჯვენა ხელზე დაარტყა.
- აბა, გაშალე, – გიომ გაშალა ცარიელი ხელი და გურიკამ იმედგაცრუების ნიშნად ამოიზმუქუნა.
- ეგ არაფერი, – გაამხნევა ზაზამ, – მაინც წააგებენ.
- საიდან დავიწყოთ? – იკითხა გურიკამ.
- საიდან და აიმ თხრილს იქით ჩვენ ვიქნებით, – სოფლის კლუბის უკან ტრაქტორის ციცხვით ამოყრილ მიწის გროვაზე მიანიშნა.
- კაი, გაცოცხლება რამდენჯერ იყოს?
- ორჯერ იყოს, ხო საკმარისია, ბიჭებო?

- საკმარისია, — ყველა დათანხმდა.
- აბა მომყევიით! — შესძახა გიომ და თხრილისკენ
მოკურცხლა.

* * *

თვლემაში წასულს, ბავშვობის მეგობრები ესიმზრა. ფიცრისგან გამოთლილი თოფები, თოფებზე დახატული ხუთქიმიანი ვარსკვლავები და უცნაური ფორმის გერმანული დამლები. ესროდნენ და ესროდნენ ერთმანეთს. ზოგი „იჭრებოდა”, ზოგიც „კვდებოდა,” მაგრამ ისევ ცოცხლდებოდნენ და კვლავ ბრძოლის ველისკენ მიიწევდნენ.

ეს იყო მათთვის ომი.

კერც იფიქრებდა, რო ერთ დროს ნამდვილი ჯარისკაცის ფორმას ჩაიცვამდა, ხელშიც ნამდვილ ავტომატს დაიჭერდა და სამშობლოს დაცვა არჩევან-არადანის გარეშე მოუწევდა. „ნეტავ ისევ ომობანას ვთამაშობდე”, — ნატრობდა გიო, — „ნეტავ ისევ ხის თოფი მეჭიროს და სოფელში დავრბოდე. „ის წლები აღარ განმეორდება, მოგონებებად დარჩა, ვარდისფერი ფარდის იქით არის ის მოგონებები“.

— ვის ელაპარაკები, ბიჭო! — ბადრიმ გაოცებით შეხვ-

და, ხო არაფერი მოგელანდა?

გიო ფიქრებიდან გამოერკვა, მეგობარს შეხედა.

— ჰოო, მომელანდა.

— მომე სიგარეტი, დაგრჩა?

ბადრიმ გულის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო
და მეგობარს გაუწოდა.

— ფიქრებში წავედი, ბავშვობა გამახსენდა.

— რა, დროს ბავშვობაა, — ჩაილაპარაკა ბადრიმ, — ვი-
ღა გაცდის ბავშვობას.

გიომ სიგარეტი გააბოლა და კვლავ ფიქრებში ჩაიძი-
რა. „თითქო ყველაფერი მკვდარია, უსულო სამყაროში
ვართ და ჩვენც უსულო არსებებად გადავექმით. ცას მი-
აშტერდა. მარიამობისთვის დურდურა მნათობი ისე აჭერ-
და, სუნთქვა ჭირდა. ვეება ტაფობში ხვატი ჩამოწოლილი-
ყო. ბიჭებს გადახედა. ჭადრების ჩრდილში მიწოლილიყვ-
ნენ დამენათევი ქართველი მებრძოლები.

— გიო! — ფიქრებიდან გამოერკვა. ზაზა ეძახდა.

— არ მოგშივდა?

გიომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მე კი, საცაა ბალახის ჭამას დავიწყებ.

— ცოტაც გაძელი. მალე გავალო.

- სოფელში რო გავსულიყავით, რამეს იშოვიდა კაცი.
- კაციშვილის ჭაჭანება არ არის. სოფელში რას იშოვი?
- ვიშოვი, — ჩაილაპარაკა ზაზამ.
- ჰა, ვინ წამომყვება?
- მე წამოვალ! — თქვა გეგამ.

* * *

- სასაფლაოზე მგონია თავი ტო! — ჩაილაპარაკა ზაზამ, — მკვდარია აქაურობა, საწყალი ხალხი, გახედე!
- სული ტკბილია, ჯიგარო, — ჩაილაპარაკა გეგამ, — უველაზე დიდი ქონება ადამიანისთვის სიცოცხლეა, რაქნან. ჩვენ დავიხიეთ, მაგ უჯიშოების შემოსვლის გამო და მშვიდობიანი ხალხი გაჩერდებოდა? რომელი ეგენიც ვინმეს დაინდობენ, განა ჩვენნაირები არიან, გახსოვს, ოსების სოფელში რო გავჩერდით? თუმცა, შენ არ იყავი, ვახო იყო ჩემს გვერდით. ვახო, ჩვენი, დიდთავა.
- სახლში შევედი, ოსები ცხოვრობდნენ, მოხუცი ცოლ-ქმარი იყო, წყალი ვთხოვე, რო დაგვინახეს წივილ-კივილი ატეხეს. ოსურსა და რუსულს ერთიმეორეში ურევდნენ. — არ დაგვხოცოთო, — გვევედრებოდნენ. ჩვენ

დავამშვიდეთ. „ნუ გეშინიათ არაფერს გერჩითო,” ვახომ ჩაურუსულა, წყალზე ვართ შემოსული, წყალი დაგვალევინეთო. ვერ დაგაჯერეთ, რო მაგათი დახოცვა არ გვინდოდა. ეს ბებერი ოსის ქალი შინ შევარდა და ხელსახოც-ში გამოკრული რაღაცა გამოიტანა, მუხლებში ჩაგვივარდა, მერე ნაჭერი გამოხსნა, ოქროს სამკაულებს გვაძლევდა. მაგრა გავბრაზდი, – მოაშერეთ ეგ ოქრო აქედან, განა საყაჩაყოდ ვართ მოსულები მეთქი, რუსები მაგას გააკეთებენ? მე მაგათი! აიკლეს ჩვენი სოფლები. ის ბებერი კაცი რაღაცას ბურტყუნებდა, ვახოს ვუთხარი, რას ამბობს-მეთქი. ვერ დაუჯერებია, რო მათ დასახოცათ და გასაძარცვათ არ ვართ მისულიო.

– პოდა, უთხარი მაგ დედა... ბებერს, რო თავის ნაბიჭვარ შვილებს, თუ შვილთაშვილებს უთხრას ეს ამბავი. რამ შეაზიზდათ ჩვენი თავი აზრზე არა ვარ. არ ვიცი, ძმაო, ადამიანისთვის სიკეთე გინდოდეს და ის მაინც მტრად მიგიჩნევდეს.

ფიცრით შემოვლებულ ღობესთან კარგა ხნის ამომშრალი ონკანი მოსინჯა ზაზამ.

– მე მგონი, საუკუნე იქნება წყალს არ გაუვლია, ჩაიცინა გეგამ, – წამო აბა, შიგნით შევიდეთ, – რკინის კარს

ურდულის ენა ჩამოუწია და ეზოში შევიდა.

* * *

მახარე კედელს აეკრა. თითქო ქვად გადაიქცა. კარის ჭრიალზე შიში გაუმძაფრდა. „უნდა გავქცეულიყავი“ – გაიფიქრა, – „ეხლა გვიანია, დამინახავენ და მომკლავენ“.

ლაპარაკის ხმაც მოესმა, მიუყურადა, ქართულად საუბრობდნენ, „ალბათ, ოსები არიან, ოსებმა ქართულიც იციან, დამთავრდა ყველაფერი, ესენი ცოცხალს არ დამტოვებენ“.

ბერიკაცს ნერწყვი გაუშრა. გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

– არავინ არის, – თქვა გეგამ. ზაზამ სახლის კარი შეაღო და ისევ გამოკეტა.

ბოსლიდან საქონლის ბლავილი მოესმათ.

– წამო აქეთ, – გეგას ანიშნა, სახლის უკანა მხარეს გავიდნენ, ეზო მავთულბადით იყო გადაღობილი. ბალისკენ ბილიკი მიდიოდა. ბოსელიც იქ იდგა.

– ვინ იცის, რამდენი დღის მშიერია საქონელი.

– ვიდას აქვს საქონლის ჯავრი, – ჩაილაპარაკა გეგამ.

ზაზამ ბოსლის კარი შეაღო და ნიშა ხარმა შებ-
დავლა.

ზაზა თვალებაწყლიანებულ ცხოველს შუბლზე მიეფე-
რა. მერე გარეთ გავიდა, ჩამოშლილ ზვინთან შედგა, ჯერ
ეზოს მოავლო მზერა, თითქო გრძნობდა, რო პატრონი
სადღაც აქვე იყო. თივა დაიიღლიავა, შეიტანა და ხარს
ბაგაში ჩაუყარა.

ისევ დაიბლავლა ხარმა. მახარე ერთხანს კედელს იყო
აკრული, მერე სახლის უკან გავიდა და ახლად გაგეოუ-
ბულ ფარდულში დაიმალა. „ოსები არიან, ალბათ ხარს
წაიყვანენ”. ნიშას ბლავილი მოესმა და გული დაეწვა. „გაი-
ქეცი მახარე გაიქეცი,” თითქო ვიღაცა ეჩურჩულებოდა.
„არსადაც არ გავიქცევი, თუ სიკვდილია, ჩემს სახლში
მოვკვდე ის მირჩევნია, აქედან მკვდარს თუ წამიღებენ”.

— ეტყობა წყალი სწყურია, — დაასკვნა ხარის ბლავილ-
ზე ზაზამ, — გავალ იქნებ სადმე იყოს, — ბოსლის წინ მიი-
ხედ-მოიხედა, იქნებ რამე ჭურჭელი ვიპოვოთ და წყლით
სავსე ვედროს მოჰკრა თვალი.

— წყალიც გაუმზადებია პატრონს, — თვალები გაუნათ-
და. ვედროს დასწვდა, შეიტანა და ხარს დაუდგა, მაგრამ
პირუტყმა პირი არ დააკარა, ზაზას და გეგას შესცექოდა

და ბლაოდა.

— წავიდეთ, — თქვა გეგამ, — ბიჭები გველოდებიან.

ერთხანს ეზოში იბორიალეს და გეგამ უცბად გალიაში დამწყვდეულ კურდღელს მოჰკრა თვალი.

— შეხედე! — თეთრ ქათიბიან კურცქიტასკენ გაახედა ზაზა. კურებჩამოყრილი კურდღელი მობუზული იჯდა და აკაციის გამოკლერტილ ტოტებს დასცექეროდა.

— მოდი გავუშვათ, თორემ შიმშილით მოკვდება, — თქვა ზაზამ.

— ომში ვართ და კურდღლების გადარჩენაზე ვფიქრობთ! — ჩაეცინა გეგას.

ზაზამ გალიის კარი გააღო, მაგრამ კურდღელი არ იძვროდა. მერე როგორც იქნა ზანტად გამობობლდა, ჯერ ერთ ალაგას გაჩერდა, მიწას ყნოსავდა, მერე ნელ-ნელა, ხტუნგით, ბაღისკენ წავიდა.

— სახლში რო შევიდეთ რა იქნება?

— სირცხვილია! — თქვა ზაზამ, — სხვის სახლში ხომ არ დავიწყებთ ბორიალს.

— იქნებ პური იყოს, წყალიც წავიდოთ და წავიდეთ, სხვა ხომ არაფერი მიგვაქვს. გეგამ სახლის კარი შეაღო. ოთახის აღმოსავლეთ კედელზე ახალგაზრდა ქალის შავ-

თეთრი სურათი ეკიდა. დარიბული ავეჯი ელაგა, ასევე ძველისძველი ტელევიზორი, შუაში უზარმაზარი მრგვალი მაგიდა. რომელზეც წყლით სავსე ძველებური სურა იდგა. გეგამ ჯერ მეგობარს შესთავაზა.

— ძლიგს წყლის გემო გავიგე, — ჩაიბუტბუტა ზაზამ და სველ ნიკაპზე, რომელზეც ნაიარევი ეტყობოდა მჯიდი გაისვა.

ოთახში ვერაფერი მოიხელოს, ბოლოს სარდაფში შეაბიჯეს.

— კამპოტები ბლომად ჰქონია მასპინძელს, — ჩაეცინა გეგას, — ჭერმით სავსე სამლიტრიან ქილას დასწვდა, დანით თავსახური მოაძრო და ზაზას გაუწოდა.

ზაზამ ჭერამი დააგემოვნა და ქილა ისევ გეგას მიაწოდა.

- წავედით! — თქვა ზაზამ.
- წავედით.

აივნის ქვეშ, ალუმინის ბოციდან მათარებში გადმოასხეს წყალი და წასვლა დააპირეს.

— ნახე, სად არის ჩამოვარდნილი „სნარიადი”, — ეზოს გვერდით პატარა ბახჩაში ამოთხრილ ორმოსკენ მიანიშნა ზაზამ. რუსების მიერ გამოსროლილ ჭურვს ვევბა კაკალი

შუაზე გაეხლიჩა და ნამსხვრევებს სახლის აღმოსავლეთი კედელი ერთიანად დაეცხრილა. აფეთქების წნევას ფანჯრებიც ჩარჩოებიანად ამოეყარა.

უცბათ ხმაური მოუსმათ. ავტომატები მოიმარჯვეს.

— მე მგონი ვიდაცაა, წამო, აქეთ, — გეგამ ხელით ანიშნა მეგობარს და ფარდულისაკენ ფრთხილი ნაბიჯით გასწიეს.

ჯარისკაცების დანახვაზე მახარემ პირჯვარი ისახა. ღმერთს გადარჩენას ევედრებოდა.

ფარდულში შესულ ქართველ ჯარისკაცებს ფერდაკარგული მოხუცი შერჩათ.

— არ მომკლათ შვილო! — მახარემ ძლივს ამოილულუღა.

— რუსები გეგონეთ? — ჩაეცინა გეგას, — ქართველები ვართ, პაპა. მოდი, ნუ გეშინია.

დაბნეული მახარე თვალებს აცეცებდა.

გეგამ მხარზე მოუთათუნა მოხუცს ხელი.

— არაფერს გერჩით, პაპა, წყალი გამოგველია. საჭმელიც შემოგვაკლდა, ვიფიქრეთ ახლოს სოფელია და იქნებ ვინმე იყვეს დარჩენილო.

მახარეს თანდათან ფერი მოუვიდა. ჩაცვენილ თვალებ-

ში იმედის შუქი ჩაუდგა და ბებრული ცრემლი წამოადგა,
თუმცა ხმას მაინც ვერ იღებდა.

— მარტო ცხოვრობ პაპა?

მახარემ დაკოურილი ხელით ცრემლი მოიწმინდა.

— ცოლი შარშან მამიკვდა, შვილები და შვილიშვილები
მყამ... სად წავიდნენ არ ვიცი, ალბათ ქალაქში თუ
არიან, ნათესავს შეეხიზნებოდნენ. ესე მარტო ვგდივარ.
რა ფასი აქვს ესეთ სიცოცხლეს.

— ნუ გეშინია, მაგნაირები გვინახია? — ხელი გადახვია
ზაზამ, — ყველაფერი კარგად იქნება.

— ღმერთმა გისმინოთ, შვილო.

— სოფელში სხვები არ არიან? — ჰერთხა გეგამ.

— არ ვიცი, არავინ დამინახავს. გამოცარიელებულია
აქაურობა, ესე უპატრონოდ როგორ დატოვეს სახლ-კარი,
გაპირვებასა ვარ, — დალაწლაწებული მხრები აიჩეჩა მა-
ხარემ.

— ეგ არაფერი, ჩვენ ხომ აქა ვართ.

— წავიდეთ, ბიჭები გველოდებიან, აბა, კარგად იყავი
პაპა, — დაემშვიდობა გეგა.

— მოიცათ შვილო, ცოტა რაღაცეებს გაგატანთ, მე რა
ოხერათ მინდა. ერთი დერი კაცი ვარ, მაინც კრიჭა მაქ შეგ-

რული, ადარც წყალი ჩამდის, ადარც პური.

— იყვეს პაპა, იმდენს მაინც ვერ წავიღებთ, ბევრნი ვართ, თან სუ იმოდენები არიან, თითო კამებსა ჭამენ, — ჩაიცინა ზაზამ.

— მოიცათ, — ადარ მოეშვა ბერიკაცი და სახლში შე-
ვიდა.

— როგორ არის გასაცოდავებული საწყალი, — თქვა
ზაზამ.

— რუსები ვეგონეთ.

ცოტა ხანში მახარეს ხმა მოესმათ.

— ჩვენ გვეძახის, — თქვა გეგამ.

— ბიჭებო! — ისევ გამოსძახა მახარემ.

— აქეთ მოდით, — მახარეს სინათლე აენთო მარანში
და ქვევრთან იყო ჩამუხლული.

— აემ ქვევრსა, სამებობას ვხდი ხოლმე, ეხლა თქვენ
უნდა მოგიხადოთ.

მახარემ ქვევრს აყალო გადააცალა და ალუმის ჯამი
შავად მოლიპლიპე ლომიაურში ჩააყურყუმელავა.

— აბა გაშინჯე, — ზაზას მიაწოდა.

ზაზამ ოჯახი დაულოცა მახარეს, მშვიდობა უსურვა
და დგინით საგსე ჯამი მოიყედა.

- როგორია? – მოუთმენლად პკითხა მოხუცმა.
 - აფსუსი იქნებოდა ეს ღვინო რო რუსებს დაელიათ?
 - ჩაედიმა ზაზას.
- მახარემ ისევ გაავსო ჯამი და გეგას მიაწოდა.
- ჩვენი ბიჭები გაგვინათლოს ღმერთმა, – სევდიანად ჩაილაპარაკა გეგამ.
- მახარემ ვეება კალათში პურები, კიტრი, მწვანილი და რამდენიმე ბუმბულა ყველი ჩაუწყო ბიჭებს და ერთი ძველებური საღვინეც ახალმოხდილი ღვინით გაუვსო.
- რო გამოგელევათ, კიდე გადმოდით, შვილო.
 - გაიხარე პაპა! – სელი ჩამოართვა ზაზამ, – ბიჭებს შენ სადღეგრძელოს დავალევინებ.

* * *

ისევ იქ უნდა დაბრუნება. თითქო წასვლა გადაიფიქრა. იმ ბიჭებთან უნდა რო დარჩეს. საკუთარი თავისთვის სიცოცხლე ენანება. „ცხოვრება ისევ ისე გაგრძელდება, გაგრძელდება მეგობრების გარეშე, გაგრძელდება საშინელი მოგონებებით, რომელსაც ვერაფრით დავივიწყებ, რაც არ უნდა ვეცადო, სული ყოველთვის ამ უბედურებით მექნება დამძიმებული. რადაცით მინდა, რო მეც გაგიღო ის

მსხვერპლი, რაც იმ ბიჭებმა გაიღეს. მთელი ცხოვრება და-
მარცხებული კაცის სახელი უნდა ვატარო, მთელი ცხოვ-
რება საშინელი სიზმრების ტყვეობაში უნდა ვიყო. უმარი-
ლო ცხოვრებით უნდა ვიცხოვო, ჩემი ძმაკაცების გარეშე
და ასე უნდა გაგრძელდეს: ფიქრში, ოხვრაში, დარდში და
ვინ იცის, რამდენი წელი მიწერია ასე სიარული, ასე
ხეტიალი. ასე მგონია, რო უკვე დავბერდი. ადამიანს, როცა
სიცოცხლის ნერვს უკლავენ, უკვე ბებერია. მთებს გახედა.
სადღაც იქმა, მთებთან იყო ქალაქი, სადაც ძმაკაცები და-
ტოვა. ცხინვალის შუაები ქართველი ბიჭების ცხედრებით
მოფენილიყო. წარმოსახვაში ხედავდა, სათითაოდ აკვირდე-
ბოდა, სისხლით მოსარგლულ სახეებზე დასცექეროდა.
ეყარნენ დაუტირებლები, გაუპატიოსნებლები. რა მადლი
იყო მათზე მიწის მიყრა და ალალი ცრემლი.

ავტომატიანი რუსები დააბოტებდნენ ცხინვალის ქუ-
ჩებში და საკონტროლო სროლების მჯახე ხმები ზაფრავდა
ისედაც სიკვდილის კალოდ ქცეულ ქალაქს. მერე ვეება
ტრაქტორით გაჭრიდნენ უზარმაზარ ორმოს, სადაც მარია-
მობისთვის მზეზე უპატრონოდ დაყრილ ქართველ ბიჭებს
ჩაუძახებდნენ. ათობით გაციებულ ქართულ გულს გრუ-
ხუნ-გრუხუნით მიაყრიდა მიწას რუსული ტრაქტორი.

თავი ვეღარ შეიკავა გომ და ცრემლები დაპალუპით
წამოუვიდა.

* * *

- ნაბიჭვრებმა, როგორ დაიკავეს ამდენი სოფელი, —
შეიგინა ბადრიძ.
- ავიაცია, რომ არ ყოფილიყო, ჩემი ფეხები, ყველაზე
გოთვერანი არმია შემოგვესია, მაგრამ ხო დაინახე ნიქოზ-
თან, — სიამაყით ჩაილაპარაკა თორნიკემ, — როგორ და-
ვიფრინეთ, მაგათ საერთოდ ცხვირს არ შემოვაყოფინებ-
დით, საჰაერო დანადგარები რო ყოფილიყო, „იგლებით”
ყარეს ამდენი „სუები”.

თანამედროვე საზენიტოები რო გვქონოდა, წაიღებდნენ
ტონობით „ტრუპებს“.

მოურწყაობით ფოთლები ჰქონდა შემჭკნარი ხეხილის
ბადებს. მიწაზე ვეება ნაპრალები გაჩენილიყო. შეაგულ
ბადში რამდენიმე ადგილზე პირდადრენილი ორმოები დაე-
ტოვა მტრის მიერ გამოსროლილ ჭურვებს.

- მომე, ერთი წამი დურბინტი, — სთხოვა ბადრიძ.
- გახედა, დიდხანს ათვალიერა მიდამო, გადახრუკულ,
ნახანძრალი მინდვრის ბოლოს მიტოვებული შენობები ჩან-

და. იქვე, სამხრეთისკენ ლულამოშვერილი ტანკები და-
ლანდა, რომლებზეც ქართული დროშები იყო აღმართული.

- ნეტა რომელი ბრიგადაა.
- რას გაიგებ? – თქვა თორნიკემ, – ისე არიან დაფან-
ტულები...
- ავიდეთ? – თქვა თორნიკემ.
- რაზე ავიდეთ, – ხელი ჩაიქნია თორნიკემ, – ადარა-
ვის ნერვები აღარა მაქ, წავედით, რაც მალე გავშორ-
დებით აქაურობას...

* * *

- წავედით! – ჯარისკაცების გასაგონად თქვა ბადრიძ.
 - დავსხედით, – დაიძახა თორნიკემ.
- სამხედრო მანქანის ძარებზე შეხტნენ მებრძოლები.
- ზაზა და გეგა არ ჩანან, – თქვა მამუკამ.
 - გიო საით არის? – ბიჭებს გადახედა ბადრიძ.
- ხის ძირში ჩამუხლული გიო ქალივით ქვითინებდა.

გამოგვალულ მიწაზე მუხლებით იდგა და დაპალუპით
ჩამოსდიოდა კურცხალი.

ბიჭების ხმა მოესმა. ღონე მოიკრიბა, წამოდგა და
მანქანებისკენ გაემართა.

— სად წახვედი, კაცო! — უსაყველურა ბადრიმ და ნამ-
ტირალევ თვალებში შეაცქერდა მეგობარს, გიომ თავი
ჩაღუნა.

— აგვ, ისინიც მოჩლახუნებენ, — ჯარისკაცებმა შორი-
დან მოჰკრეს ზაზას და გეგას თვალი. თორნიკემ სარკმ-
ლიდან თავი გადმოყო და დაუყვირა:

— დროზე, რა, როდემდე გელოდოთ?
მანქანების კოლონა მძიმედ დაიძრა.

* * *

სამხედრო მანქანის ჯანჯღარში ჩაეძინა. თვლემაში
წასულს ესიზმრა, თითქო ქართველი მებრძოლების გვერ-
დით იყო, მტვერში გახვეულ საურმე გზას გახედა და რას
ხედავს: დაკლაკნილ სავალზე შუბებაწვართული მხედრიო-
ნი მიირწევა. მხედრიონს ბოლი არ უჩანს. თქარა-თქურით
მოდიან საუკეთესო ტაიჭებზე ამხედრებული ქართველი
მებრძოლები. შიგადაშიგ ომახიანი შეძახილები ისმის. გი-
ოც შავ-შავ ულაყზე იჯდა. ხელში დროშა ეპყრა, რომელ-
ზეც წმინდა გიორგი იყო გამოსახული. შუბის წვერებზე
ცეცხლს ანთებდა ზაფხულის მნათობი. დიდი ბრძოლა
მოეგოთ ქართველებს...

რამდენიმე წუთიანი თვლება და საოცნებო სიზმარი გაჰქრა. ძილი უკცარმა სროლამ დაუფრთხო.

უაზროდ იყურებოდა, ცხენოსნები არსად ჩანდნენ, არც ხუთჯვრიანი დროშები ფრიალებდა. არც ქართველი მებრძოლების მხიარული ყიუინა გაუგია. ხედავდა დაბნეული ჯარისკაცების დამფრთხალ სახეებს და ესმოდა მებრძოლების ყვირილი. ბადრის ხმაც გაარჩია.

— არ დაიბნეთ, რუსები არიან მაგათი დედა!

გიოს ყურს თორნიკეს ხმაც მისწვდა:

— ქართული დროშა აქვთ აღმართული, მოგვატყუეს.

— დავაი, პოზიციები, არავინ არ დაიხიოთ! — ავტომატებიდან გაუხსნეს ცეცხლი. გვერდით, სულ რაღაც ორმოციოდე ფეხის გადადგმაზე რკინიგზის ლიანდაგი გადიოდა, სადაც ბარე ორი ათეული წელი იყო, რაც მატარებელს აღარ გაევლო. რკინიგზის ხაზის გვერდით მიტოვებული ძველი შენობები იყო. იმ ადგილთან, სადაც ქართველი ჯარისკაცების მანქანები გაჩერდნენ, ხუთასიოდე ნაბიჯის მოშორებით ძველი წისქვლის შენობასთან რუსული სამხედრო ტექნიკა იდგა. ოდნავ წინ, ჭადრის ტოტებით შენიდბულ „ბეემპეებზე“ რუსებს ქართველი ჯარისკაცების მოსატყუბლად ხუთჯვრიანი მოალაფებული დროშა

აღემართათ.

- რამდენი მანქანაა? – იკითხა რუსების ახალგაზრდა მაიორმა, რომელიც ეროვნებით ყაბარდოველი იყო.
- ოცდაათამდე იქნება, – უპასუხა ოცმეთაურმა.
- არც ერთი ცოცხალი არ უნდა წავიდეს. ეხლა ვაჩვენებ, როგორი მებრძოლები არიან.
- ხომ ხედავ? – ოცმეთაურს მიუბრუნდა, – სად გამოგვადგა ეს დროშა, არხეინად მოდიოდნენ. ომი დამთავრებული ეგონათ. ახლა უშველონ ამერიკელებმა.

რუსებმა ჯავშანტექნიკიდან ისეთი ცეცხლი გახსნეს კაცს მეორედ მოსვლა ეგონებოდა. ქართველებმა მიტოვებულ შენობებთან მოასწრეს თავშეფარვა და საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს. მაგრამ მთავარი ძალა გაიფანტა. ვინც მოასწრო, მანქანებიდან ჩამოხტა და ბალებზე გაქცევით თავს უშველა. ხოლო ოციოდე მებრძოლი რუსების სამიზნეზე მოჰყვა და აქედან გაღწევა წარმოუდგენელი იყო. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლის წვიმა მოდიოდა. ჩამობნელდა. უცნაური წყვდიადი ჩამოწვა. თითქო აპოკალიფსური ამბები ცხადდებოდა. ბადრი ბიჭებს ამხნევებდა. ხმა ჩახლებოდა, მისი შეძახილი მაინც ესმოდათ ჯარისკაცებს. გიო მომცრო, კედლებდაბზარულ შე-

ნობას ამოფარებოდა და მტერს იქიდან ესროდა. ხვდებოდა, რო უაზრო იყო ეს ბრძოლა, რადგან წინ ურიცხვი მტერი იდგა, სისხლით დაურწყულებელი მტერი და ოციოდე ქართველი მებრძოლი ამდენ დამპყრობელს ვერ გააბრუნებდა. თუმცა, მაინც უნდა ებრძოლათ და იმ კითხვას, რომელიც ბავშვობიდან ხშირად უჩნდებოდა – „ნეტა როგორ წირავდნენ სამშობლოსთვის თავს ქართველები” – სწორედ ახლა უპოვიდა პასუხს. „ამ დროს, გადამწყვეტ მომეტში, ალბათ, ყველა ქართველი ერთნაირი ხდება, მე ასე მგონია, ყველანაირი ფიქრი გიქრება, მარტო ერთ წერტილს ხარ მიშტერებული, წერტილს კი არა ნათლის სვეტს და ის ნათლის სვეტი სამშობლოა”. აი, თურმე რატომ ესიზმრა საუკუნის წინანდელი ქართველი მებრძოლები გიოს, ისინი ყველანი სამშობლოსთვის დაღუპული მეომრები იყვნენ, ზოგი არაბებთან, ზოგი ოსმალებთან, ზოგიც სპარსელებთან. გიოც იმიტომ იდგა მათ გვერდით, რო მასაც თავი უნდა გაეწირა მამულისათვის.

– ბადრიიი, ზაზააა, თორნიკე, რუსლააან... ნუ გეშინიათ ბიჭებოოო! – თვალებანთებული გიო მეგობრებს ამხნევებდა.

ცოტა ხანში რუსების რამდენიმე ჯავშან-მანქანას ცე-

ცხლი ავარდა. რკინიგზის ლიანდაგის გვერდით შენობის კუთხეში ჩასაფრებულ თორნიკეს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვის სატყორცნი გაედო მხარზე და მიზანს არ აცელდა.

რუსების მაიორს სიმწრის დუჟი მოსდიოდა.

- თქვენი დედა!.. – აგინებდა რუს ჯარისკაცებს, – რისთვის ყრიხართ?!
 - ბევრი არიან, – აღმოხდა ერთ რიგითს, რომელსაც ყაბარდოელმა ოფიცერმა ალიყური აჭამა.
 - თქვენზე ბევრი არიან?
- გააფორებულ ბრძოლას დამთავრების პირი არ უჩანდა. მაიორი გინებით რაციას დასწრდა და დამხმარე რაზმს გამოუძახა...

* * *

- არც ერთი ჩვენთაგანი ტყვედ არ ჩაბარდება! – თქვა ბადრიმ და მცრის ადგილსამყოფელს ნადვერდლიანი თვალებით გახედა.
 - სანამ ტყვიები გვეყოფა, გვეყოფა... მერე გულის ჯიბეზე ჩამოკიდებულ ხელყუმბარაზე მიანიშნა თორნიკემ.
- ისევ განახლდა სროლა. ახლა უფრო მეტი ძალებით შეუტიეს რუსებმა. ცეცხლის ნახევარწრე თანდათან ახ-

ლოვდებოდა და გრძნობდა გიო, როგორ ჩერდებოდა მისი უახლოესი მეგობრების გულის ფექვა. ქართველების წინა-აღმდეგობაც შენელდა.

შეშლილი სახით გაჟყურებდა თანამებრძოლებს. ზოგი ზურგით მიყდნობილი გარინდებულიყო კედელთან, უკვე მარადისობასთან შერწყმული, ზოგი პირქვე ეგდო მიწაზე.

ბოლოს მარტო გიოს ავტომატის ხმა ისმოდა, თუმცა...
ავტომატი კედელზე მიაყუდა. იქაურობა მოათვალმზე-რა. აღარც თორნიკე იყო ცოცხალი, აღარც ბადრი, აღარც რუსლანი...

საშინელი ხმით დაიღლიალა და ენით აუწერელი სიმ-წარე და ბოლმა დაეფინა მის განწირულ ხმასთან ერთად იქაურობას.

თვალზე ბინდი ჰქონდა გადაკრული.

ჩაიმუხლა და კვნესა მოესმა. აქეთ-იქით გაექცა მზერა. ტყვიებს აღარ მორიდებია. ჯერ ბადრის მივარდა, მაგრამ მის გაციებულ მაჯას კანკალით გაუშვა ხელი. რუსლანს თვალები დაუხუჭა. თორნიკე... თორნიკე ცოცხალი იყო, თუმცა ოდნავდა ფეთქავდა. წვალებ-წვალებით გადაახოხა შენობის უკან. მეგობრის სისხლით მოესარგლა სახე და ხელები.

რუსული ლაპარაკი გაიგონა. მერე სათითაო გასროლა. გადამთიელები დახოცილ ქართველ ჯარისკაცებს, ყაბარ-დოელი მაიორის ბრძანებით „კონტროლკებს“ უკეთებდნენ.

გიო თორნიკეს ჩაეხუტა, თითქო ჭირისუფლობას უწევდა. თორნიკეს სისხლს მისი ცრემლი შეერია. მთებს გახედა, მარიამობისთვის ბინდის ქსოვილში გახვეულ მთებს, ეგებ არც იყო ბინდი და გიოს ეჩვენებოდა, მისთვის მარადიული დამე დგებოდა. გულის ჯიბეზე წამიერად გაიკრახელი. გირჩის მსგავს ყუმბარას, კბილებით წააძრო თავი და თვალები დახუჭა...

* * *

ის ადგილი არავის განსასვენებელს არ ჰგავს. ბევრი საფლავი მინახავს. მინახავს ჩემი სოფლის ეკლესიის გვერდით ძველისძველი სამარხების ქარაგოზიანი ქვები, წარწერები რო ხავსშია შემალული. უფრო ახლებიც მინახავს, უანგიანი მესრებით შემორაგვული, უფრო ახლებიც თეთრი, თუ შავი მარმარილოთი მოპირკეთებული და კოდევ უფრო ახლებიც, ბორცვაკოკოლავებული, ჯერაც დაუმჯნარი გვირგვინებით, სადაც თავსა და ბოლოში სანთელმიდნარი ქვებია ჩარჭობილი.

ის სულ სხვაა, იმიტომ რო საფლავი არ არის. ის არის ადგილი, სადაც ერთად ყრია ჩვიდმეტი მუჭა მიწა. იმ მიწაში შინდისში გმირულად დაცემული ჩვიდმეტივე ქართველი ჯარისკაცის სისხლი ერთად არის შერეული.

ცხოვრების ციცქნა ეპიზოდები

– რომელზე გავა?

ყურადღებას არ მაქცევს, რაღაცას ჩაჰკირკიტებს.

– ქალბატონო!

შენც არ მომიკვდე. თითქო უჩინარი ვიყო და ვერცა მხედავდეს. გავგულისდი, მაგრამ ქალია და რა უნდა ვუ-
თხო. ჩავახველე, მაინც არაფერი. ამასობაში ვიღაც
ულგაშებიანი კაცი მოვიდა და დამტვრეული ქართულით
შიგადაშიგ რო რუსულ სიტყვებს ურევდა ჰკითხა:

– „ბათუმზე“ ორი ლუქსი, თუ შეიძლება.

მაშინვე მიაქცია ყურადღება. ქაღალდებს თავი მიანე-
ბა. სათვალე მოიხსნა.

– დაახლოებით ერთ საათში ჩამოდგება. ორი ლუქსი,
ხომ.

ულგაშებიანმა თავი დაუქნია. სალაროში მომუშავე
ქალმა, რომელიც ორმაცდაათს იქნებოდა მიტანებული, ბი-
ლეთები შეავსო. ამასობაში მგზავრმა საფულე ამოიღო,
ფული გადათვალა და ციცქნა სარკმლის ქვეშ შეაცურა.

რაღაცნაირად მომინდა, რო ამ ქალისათვის ერთი
გვარიანად მეგინებინა, მე ამის...

თუმცა, ვერც შევაგინე და ვერც ვერაფერი. ფული გა-
ვუწოდე, ლუქსი ნომრის ბილეთი გამოვართვი და წამო-
ვედი.

როგორ უცბად შემოგვადნა ზაფხული, როგორ უცბად
გაიპარა დღეები. ისეთი ლუნგი დღეები იყო, ისეთი და
თვალის დახამხამებაში მოგვადგა ზამთარი. გიორგობისთ-
ვის მზემ ძალა დაკარგა, გვიანი შემოდგომის ფერები
ჩამოიღვარა მთებზე, ბუნება უკანასკნელ დღეშია, სულს
დაფაგს, გალოპრილი, გაძარცვული ჭალები საცოდავად
მოჩანს მტკვრის პირას. ცოტაც და გვიანი შემოდგომის ამ
უცნაურ ფერებს, რომელთაც ვერცერთი სიტყვით ვერ
გადმოსცემ, სითეთრე შეენაცვლება და როგორც ჭირისუფ-
ლებისგან გაპატიოსნებულ, გამოგლოვილ ცხედარს, ისე
წაფარებს ქრისტეშობისთვე ნასრანისფერ სუდარას. მა-
ნამდე გიორგობისთვე ჭირისუფლობს ბუნებას. უფოთლო
ხეებს ეჩურჩულება, ამხნევებს. არაფერი იკარგება ამ წუ-
თისოფელში არაფერი ქრება უკვალოდ. ის სამი თვეც
მალე გაირბენს. დრო მარტო სიცოცხლეზე არ მოქმედებს,
დრო სიკვდილზეც მუშაობს, წავა ქრისტეშობისთვე, მერე
აპნისი, მერე... ხეში წყალი ჩადგება, სიცოცხლე აფუთ-
ფუთდება, ყინული გალხვება, წყალი ახმაურდება, ბზეწვია

ჩიტი შემოჯდება გაზაფხულის მახარობლად ხის კენჭე-
როზე... ნუ გეშიანიათ ამშვიდებს გიორგობისთვე. გაძარც-
ვული ხეებიც ჩუმად არიან, სხვა გზა არცა აქვთ.

ბაქანზე კანტიკუნტად ირევიან მგზავრები. დავდივარ,
ბოლთას ვცემ. ერთი სული მაქვს, როდის შემოიჭრება
კივილით მატარებელი.

ერთი საათის წინ დამირეკა. არა მანამდეც მირეკავდა,
მაგრამ ბოლოს ერთი საათის წინ დამირეკა.

— ერთად წავიდეთ ბათუმში, რაღა დროს ზღვაა, წა-
ვიდა, გაიწურა ზაფხული, აცივდა. მე მგონი, ჩვენს მეტი
აღარც არავინ იქნება, მაგრამ ეგ არაფერი ჩვენ ხომ არა-
ნორმალურები ვართ, უფრო სწორად გიჟები. თუმცა, ეგ
არაფერი, ვითომ ზაფხულია, ვითომ პაპანაქება სიცხეა,
ვითომ ბევრი ხალხია, ვითომ, ეგ არაფერი, მთავარი ის
არის...

— რა არის მთავარი? მთავარი ის არაის რომ ჩვენ
ერთად ვიქნებით, ერთმანეთს გულისნადებს გავუმხელო,
მერე ზღვასაც გავანდობთ ჩვენს გრძნობებს...

— ხომ გეგონა?

— რა მეგონა?

— ის, რო ყველაფერი დასრულდა, ის რო ასეთი რამე

არასოდეს მოხდებოდა, მეც ეგრე მეგონა და რო მეგონა ვძლიე საკუთარ თავს და იმიტომაც გადავწყვიტე შენთან ერთად რამდენიმე დღის გატარება. თანაც, ზღვის პირას, თანაც იმ დროს, როცა პლაჟზე პაციშვილის ჭაჭანება არ იქნება, მაგრამ...

- ფეხებზე მკიდია.
- მეც ეგ მამშვიდებს, რო გკიდია, რადაც თავისუფლება რო აღმოაჩინე შენში ეგ მახარებს.
- არასოდეს მილაპარაკია შენთან ასე გულახდილად. ნერწვი მიშრება.
- გესმის?
- ჰო მესმის.
- რადაცისგან მინდა რო გავთავისუფლდე. საკუთარ თავს ვებრძვი და ვხვდები, რო ეს ბრძოლა აუცილებელია, იცი რამდენ რამეებს აღმოაჩენ შენში? ძაან ბევრ რამეს. იმდენი რაღაცაა ჩამალული და ჩვენ აზრზე არ ვართ.
- მარტა, – კოცნის ხმაა, – ერთი სიტყვით მივდივართ. ზღვის ხმა თუ ჩაგესმის?
- მე ჩამესმის, გეფიცები. მატარებლის კივილი, ზღვის ხმაური და შენი სუნთქვა. ძაან მაგარია, მწერალი რო ვიყო აუცილებლად დავწერდი.

— რას?

— რაღაცას, მაგალითად სასიყვარულო რომანს და ათას რაღაცას გამოვიგონებდი, თუმცა გამოგონილიც არ იქნებოდა, ეს ყველაფერი ისედაც მოხდებოდა, სხვანაირად რო წარმართულიყო ცხოვრება.

ცარიელ ლიანდაგს გავცემოვარ. სადაცაა კივილით შემოიჭრება ჩქაროსნული მატარებელი. წარმოსახვაში უკვე ვხედავ, როგორ მოჰქრის, როგორ მოაპობს სივრცეს, ისიც იმ მატარებელშია. სარკმელს მიყრდნობილი გარინდებული გასცემრის მთებს, ოქრო ჩამოღვენთილ მთებს, რომლებიც გარბიან, გარბიან და ისევ იქ რჩებიან, თუმცა, მას ეჩვენება, რო გარბიან ისე როგორც ბევრი რამე გვეჩვენება. ცხოვრება მოჩვენებებითაა სავსე, ხან გვჯერა ამ მოჩვენებების, ხანაც გვაიძულებენ რო დავიჯეროთ. გასცემრის და ფიქრობს რაღაცაზე. მე მგონი ჩემზე, იქნებ სხვა რამეზეც, თუმცა მე ასე მგონია და მინდა რო ასე იყოს. ცხოვრებამ რაღაც უცნაური კადრებივით ჩარბინა ჩვენს თვალწინ. ისე ჩაირბინა რო ხეირიანად ვერც კი მოვას-წარით დანახვა, რო ერთხელ კიდევ შეგვევლო თვალი. ყველა ადამიანს შეუძლია გარდასული დღეების დაბრუნება, უფრო სწორად ხელახლა გავლა, თუკი მოისურვებს,

მაგრამ ადამიანი თავის წარსულს გაურბის, ბევრი იტყვის, რო არ გავურბივარო, მაგრამ გაურბის. გვიანი შემოდგომის თელხი სისინებს, ხან ბაქანზე შემოიჭრება მოახლოებულ ზამთარს შეგვახსენებს, ხან მტკვრის პირზე გაინავარდებს და იმ გაძარცვულ საცოდავ ხეებს, ერთი ფოთოლიც რო აღარ შერჩენიათ, ერთხელ კიდევ გაწევაპლავს. „ებეც თქვენა, თქვე უფოთლოებო თქვენა, გეგონათ რო სულ მწვანედ იქნებოდით?!“

მე ისევ ცარიელ ლიანდაგს გავცეკრივარ, რომელიც უაზროდ გატარებულ ცხოვრებას მაგონებს. უცბად დაიკივლა მატარებელმა, ფიქრები გამისხლტა, თვალი გამექცა შორს, ძალიან შორს და ჩქაროსნის წითლად შეღებილი ცხვირიც გამოჩნდა, გული ამიჩქარდა. ტელეფონი ამოვიდე უბიდან.

- აქ ვარ.
- სად ხარ?
- ბაქანზე გელოდები.
- რომელია შენი ნომერი?
- 37.
- კაი.

ისევ დაიკივლა მატარებელმა და ასე მეგონა, ჩემი გუ-

ლის ხმა გამოსცა.

მერე როგორც იქნა გაჩერდა, ერთი ორი მგზავრი ჩამოვიდა, ბაქანზე მყოფი ოცამდე მგზავრი კი თავის ბარგიანად მატარებელმა გადაყლაპა.

აგხტი და დავიწყე ნომრის ძებნა. ვაკვირდები ჩქაროსნის თეთრად შეღებილ კუპეებს.

— 23-24 აქეთ უნდა იყოს, — ვბუტბუტებ ჩემთვის. თან უფრო მიჩქარდება გულის ცემა, თითქო ხელახლა იწყება ცხოვრება, მამაძალლი ცხოვრება, როგორც პაპაჩემი იტყოდა ხოლმე. რამდენი წელია არ მინახია, შეიცვლებოდა, შეიცვლებოდა აბა რა, ამხელა დრო გავიდა, მეც შემომეპარა სიბერე, საგუგულე თოვლივით გამითეთრდა თმა. ისიც შეიცვლებოდა ალბათ, მაგრამ ძველებური ეშხი მაინც ექნება, როგორ მაინტერესებს, ღმერთო, საათი თითქო უკუდმა ატრიალებს ისრებს, აგერ 37. მცირე ხანს გავჩერდი, ვიდრე კუპის კარს შევაღებდი. გავჩერდი, კარს მივაშტერდი. თითქო ხელები აღარ მემორილება, რო გავაღო, აქამდე მოვედი, აქამდე მოვაღწიე და დამთავრდა, ნაბიჯს ვეღარ გადავდგამ. ჩემს მაგივრად თითქო სხვამ შეახო სახელურს ხელი. ჩამოწია და კუპის კარი გააღო, გზერა შევარდა და ძებნა დაუწყო ადამიანს, რომელიც სა-

რკმელთან იჯდა და მელოდებოდა.

თუმცა... იქ იჯდა მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელიც ერთ-მანეთს ეალერსებოდა. ბოდიში მოვუხადე, მაგრამ ჩემს დანახვაზე რეაქცია არ ჰქონდათ. კარი მივპატე და ნომერს დავაკვირდი, თვალი ხომ არ მატყუებს-მეთქი ნამდვილად 37 ეწერა. ტელეფონი ამოვიდე და დავურეპე.

- ვერ გიპოვე.
- როგორ ვერ მიპოვე?
- ხო ოცდაჩვიდმეტი მითხარი.
- ოცდაჩვიდმეტი არა, ორმოცდაჩვიდმეტი.
- ჰო, კაი.

გამოშტერებული დავაბოტებ. რატო გავიგე ოცდაჩვიდ-მეტი, ეგ არაფერი. ორმოცდაჩვიდმეტიც აქვე არ არის? მა-ტარებლის სარკმელთან დაისღამე მოგოგმანდა უკვე. მთე-ბის მაღლა ვარსკვლავები მიაქსოვა ცის მარმაშს უჩინარ-მა. ორმოცდამეჩვიდმეტე კუპესთან გავჩერდი.

„რა ვუთხრა პირველი სიტყვა შეხვედრისას“. ვფიქრობ ჩემთვის. რა მნიშვნელობა აქვს მთავარია რო შევხდები. ჰო, მაგრამ რაღაცა ხომ უნდა ვუთხრა. თავისით მოვა ის სიტყვები, თავისით გაჩნდება. ახლა უფრო დავიმორჩილე ხელი სახელური ჩამოვწიგ, კარი გავაღე და...

ორი შუახნის ქალი იჯდა არაქართული წარმოშობის, სიმართლე რო ვთქვა, რა ენაზე საუბრობდნენ, ვერ გავიგე. სახეზე თითქო ცეცხლი მიკიდია. გეგონება სიზმარში ვარ და სწორედ სიზმრის გმირი მელაპარაკება ტელეფონით. სახეზე მოვისვი ხელი, უაზროდ მოვისვი, ცხადია, ცხადი. მითხრა ორეულმა. ისევ ამოვიდე ტელეფონი, ვიღაც უცნაურმა ქალმა მიპასუხა, რომელიც ყველას ერთნაირი ხმით ელაპარაკება: „გასულია მომსახურების ზონიდან“. ისევ დავრეკე, ისევ იმ საზიზდარი ქალის ხმა ისევ ისევ... კუპის კარი გავაღე და ისეთი მივახეთქე, რო ორივე მანდილოსანი გულგახეთქილები გამოცვივდნენ, რაღაცა უჩემთვის გაუგებარი სიტყვები დამაყარეს. წადით თქვენი! ხელით ვანიშნე, რო ვაგინებდი. ისევ დავრეკე, არაფერი. გიჟის ნაბიჯებით ჩავედი ბოლო ვაგონამდე. სარკმელი გავაღე და უცბად შემოვარდა მატარებელში გიორგობისთვის სუსხი, რომელსაც არ ბილეთი უნდოდა, არც არაფერი, თამბაქო გავაბოლე.

— რატო აქვს გამორთული? ვკითხე ჩემს თავს და აფუთფუთდა ათასგვარი ეჭვი, იქნებ სულაც ბატარეა დაუჯდა და ვერ მიკავშირდება, მაგრამ ნომერი, ნომერი. იქნებ ნომერი შეეშალა. როგორ შეეშლებოდა, რა ვიცი

აბა, მაგნაირები ეშლებათ? ვაპატიებ, ყველაფერს ვაპატიებ. ცხოვრების ამ ციცქნა ეპიზოდის გაცოცხლებისათვის ყველაფერს ვაპატიებ, ვლაპარაკობ ჩემთვის. თუმცა კი არ ვლაპარაკობ, გიორგობისთვის დაისღამეს ვეჩურჩულები, რომელიც ჩქაროსნის სარკმელზე ჩამომჯდარა და მომდევს, თავს არ მანებებს. რა გავაკეთო ახლა მარტო დაისღამეს ვესაუბრო, თუ მოვძებნო, ისევ დავრეკე, გასულია...

ავდექი და „პრავადნიკივით“ დავიწყე ჩამოვლა. ხან ერთ კარს ვაღებ, ხან მეორეს, ზოგგან ბებრები არიან და ხვრინავენ, ზოგგან ახალგაზრდები წვანან და ვნების მორევში ჩაძირულან. მატარებელში მძაფრდება ვნება, ალბათ ასეა. ზოგგან ქალები, ზოგგან ბავშვები, ზოგგან, დაკეტილი მხვდება კარი, ვაბრახუნებ, იმათაც მატარებლის გამცილებელი ვგონივარ და მიღებენ კარს, მერე მე ბოდიშს ვუხდი შეწუხებისათვის, ზოგი საერთოდ არ აღებს. ჩავყე ბოლომდე, ჩავყე, არ არის... სარკმელს მივეყრდენი შუბლით, ნაცემ-ნაგვემივით მივეყრდენი და მანუგეშებლად ისევ დამეს მივენდე.

თითქო უდაბნოში ვარ. არავინ არსებობს ირგვლივ. მატარებელში ერთი უბედური მგზავრია მხოლოდ და ის მგზავრი მე ვარ. სად ჯანდაბაში მივდივარ არ ვიცი. მისი

სიტყვები მახსენდება, მატარებლის კივილი, ზღვის ხმაური და შენი სუნთქვა... ისევ გამახსენდა ტელეფონი, დავრეპა და ამჯერადაც გამორთული პქონდა. მემანქანის ოთახიდა დარჩა.

„სად არის?“ – ვლაპარაკობ ჩემთვის. რომელ კუპეში, ხომ არ გამომრჩა. არაფერი გამომრჩენია, ყველა ოთახი ვნახე.

თანდათან დაიფერფლა გიორგობისთვის გრძელი დამკ. უძილო თვალებს შეეფეთა დილის ნათელი. ზღვის სიახლოვე ვიგრძენი. ზღვაურმა მომიღიტინა სახეზე.

ჩქაროსანი თითქო სამუდამოდ დადუმდა. ნელ-ნელა ჩამოიცალნენ დამენათევი მგზავრები. სათითაოდ ვაკვირდები სახეზე. გიჟივით ვაკვირდები, იქნებ ისე შეიცვალა რო ვერ ვიცანი, ჰა? ვეკითხები ჩემს თავს, სახეს მარიდებენ მგზავრები, უეჭველად გიჟი ვონიგარ.

ბოლო მგზავრიც ჩამოხტა...

სიზმარივით გაქრა ყველაფერი, იქნებ მართლა სიზმარი იყო. მომეჩვენა, ალბათ, არც დაურეპაგს და არც არაფერი, ეს ნომრებიც მომეჩვენა. ტელეფონი გავსინჯე, მისი დარეკილი ისევ ახსოვდა ტელეფონს.

ჯერ ისევ ეძინა ქალაქს. მიუსაფარი კაცივით გავუყვით
ქუჩას.

კაციშვილი არ ჭაჭანებს თვალუწვდენელ ქვიშის ნა-
პირზე. მარტო მე მივუყვები, მარტო ჩემი ნაკვალევი რჩება.
ზღვამ ნელ-ნელა გაახილა თვალი. ლამენათევი ტალღები
შეარწია, გაიზმორა და ცოტა გაუკვირდა, ამ ზამთრის
პირას ნეტავ ვის გავახსენდიო. რა იცოდა, რო მეც მა-
სავით მარტო ვიყავი.

მზეს თითქო ამოსვლა დაავიწყდა, კარგად მოთენდა,
მაგრამ გიორგობისთვის მნათობი მაინც არ ჩანდა.

მერე უცბად ტელეფონი აწერიალდა. დაგხედე, ის იყო.

ხელი ამიკანკალდა, ერთი ხანობა გადავიფიქრე, რო
მეპასუხა, მაგრამ მივხდი, რო ამას ვერ შევძლებდი.

– ჩახვედი?

– ...

– გესმის ჩემი?

– მესმის.

– ჩახვედი?

– ჩავედი, რატომ...

– არა უშავს, მესმის ზღვის ხმაური და შენი სუნთქვა,
და კიდევ... დაგრწმუნდი, რო გიყვარვარ.

ამირანის ზედაშე
ნიქოლისა და ცხინვალის მიტროპოლიტის
გუგუ ისაიას

- ამირან, გეხვეწები!
- რას მეხვეწები, — კუჭბად შეხედა ცოლს ბერიკაცმა.
- ღმერთი არა გკლამს, კაცო, იმ უბედურებას გადა-
ვურჩით, იმ სიკვდილის კალოს დავადწიეთ თავი და ეხლა
გინდა, სიბერე გაიმწარო? ადამიანი არა ხარ? ცოვრებაში
ერთხელ მაინც დამიჯერე, მარტო ჩვენ ხო არა ვართ ესეთ
დღეში.

ისევ შებდგირა ცოლს მგლისმუხლიანმა ამირანმა. მე-
ზობლებმა დაარქვეს მგლისმუხლიანი. დაღლა არ იცოდა
შამბირეთზე ამხნის კაცი ისე ავიდოდა და ჩამოვიდოდა
ერთს არ შეიქაქანებდა, ერთს არ ჩაიმუხლებდა. ცხოვრება
ვერაფერს გახდა ამირანთან. წუთისოფელმა ბევრი უტრია-
ლა, ბევრი, ხან აქედან, ხან იქიდან, მაგრამ ვერაფერი.
ისევ ისეთი ჯანი შერჩენოდა, ისევ ის სავატობა ჰქონდა
მუხლში და მაჯაში, ბარე თრჯერ ახალგაზრდებიც ვერ
დაუდგებოდნენ ვერც ერთ საქმეში: ბარვა იყო, თოხნა, თუ
შეშის ჭრა, კაი აზაფერი ხარი ვერ მოერეოდა, ის რო
ხელურმით შეშას ჩამოიტანდა, მახარობლის ტყიდან, ერთი

წამალა წყაროსთან შეესვენა, ერთი პეშვი მაცოცხლებელი წყალი დაელიძ და თუ გინდა, შამბირეთის მთას დაბლა ჩამოიტანდა. ეხლა კიდევ, თითქო ჯანი დაუჟანგდა, სისხლი დაუზანტდა, ძარღვებიც მოეშვა, მუხლმაც ლონება დაუწყო. მზით გაშემარტლული სახეც გაუფერმქრთალდა. უსაქმურად იჯდა და ერთავად მთებს გასცეკეროდა იმ მთების იქით დარჩა ამირანის სოფელი.

შემოდგომა შემოპარულიყო. ამ დროს ტყის გზას იყო გაკრული ამირანი. ზამთრისათვის შეშას იმარაგებდა. მერე რა ტყები იყო დალოცვილი, რცხილასა და წიფელს ვერ გამოლევდი, ახლა როგორი ცეცხლი იცოდა, თითქო რცხილის ნაკოდალს მოდებული ალის სურნელმა მოუღიტინა, ეგეთი შეშა, მე მგონი, არც ერთ ტყეში არ იყო, კვარივით ედებოდა, სულ რო ნედლი ყოფილიყო, სულ რო წყალი გამოსვლოდა ძარღვებიდან, შეუკეთებდი და და, და, და... მოედებოდა ალი. ახლა ნაკვერჩხალი იკითხე, რა გაძლება ჰქონდა დალოცვილსა, განა ზონკრისა და შუაცხვირის ტყის შეშასა ჰგავდა, ნაცრად რო მიდიოდა ხოლმე, ეს სულ სხვა იყო, ჩაიწვებოდა რცხილა და დაახორავებდა ნაკვერჩხალსა. ამირანი კედელზე მიყუდებულ ცულს დასცემის, ილას ნაჩუქარ ცულს, „ცხონებული მეტყველი ილა,

რა კაცი იყო, დმერთმა იმისი სული შეინახოს“, რო კვდებოდა, აეს ცული, რომელიც ბარე თრი საუკუნისა იყო, ილას პაპის, პაპის, პაპის ჟამინდელი, სამახსოვროდ ამირანს დაუტოვა. ერთხელ ეყურებინა ამირანის მუშაობისთვის ტყეში, სხვები რო ვეება ხერხით აქცევდნენ ტოტოჩინა ხეებს, ამირანი მარტოკინა დაეტაკებოდა და დედა ვუტირე, თვალის დახამხამებაში ზღართანს გაადენდა, მაშ. ჰოდა, ილა სანამ თვალს დახუჭავდა, სანამ საბოლოოდ დაემშვიდობებოდა შამბირეთის ტყეებს, ამირანთან გააგზავნინა ბავშვი.

— აეს ცული, შვილო, ჩემს თავს მირჩევნია, რამდენი თაობა წავიდა და წამოვიდა, რამდენი ხე მოიჭრა ჩვენ ტყეებშია და ეს დალოცვილი ქართული ფოლადი, ამის გამომჭედელი ცხონდეს იქა, არი და არი. ვიცი ე, ჩემი ბიჭები, ჩემს საქმე არ გააგრძელებენ, ამათ ტყე მაინცა და მაინც არ უყვართ, მე კიდევა, მგონი ტყეში გამაჩინა დედა-ჩემმა. დაუანგდება, დაბლაგვდება, და ჩემი სულიც დაიტანჯება იმ გრძელ სოფელშია, წაიღე და, როცა დახედავ, მამიგონე ხოლმე, თუ შენდობის ჭიქასაც არ დაიშურებ, ხომ დმერთი შეგეწევა.

„ღმერთმა აცხონოს ილა. რაც ამ ცულს ხეები მოუჭ-

რია ალმასივით იყო, მაგრამ რა გამოვიდა, აღარც ტყე გვაქ და აღაც არაფერი. ეს ცულიც გდია ეგრე და არი. ვინ იცის რა დღეშია ის საწყალი კაცი. დვინოც არა მაქ რო შენდობა ვუთხრა. ერთი ქვევრი მოატანინა ბიჭებს ამირანმა, შროშელებისგან ეყიდათ. მთავრობის აშენებულ სახლის წინ პატარა ფარდული რო მიედგა, იმ ფარდულში ამოთხარა ორმო და ქვევრი ჩააგდო. მეზობელმა ვასომ მასხარად აიგდო.

— რო დაატალახებ მაგ ქვევრსაო, ძაან არ მოგივიდესო თორემაო, შეიძლება გახეთქოს ქვევრიო. ამ ხრიოკ მიწაზე ვაზი ჩვენ არ გვაქ და ხორველა, რა ჯანდაბად გინდოდა, ე, ქვევრიო.

კინაღამ გათაქა ამირანმა, მეზობელი, მაგრამ ნერვები მოთოკა. ნელ-ნელა ივსებოდა დევნილების სასაფლაო, ნელ-ნელა ტოვებდნენ სამზეოს ხეობელები და ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ, უფრო გაუასკეცდათ სიყვარული, აქამდე რო თხა-მგლებივით იყვნენ, ეხლა ერთმანეთს დაუტკბნენ, დაუშაქრდნენ, იმიტომ, რომ ერთმანეთის მეტი არავინ ჰყავდათ.

ადგა და ერთ გაზაფხულზეც ვაზის რქა ჩაყარა ამირანმა. ერთ სვენელ კაცსა სთხოვა ვენახიდან ამაჭრევინეო,

თან ცრემლები ერეოდა თვალზე, რაზე დამიდგა საქმე, ჩემი ვენახების პატრონსაო, ოცდაათი კოკა ლვინოსა წურავდა, მამისეულ ქვევრებს აპილთუმებდა. ზარმაზი მეზობლები ტანტლე და კობლე იმისგან ეზიდებოდნენ ურმებით ჭაჭას, დაასხამდნენ მერე ლიახვის წყალსა, შაქარს მიაყრიდნენ და ეგრე აყენებდნენ ლვინოს, თვალს ვერ გაუწვდენდი ირმის ფერდაზე ამირანის ვენახს. ურწყავი იყო, ცის ცრემლით იკვებებოდა დისეურა ვაზი, მაგრამ ისეთი ლვინო მოსდიოდა, ისეთი... მაღლიანი ადგილი იყო, ნაზვრევი ერქვა. სულ ერთი ციცქნა ბალლი იყო ამირანი, როცა პაპა ანთიმოზი უყვებოდა, აექ, რაც ვენახებია, ეკლესიის საკუთრება იყო ადრეო, ბოლშევიკებმა ტაძარს მამულები ჩამოართვეს და ეს ადგილი სულ გავრანდა, მერე ავდექი და მე გავაშენე ხელახლა ვაზიო. ლვთის სული ტრიალებდა ირმის ფერდაზე. წელიწადი არ იყო, ლვინოს ისე არ დააბინავებდა ამირანი, ეკლესიისთვის არ გაეგზავნა, ეკლესიის ქვევრები ხელუხლებელი ჰქონდა. ზიარებაზე ამ წმინდა საიდუმლოს აღსრულებისას ამირანის ზედაშეს იყენებდა მამა ანტონი.

გაზაფხულზე ჩაყრილმა რქამ იხარა, კვირტი გამოიტანა, გაიფოთქა, მაგრამ ამირანი უგულოდ უვლიდა, ალაგი

რო მშობლიური არ იყო, გული ვერ დაუდო, თორემ ისეთი ხელი ჰქონდა ისეთი, უკულმა რო ჩაერჭო რქა, მაინც ახარებდა.

დვინობისთვე დამდგარიყო, შემოდგომის მზე ჩაბუდებულიყო, მოდლევებულ ყურმნის მტევნებში. რთვლის ჟამი მოწეულიყო. მშიერი თვალებით იყურებოდა ღორღიან მიწაში ჩაგდებული, შროშელებისგან ნაყიდი ქვევრი, უფრო სწორად მწყურვალი თვალებით, რა მადლი იქნებოდა ეს ქვევრი დისეური დვინით გაპილთუმელბულიყო.

ერთ დამეს ესიზმრა, მაგრამ რა ესიზმრა, ირმის ფერდასკენ მიაბიჯებს მგლისმუხლიანნი ამირანი, ვეება ნაბიჯებით მიდის, კი არ მიდის, მიჰქრის და ვაი, იმათი ბრალი, ტანტლეს ბიჭმა მოუტანა ამბავი, ხვითქი გადასდიოდა ტანტლეს გამურულ ბიჭსა.

- ამირანი პაპა! ამირანი პაპა!
- პაუ, რა იყო ტანტლეს ბიჭო?
- რაღა რა იყო, ბარე ოცი კაცი მაინც იქნება, შენს ვენახშია.
- სადა კაცო? – პირი დააღო გაოცებისგან ამირანმა, თვალები წამოენთო, კამეჩივით დააბრიალა შავ-შავი კაპლები.

– ირმის ფერდაზე ოსები არიან და ვენახსა კრეფავენ,
რთველი აქვთ, თან ოსურად მდერიან.

– ვენახს მიკრეფავენო, – დაიღრიალა მგლისმუხლიან-
ბა, დასწვდა ილას ნაჩუქარ ქართულ ცულს და დაუშვა
ირმის ფერდასკენ, დედას ვუტირებ ამათა, მოვაკრეფინებ
როგორც წესია, შავად გაუდიოდა ზიმზიმი ამირანის ვე-
ნახს. დაებარა, გაეფურჩნა, შეესარა, შეეყელა და რთვლის
უამს ოსებს უნდა მოეკრიფათ. ქვევრები უკვე დაერეცხა,
დაეწერიალებინა, ბარე შვიდჯერ გამოევლო. ხელებიდა
ჰქონდა დახეთქილი ამდენი რეცხვისაგან. ამათ დამიხედვ,
სადაურები არიან ნეტა, კორკულელები თუ...

შლეგიანივით შევარდა ვენახში და დაერია ოსებს.
კუალდასავით მუშტი უქნია და აქეთ-იქით მიალაგ-მოა-
ლაგა. ზოგი გამჭვა.

– მგელს არ შევაჭმევ ჩემსასა და თქვენ დაგითმობთ?

გამოელვიძა და ისე მოუნდა თავისი არე-მარის, თავისი
ვენახის ნახვა, ლამის ტირილი დაიწყო. იფიქრა, იფიქრა
და ბოლოს სოფელში წასვლა გაადაწყვიტა. კოშკას მინდ-
გრებიდან შევიპარები ირმის ფერდაზე და ყურძენს გამოვკ-
რიფავ.

– შენც წამოხვალ, ვასო?

- წამოვალ, მაშ რა ჯანდაბას ვიზამ! ერთი იქაური ჰამასუნთქა, და მეტი არაფერი მინდა.
- ოსაც წავიყვანოთ?
- წავიყვანოთ თორემ, ეწყინება, ისედაც აქეთ აღარ არი დარდითა.

ეხვეწა ცოლი, ემუდარა, მაგრამ ამ ქვის ნატეხ კაცთან რას გახდებოდა.

* * *

- ხედავ? — ოსას პკითხა ამირანმა.
- ვხედავ, — ბალლივით ამოისლუკა ნაადრევად დაბერებულმა ოსამ. ცრემლები მოიწმინდა.
- როგორ გადაუბუგიათ ამ ოხრებსა, ადამიანის გული ერთს მაინც არ შერჩა?

ვასოს სხეული უცახცახებდა, შორიდან აკვირდებოდა ნასოფლარს და ნერწყვგამშრალი სმას ვერ იღებდა.

- ოხ, ამათი! — ამოიგმინა ამირანმა, — თავის დროზე რო გაგვეყარა აქედან ეს ხო არ დაგვემართებოდა. ითმინა ითმინა და ბოლოს ოსას მსგავსად ამირანსაც ცრემლები წასკდა.

ფერდობის დაბლა, გზის პირას ქართული საგუშაგო

იყო, ქვიშით გატენილი ტომრებით ვეება კედელი აღემართათ.

ამირანი და მისი მეზობლები ბაღებზე ამოვიდნენ, ისე, რო ქართველმა გუშაგებმა ვერ შეამჩნიეს.

— თუ დაგვინახეს, არ გაგვიშვებენ, გაგვიბრაზდებიან, აქედან უნდა გადავიპაროთ.

„ნეტა მოკრეფილი არ დამხვდეს ვენახი“.

* * *

თითქო შვილს ეფერებოდა, რაღაც საოცარ სითბოს გრძნობდა ვენახს დანატრებული პატრონი.

— დახე, როგორ დაშაქრებულა, მაგარი გვალვა იყო წელსა, ჰა, რას იტყვი ვასო.

— ესეთი გვალვა კარგა ხანია არ მახსოვს. — თავს უქნევდა ვასო. — შეხე რა მტევნებია, ვენაცვალე.

— თუ წამოგვადგნენ, კაი ყურძენი მოგვივა, — ბუტბუტებდა ოსა.

— მაგ წუნგკლებისა რო მეშინოდეს! — ჩაედიმა ამირანს და სიმღერა შემოსძახა. თითქო სახლში დაბრუნდა, თავის არემარეზე, ისე უხაროდა, ისე ბალდივით ენთო თვალები.

კრეფდა ლომიაურს და თან მტევნებს ეფერებოდა. ცო-
ტა ხნით აწევდა თავს, ზვარს გახედავდა ბალახი წამოსუ-
ლიყო, ზვრებს შეა ერბო აიკრიფებოდა ისე ჰქონდა
დამასმასებული ერთ დროს, მაგრამ ვინდა იყო მომვლელი,
გაზაფხულზე ამოვალ და მივხედავ ფიქრობდა ამირანი,
ჩემ ხელს დავატყობ. ამისთანა ვენახს ვინ გააფუჭებს.
აღარ ახსოვდა აღარც ომი, აღარც გადაბუგული სახლ-
კარი, აღარც ცოლი, აღარც შვილი აღარც საკუთარი
თავი, მარტო ვენახზე ფიქრობდა.

- ვასოო!!!
- პოოო!!!
- ზედაშე დავაყენოთ და გერის ნიშს შევწიროთ.
- დიდება იმის ძალასა და მადლსა.

* * *

– აკი ვერ მერევაო, აკი ვერ მამარცხებსო, აკი მგლის
მუხლიანი ვარო, მეგონა რო ვერ მომერეოდა, – ბუტბუ-
ტებს ამირანი, – მართლა მქონდა მგლის მუხლი, მაგრამ...
ცრემლი ჩაუდგა თვალებში, ლოგინზე წამოჯდა, ფარდა
გაწია და ტრიალ მინდორს გახედა, მუხლამდე თოვლი
იდო.

„არა მგონია ეს ზამთარი გადავიტანო, რადაც ეგრე მიგრძნობს გული“. ალბათ, ისიც გულის კარნახი იყო, წერაატანალიგით წავიდა, შეიპარა დაპყრობილ, გავერანებულ სოფელში და უკანასკნელი რთველი გამართა. გული არასოდეს ცდება, გული ყოველთვის სიმართლეს ეუბნება ადამიანს. მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რო საკუთარი ვენახიდან მოწეული ყურძნის დაწურვა მეღირსა. დევნილობაში გატარებულ ათეულობით წელს ჯობდა ის ერთი დღე.

— ანიკო!

თანამეცხედრებს გასძახა.

— ანიკო!

მცირე ხანში სასოუმალთან ჩამოუჯდა ცოლი.

— ის ლვინო რო დავწურე, ხო იცი, ისა, ჩვენი ვენახისა. შროშელებისგან ნაყიდ ქვევრში რო ჩავასხი. ეგ ლვინო ზედაშედ არი ჩაფიქრებული და მეუფე ისაიას გადაეცი. გაზაფხულზე, როცა მოთბება, როცა...

ცრემლი მაინც არ აჩვენა ცოლს.

— არ დაგავიწყდეს, მეუფე ისაიას.

**ლომა, თაზო და
ერთ დროს უთვისტომო რექსი**

დაიწყო ისტორიის გაკვეთილი...

ნუნუ მასწავლებელი შემოდის კლასში, ხელში უჭი-
რავს საკლასო ჟურნალი, დახვეული რუკა და ისტორიის
სახელმძღვანელო, რომელზეც გამოსახულია, მეზობელი
ქვეყნის მიერ დაპყრობილ ქართულ მიწაზე აღმოჩენილი
ძველთაძეელი ოქროს ბარძიმი.

მოსწავლეების სიის ამოკითხვით იწყება გაკვეთილი.

- ჯალაბაძე.
- გარ.
- მარკოზაშვილი.
- გარ.
- მინდიაშვილი.
- გარ, მასწ.
- სოსიაშვილი.
- გარ, მასწ.
- მჭედლიშვილი.
- არ არის.
- რატომ არ არის? – იკითხა მასწავლებელმა.

— მაგათი ოჯახი სოფლიდან წავიდა, მასშ! — ყველას მაგივრად თაკომ გასცა პასუხი, რომელიც სულ წინ იჯდა.

— რატომ წავიდა? — ნუნუმ სათვალე მოიხსნა და მოსწავლეებს გადახედა.

— მამამისმა წაიყვანა, ეშინოდათ, იმ დღეს რო, რუსების ვერტმფრენები შემოფრინდნენ, ჭორი დაყარეს მასშ რო ომი იწყებაო და ამიტომ წავიდნენ. — ისევ თაკომ გასცა პასუხი.

მასწავლებელმა სათვალე მაგიდაზე დადო ამოიხრა და სარკმლისკენ გაექცა მზერა. აქედან კანოიელად მოჩანდა რუსების მიერ დაპყრობილი, გადაბუგული უპატრონოდ დარჩენილი ნასახლარები. გული ჩაეთუთქა, თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ თავი შეიკავა, „ჩემი ცრემლიდა უნდათ ამათ“ — გაიფიქრა ფეხზე წამოდგა, სარკმელთან ახლოს მივიდა. აქედან ნასოფლარზე გამავალი გზაც კარგად ჩანდა, სადაც ყოველდღე შეიმჩნეოდა რუსული ჯავშანტექნიკის გადაადგილება.

— ნუ გეშინიათ, ომი აღარ იქნება! — თქვა და კლასს გადახედა.

— რისა გვეშინია, მასშ! — ამაყად თქვა ლევანმა, — მიგმენიერ უკვე ყველაფერს.

უფრო უარესად ჩაეთუთქა გული, ამჯერად ვედარ შეიკავა ცრემლი.

— გუშინ იყვნენ ჩამოსულები, მას — ფეხზე წამოდგა ლევანი.

— ვინ იყვნენ?

— რუსები იყვნენ.

— რაო, მერე?

— რაო და სკოლის ნაკვეთი რო მთავრდება, მასში ზემოთ, იქ გაავლეს საზღვარი, ჩვენი თანასოფლელების სახლებიც საზღვარს იქით მოაქციეს. აქეთ აღარ დაგინახოთ ამოსულებიო, უთქვამთ.

— ეს ტერიტორია ჩვენ გვეპუთვნისო, ის ჭაბურდილიც საზღვარს იქით მოაქციეს.

— რომელი ჭაბურდილი?

— რომელი და ჩვენის სოფლის სასმელი წყალი საიდანაც მოედინებოდა, არასამთავრობოებმა რო დაბურდეს, წყალიც აღარ გვექნება. — ნაღვლიანად თქვა ბიჭმა.

— არა უშავს, მაგაზე დიდი უბედურებაც გვინახავს, უწყლოდაც ვყოფილვართ და ულუკმაპუროდაც, მაგრამ მაინც გაგვიძლია. ხო გახსოვთ ისტორიიდან. — ბავშვებმა თავი დაუქნიეს.

- ეგენი იმიტომ იქცევიან ასე...
- ვიცით, რატომაც იქცევიან, შეაწყვეტინა თაზომ. – უნდათ რო სოფელი აიყაროს, ხალხი წავა და მერე ეგენი დაეპატრონებიან ყველაფერს, ან მთავრობაზე განაწყენდებიან და არეულობა დაიწყება, მაგათაც ეგ უნდათ.
- მართალი ხარ, – თავი დაუქნია ნუნუმ და სახე გაებადრა, როგორი გონიერი ბავშვები არიან.
- კიდე მასწ მეექვსე კლასელი როა, საბა, მაგას დედა ოსი ჰყავს, ბავშვი გამოიყვანა და სხვა სკოლაში გადაჲყავს.
- რატომ?
- იმიტომ მას, რო მაგისი ძმა ოსების ჯარში ყოფილა მთიდან ჩვენი სკოლა ხელის გულზეა, თურმე თავის ძმას უთქვამს, გაიყვანე ბავშვიო, კაცმა არ იცის, რა მოაფიქრდებათო. – თქვა ნატომ და მასწავლებლს თვალებში შეხედა.
- არაფერი არ მოხდება, ხომ გითხარით, მოსახდენი უკვე მოხდა, – ჩაილაპარაკა ნუნუ მასწავლებელმა. – კარგით გადავიდეთ გაკვეთილზე. გადაშალეთ წიგნები. თვითმფრინავის ხმა მოეყურადათ.
- ნუნუ სარკმელთან მიგიდა, ქოჩორა მთის კორტოხიდან

წამოსული რუსული სამხედრო ვერტმფრენი სკოლის მო-
მართულებით წამოვიდა. მასწავლებელს ფერი გადაუვიდა,
მაგრამ შიში არ შეიმჩნია.

- აქეთ მოდის, – წამოიძახა ლევანმა.
 - აქეთ არა, – თქვა თაზომ, – ეგრე გადაჭრის და
ახალგორისკენ წავა.
 - ნუ გეშიანიათ ბავშვებო, – კლასს გადახედა ნუნუმ,
თან ცალი თვალით ვერტმფრენს მისჩერებოდა, რომელიც
იმდენად დაბლა იყო, იტყოდი, სკოლის სახურავზე დაეჭ-
ვებაო.
 - რა დაბლაა.
 - ორნი სხედან, არა, სამნი.
 - აქეთ იყურება, რუსული დროშა ახატია.
- ვერტმფრენმა სკოლას გადაუფრინა, ისეთი ყურის წამ-
დები ხმა იყო, იტყოდა სკოლას სახურავი გადახადაო. მე-
რე გეზი აღმოსავლეთით აიდო, სიმაღლესაც მოუმატა და
შამბირეთის მთებისკენ გაფრინდა, მთაგრეხილს იქით
ქსნის ხეობა იყო, სადაც რუსების სამხედრო ნაწილები
იდგა...

* * *

პაპის ჩურჩული მოესმა თაზოს, ყური წაუგდო ნუგზარა პაპას, მამამისს ესაუბრებოდა.

— აქ ცხოვრება აღარა ღირს, შვილო, ხომ უყურებრაცა ხდება, მამა რო შვილს მაგას ეტყვის, იმ მამაზე ტყვიაც არამია, რაც ამ არემარეზე წვალება მიმიძღვის, რაც აქ ჯანი ჩამიყრია, — ნუგზარას ცრემლი უბრწყინავს თვალებში, — კაპიკი კაპიკზე მიწებებია, ისე მამიგროვებია, კუჭი ვერ მიძღებოდა ხეირიანათა, ახალგაზრდობა ისე გაფრინდა, ვერც ვერაფერი გავიგე, უცბად გამისხლტა ამ წვალებაში წლები, მეგონა ჩემი შვილები გაიხარებდნენ ჩემს მაგივრათა, ბალ-ვენახები გაგიშენე, მაგრამ რად გინდა, ბალში გული აღარ მიმიწევს, ეგრე გადახმა და გადაიხრუკა უწყლოობითა, ხალხი ლიახვიდან ეზიდება ცისტერნებით წყალსა და ისე ასხამს, რო როგორმე სული მოათქმევინოს ხეხილსა, აბა ესა ცხოვრებაა, საქონელს რო წყალს ვერ დაალევინებ, ე, სასმელი წყალია და ეგეც აღარ გვექნება, რაღაც უნდა იფიქრო, ბიჭის პატრონი ხარ, შენს შვილს თავშესაფარი ჭირდება. აბა ექა, — უარესად ატირდა ნუგზარა, — თუ ესე გაგრძელდა, აქ აღარ იცხოვრება. ხალხი ვეღარ გაჩერდება, საარსებო საშუალება აღ-

არ ექნება.

პაპის საუბარზე თაზოსაც ცრემლი მოადგა თვალზე. „ისევ წასვლაზე მიდგა საქმე, ძლივს დავბრუნდით, ძლივს დამთავრდა ომი, ძლივს ჩემს სახლში ვარ“ – ფიქრობს თაზო და ლომას ეფერება. ლომა კიბის საფეხურზე მოკუცილა და პატრონს თვალებში შესციცინებს. „რაც ამ ძაღლმა უბედურებას გაუძლო, შიმშილსაც, წყურვილსაც“, – ფიქრობს თაზო, – „მაინც არ დატოვა აქაურობა“. თავზე ხელი გადაუსვა, ლომამ თვალები მილულა სიამოვნების ნიშნად.

– მე არსად წავალ, შენ დარდი არ გქონდეს. როცა დაგტოვე მაშინაც ვინანე, ნუ გეშინია, მე რო არ წავალ, ჩემი მშობლებიც არსად წავლენ, ან სად უნდა წავიდნენ, სხვა სახლი მაგათ არ აქვთ და კარი, ერთი სიტყვით, ფუნებზე დაიკიდე და არ ინერვიულო, ხო იცი როგორ მიყვარს ჩემი სოფელი, ძაან მიყვარს, ისე მიყვარს, რო სიტყვებით ვერც გამოვხატავ, ჩემი სოფლის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, ხომ გვითხრა ნუნუ მასწავლებელმა სამშობლო შენი სოფლიდან იწყებაო, გამოდის რო თუ სოფელი მიატოვე, სამშობლოც არ გიყვარს და ამით რუსების სამსახურში დგები, – ისევ გადაუსვა თავზე ხელი, – გშია?

მოიცა ეხლავე პუტრს გამოგიტან.

* * *

„ზურას აღარ გავუვლი“ – ფიქრობს თაზო და გუშინ-დელი დღე ახსენდება. ზურას ბაბომ რა დღე აყარა.

– მეორეთი აღარ დაგინახო მოსულიო, მე ვიცი, რაღაც შარს გადაჰყრი ამ ბავშვსაო, ხო ხედავ ყოვედლე ჩამოდიან ოსები, ზურა ფეხს აღარ გამოადგამსო.

თაზოს მამიდის ქმარმა აჩუქა რუსეთიდან ჩამოტანილი ბინოკლი და, როგორც კი სკოლიდან მოდის, სოფლის თავში ბაღ-ბაღ აძვრება, ჩაჯდება დამშრალი დიცურის კალაპოტში, სადაც რა ხანია წყალს არ გაუვლია. არადა, დრო იყო, როდესაც აქ ლიახვის ტოტი მოედინებოდა, ნუგზარა პაპას უამრავი ამბავი აქვს მოყოლილი, როგორ თევზაობდნენ ბავშვობაში დიცურაზე, როგორ მოსდევდა პატარა ლიახვიდან დიცურის წყალს ადლიანი თევზები, რომლებსაც გლეხები ხანდახან ბაღების მორწყვის დროს იჭერდნენ. ახლა, ის წყალი დამშრალია.

ყოველდღე ადის სოფლის თავში თაზო. კაი დახელოვნებული მზვერავივით ჩამოუკიდია მამიდის ქმრის მიერ ნაჩუქარი ბინოკლი. ჩაჯდება და გასცემის ნასოფ-

ლარებს, სადაც ბალახგადავლილი სახლები ჩანს, უფრო სწორად ნასახლარები. გზაც ცხვირწინ არის, რუსებმა ქართველების სახლები დაანგრიეს და ეს გზა უფრო გააგანიერეს. იმ გზით გადაჰყავთ ტანკები ახალგორში, ყოველ დღე რახრახი გაუდით.

გასცემის თაზო პატარა ლიახვის ხეობის სოფლებს. სხვა გასართობი არ აქვს. ასე უდიმდამოდ მიდის, ასე უფერულად იწურება ბავშვობის დღეები, მაგრამ მაინც კმაყოფილია, იმიტომ რო თავის სოფელშია, კითხვა რო დაუსვათ, რამ შეგაყვარა ასე შენი სოფელიო, პასუხს ვერ გაგცემს. უყვარს და მორჩა. სხვაგან ვერსად ვერ იარსებებს. იცის, რო ქალაქში უკეთესი პირობებია, ხანდახან მამიდაშვილები რო ჩამოვლენ ათას რამეს უყვებიან, ქალაქში ბევრი გასართობია, მაგრამ მას ეს ხრიოკი მინდორი ურჩევნია. თანაც ლომასთან სიტყვა აქვს ნათქვამი და ამ სიტყვას არ გადავა, ის კი არა... ლომა ძმაკაცივით უყვარს, იმიტომ რო გონიერი ძალლია.

* * *

— რა ძალა გადგია შვილო, რო ამოდიხარ, სად ამოდიხარ, ჰა, ერთხელაც იქნება დაგიჭერენ და წაგაპანწიალე-

ბენ, დადექი და უყარე მერე კაპალი, წაგიყვანენ ცხინვალშია და მერე ნახე შენი ბლავილი. შენ არ იცი მაგათ რეები იციან ცოცხლად გაატყავებენ კაცსა ცოცხლად. ყოველდღე ჩამოდიან ეგ უპატრონოები, აქაურობას ზვერავენ, თან იმოდენა ძალლები მოჰყავთ.

გეუბნები, შარს გადაეყრები, ჩემი ბავშვობა ამ მინდვრებში გავატარე, ჭიპი აქა მაქ მოჭრილი და მე ვეღარ ვეკარები აქაურობასა! – ტუქსავს თაზოს მირიანი, რომელიც ჭაბურღილის მეთვალყურედ მუშაობდა, – ეგენი რა სანდონი არიან, დაგიჭერენ და დაუწყებენ მერე ჩვენებს ვაჭრობასა, როგორც იმ ბავშვებზე გააკეთეს – ტირმისელებზე.

თაზომ დანაშაულზე წასწრებულივით ჩაღუნა თავი.

– ან რა გაინტერესებს ნეტავი, მაგ უჯიშოების დანახვას შავი ჭირის დანახვა ჯობია. აღარ დაგინახო აქ ამოსული, თორე მამაშენს ვეტყვი! – თითი დაუქნია მირიანმა.

* * *

მე, მქვია რექსი, პო რექსი. ვინ დამარქვა არ მახსოვს, ვიცი ის, რო წარმოშობით ციმბირელი ვარ, იქ დავიბადე. ექვსი ძმა მყავდა. დედაჩემიც კარგად მახსოვს, ბავშვობა გავატარე სამხედრო ნაწილში, რომელსაც ერქვა „სვდ“.

თუმცა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ვინც ჩვენ გვივლიდა, ერქვა ოლები. ეხლაც მახსოვს მისი სახე, საკმაოდ კეთილი კაცი იყო, ფაფას გვიხარშავდა და გვაჭმევდა. ალბათ, რექსიც მან შემარქვა. დედაჩემი უკვე ბებერი იყო, მე რო წამოვიზარდე, მოკლეს სამხედრო ნაწილში. იმიტომ რო, უკვე ბებერი იყო და თავის საქმეს ვეღარ ასრულებდა. ასე ჩათვალეს საჭიროდ რუსმა ჯარისკაცებმა. გუშინდელივით მახსოვს იმ გასროლის ხმა და სანამ ცოცხალი ვიქნები არც დამავიწყდება, იმიტომ რო, მოგონებები მარტო ადამიანებს არ აქვთ.

ჩემი ძმებიც იმავე სამხედრო ნაწილში იყვნენ, სადაც მე. წამოვიზარდეთ თუ არა, დაგვიწყეს წვრთნა. თავიდან გერ ვხვდებოდი, რაში ჭირდებოდათ რუს ჯარისკაცებს გაწვრთნილი გერმანული ნაგაზები?! გერმანული, თორემ როგორც ვთქვი ციმბირელი ვარ. იქ დავიბადე. თუმცა... მაგას რა აზრი აქვს, ადამიანებისთვის აღარ აქვს მნიშვნელობა, სად დაიბადა, სად გაიზარდა და ძაღლი რაღა სახსენებელია. მე და ჩემი ძმები მალე დაგვაშორეს ერთმანეთს, ისინი სხვა ნაწილში გადაიყვანეს და მას შემდეგ აღარც მინახავს, იმიტომ რო ხან სად ჯანდაბაში ვარ და ხან სად, სიმართლე გითხრათ, მომწყინდა ეს ხეტიალი,

მომწყინდა ამოდენა სატიალო ქვეყანაში წანწალი. თან
რამოდენაა, არა მთავრდება სადაც ნაწილი გადადის, მეც
თან მივდევ, მე ვინ რას მაკითხებს, ისევე როგორც იმ
რიგით ჯარისკაცებს, რომელთაც ხან სად დააწანწალებენ,
ხან სად, ჯანდაბაში, მოუსავლეთში, სიმართლე გითხრათ,
არც მეგონა, ოდესმე თუ მომეცემოდა საშუალება, ორიოდე
სიტყვით ჩემი ძალლური სათქმელი მეთქვა და ის ტკივილი
გამომეხატა, რაც ჩემშია. სწორედ ერთმა შემთხვევამ მომ-
ცა საშუალება, ამასაც გეტყვით, მაგრამ მანამდე უნდა
ვთქვა, იქ საიდან გავჩნდი, სადაც ეს ამბავი შემემთხვა. ეს
ქვეყანა ნამდვილად არ გამეგო და არ ვიცოდი, ან რა
ჯანდაბა უნდა მცოდნოდა, ხორცის კონსერვების და
ტყვია-წამლის მეტი არც არაფერი მინახავს და კიდევ წან-
წალის მეტი მესაზღვეებთან. ჩემი ცხოვრებაც ისე დას-
რულდებოდა, როგორც დედაჩემის. რამდენიმე წელში მეც
დავბერდებოდი, სიარულს ვეღარ შევძლებდი, მერე ვიღაც
რუსი რიგითი, ვანია, იგორი, ან კოლია ერთი გასროლით
ბოლოს მომიღებდა და ასე დამთავდებოდა ჩემი ძალლური
წუთისოფელი, რომ არა ის ქვეყანა და ის სოფელი.

* * *

- წყალი მინდა.
 - აჰა, ცოტადაა და მეც დამიტოვე.
 - განიამ მათარას თავსახური მოხსნა და მარიამობის-თვის ღურლურა მზეზე გამობარი წყალი დალია.
 - დამიტოვე, – დაუყვირა იგორმა და როცა მიხვდა, რო განია წყლის დატოვებას არ აპირებდა, მათარა ხელი-დან გამოსტაცა.
 - წყალს აჯდები? – განიამ მწყრალი თვალებით შეხე-და მეგობარს.
 - მთელი დღე ამ პაპანაქება სიცხეში რა დავლიო. მდინარეც არ მოდის, შარდიოთ ხომ არ მოვიკლავ წყურ-ვილს.
 - მდინარეში ჩაიხედე? იქნება არის წყალი, – თქვა განიამ.
 - წყალი არა, ჩემი ფეხები.
 - წავალ, აბა ვნახავ, აქ ტყუილა ყოფნას.
 - მალე მოდი, შემოსავლელი გვაქ.
- განიამ ავტომატი აიკიდა და ასფალტიან გზას ჩაუყვა. ომის მერე ამ გზაზე მანქანას აღარ გაევლო. ომამდე პატა-რა ლიახვის ხეობის სოფლების მაცხოვრებლები ამ გზით

სარგებობდნენ. ვანიამ დურბინდი მოიმარჯვა და სოფელს გახედა. თავისი მეგობრის – პაშას სიტყვები გაახსენდა რომელიც ომის დროს ქართულ სოფლებში იყო ნამყოფი, „იცი რა ხალხი ვნახე? მაგარი სტუმართმოყვარე, მეთაურმა თქვა, რო კაციჭამიები არიან, ადამიანებს ცოცხლად ჭამენო, მე იქ კაციჭამია არავინ მინახავს. ყველას ღვინო და არაყი გამოჰქონდა და კიდევ ყველანი ქრისტიანები არიან. რამდენი დასალევია, რამდენი... სავსე აქვთ პადვლები, ნაირნაირი ღვინოებითა და არაყებით“. ვანიას ნერწყვი მოადგა ყელზე, ეხლა დასალევი ჰქონოდა და წყალსაც წაელო მისი ჯარი თავისი მეთაურებიანად, ძველისძველ ბათინკებში ჩახარშული ფეხები სტკიოდა, ჭუჭყით დაგოზილი ტანი აწუხებდა და გალიზიანებული კუჭიდან კილკა თევზის წვენსა ძმარავდა. „თფუი, ამოვიდა ყელში ეს გაფუჭებული კონსერვები. ერთი ადამიანური სადილი ქვეყანას მირჩევნია. ან რა ჯანდაბა მინდა აქ, სულ რამდენიმე თვეედა დამრჩა და ეგ არის, მაგრამ ამ პირობებში თვეებსაც ხომ გაძლება უნდა“. მეთაურსაც ვერაფერს უბედავენ. რამე რო უთხრან ეგრევე ციხეში უკრავენ თავს. კისერი მოიქექა, ისევ გაიჭყიტა დურბინდში.

„თფუი, რა დაშავდება, რო აიმ სოფელში ჩავიდეს და

საჭმელი და დასალევი სთხოვოს ვინმეს“. ახსენდება, რო ისევ უნდა დაბრუნდეს ნაწილში, სადაც ისევ თევზის კონ-სერვი დახვდება. ზიზღით გადააფურთხა. მდინარის ამომშ-რალ კალაპოტში ჩაიხედა და შეიგინა, ერთი გუბეც არ-სად იყო. შორიახლო დაინახა პატარა სალოცავი, ახლოს მივიდა, კრამიტით გადახურულ ფარდულში ჯვარამოტვიფ-რული, გამურული ქვა იდგა, იქვე ესვენა წმინდა გიორგის ხატი და ეკიდა ციცქნა ზარი. ფარდულს შებმული ჰქონდა უამრავი ჭრელი ნაჭერი.

— ეს რაღაა, — ჩაილაპარაკა ვანიამ, — ალბათ სალო-ცავია, — ხელით შეეხო ხატს, — წმინდა გიორგი, წამიკით-ხავს ამ წმინდანზე. — უცბად მოესმა ძროხის ბლავილი, გაიხედა და ორ ფურს მიარბენინებდა ვიდაც ახალგაზრდა მწყემსი.

— ეი, სტო, — გასძახა ვანიამ, მაგრამ მწყემს უკან არ მოუხედავს, ძროხები ამომშრალი მდინარის კალაპოტზე ხტუნვა-ხტუნვით გადაიყვანა და ფურებიანად ბაღში გაუ-ჩინარდა. ვანიამ უკან დაბრუნება გადაწყვიტა, ხელი ჩაიქ-ნია, ეგონა მწყემსი მობრუნდებოდა და დასალევს სთხოვ-და მაგრამ რუსი ჯარისკაცის დანახვაზე, მწყემსი დაფეთქ-ბული გავარდა. ერთხელაც მოიმარჯვა დურბინდი, მიდამო

მოათვალმზერა და უკან გამობრუნდა.

— ვერ ნახე? — ჰქითხა იგორმა.

— რა ჩემი ფეხები უნდა ნახო, რაც არ არი. სოფელში რო ჩავიდეთ იმდენ დასალევს ვიშოვით.

— გაგიჟდი? — გაუწყრა იგორი, — მეთაურმა რო გაიგოს, ტყავს გაგვაძრობენ.

— ფეხებს მოგვჭამენ. — ჩაილაპარაკა ვანიამ.

— წერას ჰყავხარ ატანილი! — თქვა იგორმა, — წამოდი მიტოვებულ ჭაბურლილთან გადავიდეთ, იქნებ მანდ იყოს წყალი. ქვევით პატარა შენობას ხომ ხედავ, — ვანიამ ხელი მოიჩრდილა და გახედა.

* * *

რექსი წევს და ქასქასებს. გრძელი წითელი ენა გადმოუგდია და დასიცხული, საცოდავი თვალებით იყურება, ის არა ჰყავს მესაზღვრეების მრისხანე ძალლს, ისეთი მზერა აქვს, თითქო პატრონს ელოდება. გვერდით ყრია ცარიელი კონსერვის ყუთები, ვანიას და იგორის ნაჭამი, რომელიც გულდასმით გამოასუფთავა რექსმა, მაგრამ შიმშილი მაინც ვერ მოიკლა.

თაზო თვალგაფაციცებული უმზერს რუს ჯარისკა-

ცებს, რომლებიც ჭაბურღილისკენ მიაბიჯებენ. თან მზერა ძაღლისკენ გაურბის. როგორც კი რუსები ნერგს კარგა მანძილით მოშორდნენ, სადაც ძაღლი იყო გამობმული, თაზომ დურბინდი ქვებს უკან დამალა და ძაღლისკენ გაფშურა.

რექსმა უცხო ბიჭის დანახვაზე, ყურები ცქვიტა, წამოიწია, ერთი ორი დაიყეფა, მაგრამ ბოლოს ისევ დაწვა თაზოს სახეზე მიაშტერდა და ისევ ქასქასი გააგრძელა. თაზომ ჯერ ჯარისკაცებს გახედა, მერე გერმანულ ნაგაზს მიეფერა, თავზე რამდენჯერმე გადაუსვა ხელი, ზურგზე აშლილი ყორნისფრად მბზინავი ბალანი გაუსწორა. რექსი ისე გაუტვრინდა, იტყოდი თაზოს გაზრდილი იყო. მოფერებას დანატრებულმა ძაღლმა თვალები მილულა. თაზომ ისევ გახედა რუსებს, რომლებიც ჭაბურღილის ქოხში შესულიყვნენ. მერე ნერგზე გამობმული ტყავის თასმა გამოხსნა და ძაღლს წინ გამოუძღვა. დასიცხული ძაღლი მორჩილი ნაბიჯებით გაჰყვა.

* * *

— ლომა, ნახე ვინ მოვიყვანე, შეხე, შე დამბლა შენა! ეზოში შემოსულ ვევბა, შავ, გერმანულ ნაგაზს, ლომა

გაშტერებული შესცეკერის.

ხან დაიყევება, ხან დაიწყმუტუნებს, პატრონისკენ გა-
ექცევა გაოცებული მზერა.

„ეს ვინდაა, საიდან მოიყვანა, სად იპოვა, იქნებ ჩემზე
აიყარა გული და აღარ უნდივარ, ჰა. არა მგონია, თაზოს
ისე ვუყვარვარ სხვა ძაღლში არ გამცვლის“. ნაგაზმაც
ყეფა ატეხა ლომას დანახვაზე, მაგრამ თაზომ დაუყვავა,
ისიც მაშინვე გაჩუმდა.

— ლომა გაიცანი ჩვენი ახალი მეგობარია. — ლომა
ჯერ ვერ ბედავდა ვეება ძაღლთან მიახლოვებას, ბოლოს
პატრონის იმედად მიუახლოვდა, ახედ-ჩახედა, დაყნოსა და
ისევ თაზოს მიაჩერდა.

„საიდან მოიყვანა, რა უცნაური ბავშვია“.

* * *

წელან ხომ გითხარით ვინცა ვარ, ციმბირელი რექსი.
აქ ამ ბიჭის წყალობით აღმოვჩნდი. ისე გულიანად მომე-
ფერა, ისე, ისე, რო ასეთი მოფერება არც არავისგან მახ-
სოვს. ერთი სიტყვით გამოვყე უსიტყვოდ, მინდა ახალი ცხოვ-
რება დავიწყო. გული მიგრძნობს რო აქ უკეთესი იქნება.

ადათო ბაბოს ანდერძი

ადათო ბაბოს სიტყვები თითქო ყურში ჩაესმოდა პაპუნას.

— შენაო, შვილო, ბაბო დაგეწამლოს, ჩემო ლამაზო და ნიჭიეროო, უეჭველად დიდი კაცი გამოხვალო, ნეტა მაგ დღეს მამასწროს ღმერთმა, შენი დიდი კაცობა დამანახოს და მერე თუ გინდა, ჩემი ფეხით ჩავბარდები მიქელასაო, მაგრამ შენ როცა გაიზრდები და დაგაჟაცდები, დიდი კაცი რო გახდებიო, ჩემი ძვლებიც აღარ იქნება, ადათო ვიდას ემახსოვრება, მაგრამ შენ მაინც ნუ დამივიწყებ ბაბო გენაცვალოს დიდი კაცი რო იქნებიო.

პაპუნა არც უსმენდა აღათო ბაბოს.

— მისმინე ბიჭო, შე მამა მიფსმულო შენაო, დახე ერთი ამასაო, — პაპუნას ნერგის ჯოხი მოეჭრა და ნამგალა დანით გამწარებული სტვირს აკეთებდა. ლოპოიან ნერგის ტოტისგან სასტვენის დამზადება მეზობლის ბიჭმა ასწავლა და ერთი სული პქონდა როდის ატეხავდა ყურისწამდებ სტვენას ეზოში.

— შუბლზე, ეტყობაო, — აგრძელებდა აღათო, მეზობლის ქალების გასაგონად, რომლებიც აღათოს სახლის

წინ ჩამომსხდარიყვნენ, – თვალებზეც ეტყობა რო ნიჭიერია, ნიჭიერი, სულ ჩემ ცხონებულ ქმარსა ჰგავ, პაპისა და შვილიშვილის ესეთი მგვანება არ მინახია. ისიც ისეთი ნიჭიერი იყო, ისეთი, რაც იმან სადღეგრძელოები იცოდა, იმ ცხონებულმა, იმ სულგანათლებულმა, თან რამოდენები, რო ჩამოარაკრაკებდა ერთი არ შეეშლებოდა. ამის მამაც ნიჭიერია, განა უნიჭოა, ეს ჩემი ბედოვლათი, მაგრამ ზარმაცია, ზარმაცი, წელანგარა, როგორ გულით მინდოდა, რო დიდი კაცი გამოსულიყო, დიდი კაცის დედა ვყოფილიყავი, მაგრამ არ გამოვიდა არა. უმაღლესშიც ჩავაბარებინე წვალებითა და დაგვითა, არ ივარგა, სწავლას თავი დაანება. დაჯრა ფეხი და სოფელში გამოიქცა. იმ თვალებდასამიწებელ ყბაჩოანთ ქალს საიდან გადაეყარა, ჭკუა დააკარგვინა და დარჩა, ესე. დამიტოვა ოცნება აუხდენელი. მაგრამ ეხლა ამის იმედი მაქ, გონიერი ბაგშვი მოდის, გონიერი, შუბლნათელი და იქნებ ამან მაინც...

– რა არის, ბაბო, დიდი კაცობა? – ერთხელაც შეეკითხება პაპუნა აღათო ბაბოს.

აღათომ სათვალე მოიხსნა, მუხლებზე გასარჩევად შემოდგმული ოდოშური ლობიო გვერდით გადადო და პაპუნას ხელი დაუქნია.

პაპუნაც მიცუნცულდა ბაბოსთან, იქვე ჩაიმუხლა.

— ერთხელ ვიყავი, რაიოკომის მდივნის კაბინეტში, შვილო, დიდი უზარმაზარი ოთახი ჰქონდა, ჯერ არ მიშვებდნენ, უნდა ჩაეწეროთ, ჩავეწერე როგორც იქნა, შუალ-ლემდე რიგმა მომიწია, მერე შევედი, გამოვალე კარები, ისევ კარები დამხვდა, გამოვალე, ისევ კარები, მერე ისევ კარები. სამი კარები, თუ მეტი... ცხრაკლიტულივით იყო, მერე როგორც იქნა შევედი წითელი და მწვანე ფერებით აჭრელებულ ვეება ოთახში, რომლის ბოლოს იდგა უზარ-მაზარი მაგიდა და იმ მაგიდას უჯდა კაცი, უფრო სწორად დიდი კაცი... აისეთი დიდი კაცი უნდა გამოხვიდე, რო დაკაპუნების გარეშე შენთან არავინ შემოვიდეს. სამმაგი კარი უნდა ჰქონდეს კარებსა. დაიმახსოვრე სამმაგი კარი, ქვეყანა უნდა შემოგნატროდეს.

პაპუნამ მაინც ვერაფერი გაიგო, ან ის დიდი კაცი ვინ იყო, ან ეს სამმაგი კარი რა იყო, ან ეს აღათოს ახირება, მაგრამ როცა წამოიზარდა, როცა სტვირების თლას თავი მიანება და ცხოვრებას ზრდასსრული ადამიანის თვალით შეხედა, მიხვდა რო გარდაცვლილი ადათოს ოცნება პაპუ-ნას სულშიც თვლემდა. დიდი კაცი უნდა გამოსულიყო,

დიდი კაცი, „აბა შენ იცი, პაპუნა, აბა შენ იცი. აუსრულე საწყალ აღათო ბაბოს ოცნება“.

პაპუნა სწავლას შეუდგა. დიდი შუბლნათელი არ გამოდგა, როგორც გარდაცვლილი ბებია უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ სკოლა დაამთავრა, მერე უმაღლესი განათლების მიღებაც შეძლო. ერთი იმათ სოფლელი ლექტორი იყო, ამირანმა – პაპუნას მამამ, ვეება მოზვერი გაზარდა ამ საქმისთვის, რო თავისი ერთადერთი ბიჭი როგორმე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში მოეწყო. ასე გახდა პაპუნა სტუდენტი. მისმა სტუდენტობამ ამირანის ნიშა მოზვერი შეიწირა, ოდონდაც პაპუნას ესწავლა, ოდონდაც პაპუნა დიდი კაცი გამხდარიყო და ბარე ათ მოზვერს გაზრდიდა ამირანი. ხუთი წელი ისწავლა და სოფელში აგრონომის დიპლომით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

– დედაჩემი მაინც მოსწრებოდა ამ ამბავსა ის ცხონებული ისაო! – შეპერანგებულ ამირანს ცრემლი მორეოდა თვალებზე, – როგორა ნატრობდა ამ დღესაო!

მაგრამ ჯერ სად იყო ნატვრების ასრულება... ერთ მშვენიერ დღეს პაპუნამ კოლმეურნეობის სახნავი სავარგულების დათვალიერების დროს, რაიკომის მდივნის გაცნობაც მოახერხა.

ახლაც თვალნათლივ ახსოვს, ბენიამინ ვიქტორიჩი – რეზინის ჩექმებსა და ნაცრისფერ ტილოს კოსტუმში გამოკვანთული რაიკომის მდივანი, ბედი მომე და სანახვებე გადამაგდეო პაპუნაზე იყო ნათქვამი, რა თვალზე დაინახა რაიკომის მდივანმა, რამდენიმე დღის მერე თავმჯდომარეს დააბარებინა.

პაპუნას თითქო აღათო ბაბოს ნაამბობი უცოცხლდებოდა, ნამდვილად ამ კაბინეტში იყო ის ცხონებული ნამყოფი, მდივანი ვევბა დარბაზივით კაბინეტში შეუძლვა, რომლის შუაგულშიც უზარმაზარი ჩეხური ჭალი ეკიდა და ოცდაოთხი ნათურა თანაბრად ჩახახებდა. ფეხები ეკვეთებოდა, ნერწყვი უშრებოდა, ხუმრობა ხომ არ იყო, რაიკომის მდივნის კაბინეტში შედიოდა. წითელ-ყვითელი ფერები კიაფობდა ირგვლივ, დარბაზივით კაბინეტის ბოლოში, ვეზბა წაბლის მაგიდა იდგა. ძოწისფერი ხავერდით შემოსილ მაგიდას შავ შარვალ-კოსტუმსა და ჭრელ ჰალსტუხში გამოკვანთული „დიდი კაცი“ უჯდა, რომელსაც იმ ვეებერთელა შენობაში ყველა თვალებში შესციცინებდა, იტყოდა იწვიმებდა, იტყოდა მზე გამოვიდოდა. მაგრამ ვიდრე აქ მოხვდებოდა, სულ დამავიწყდა, რო მეთქვა სამი კარი გაიარეს პაპუნამ და კოლმეურნების თავმჯდომარემ,

რომელსაც ცხირსა და ყვრიმალებზე პაპანაქება სიცხეში ციგი ოფლი ჩამოსდიოდა და ეჭვი ღრნიდა, რატომ დაიბარა რაიოკომის მდივანმა პაპუნასთან ერთად, ვაითუ... არა, გეგმა შესრულებული პქონდა, ხორციც ჩააბარა, ერბოც შეასრულა, ხილიც გადაჭარბებით ჩაიტანა, ლენინის ძეგლიც დადგა, ერთი სიტყვით მისი კოლმეურნეობა მოწინავე იყო და გარდამავალი დროშის მფლობელი, მაგრამ მაინც ეჭვის ჭია ჭამდა. რა თვალზე დაინახა ეს შობელძალლი ესა, რა თვალზე, ჩემს ჭირად ეგდო იმ დროს სოფელში, ეხლა თუ პაპუნა პარტიაში მიიღეს, მერე ძირის გამოთხრას დამიწყებს, ან... რა თვალზე დაინახა, კაცო.

რაიკომის მდივნის დარბაზისოდენა კაბინეტიდან პაპუნა თვალებგაბრწყინებული გამოვიდა, რაიკომის ხელმძღვანელმა პარტკომის მდივნად დაანიშნინა.

თავმჯდომარე თან ულოცავდა, თან ბოლმა ახრჩობდა. ამ წიწლიკანას დამიხედე ამასა, რაიოკომის მდივანსაც რო დაუახლოვდა.

იმ დღიდან დაიწყო პაპუნას წინსვლა და აღათო ბაბოს ოცნების ახდენა. თავმჯდომარეს გული უგებდა, პაპუნას სულში კიდევ უფრო გაიღვიძა ბაბოს ოცნებამ. ჯერ თავმჯდომარეობა მოუნდა. ერთი ხანობა კოლმეურნეობაში

ყველამ აიბუა, თავმჯდომარის დავალებით პაპუნას ხმას აღარავინ სცემდა. პარტკომის მდივანი ბაიყუშივით დადიოდა, რა გაეკეთებინა აღარ იცოდა, ბოლოს როგორც იქნა გამოსავალი იპოვა.

კოლმეურნეობის კანტორის დამლაგებელ პელოს ფული და მოლარეობა დაპირდა. პელო ორმოცს მიტანებული ქალი იყო, ორ-ორი ობოლი ჰყავდა. ფულსაც დახარბდა და მოლარეობასაც. თავმჯდომარის კაბინეტში დაუკითხავად შევიდა, მდივანი არ უშვებდა, მაგრამ პელომ მაინც თავისი გაიტანა. როგორც პაპუნამ დაარიგა ისე მოიქცა, სოფლის თავკაცის ოთახში შევარდა და ისეთი წიგილ-კიგილი ატეხა ქვეყანა იმის ცოდვით დაიწვებოდა, ტანსაცმელი ერთიანად შემოიფლითა და გარეთ დედიშობილა გამოვარდა. კანტორის ეზოში შიშველ ქვრივს კოლმეურნეობის თანამ-შრომლები შემოეხვივნენ...

ბევრი ამტკიცა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რო პელოსთვის ხელი არ დაუდია, მაგრამ ვერაფერს გახდა და ასე დასრულდა მისი დიდკაცობა. მცირე ხანში პარტკომის მდივანი კოლმეურნეობის ხელმძღვანელად დანიშნეს, მაგრამ ეს კიდევ არ იყო საკმარისი იმისათვის, რო აღათოს ოცნებები ახდენილიყო. ჯერ კიდევ წინ იყო დარ-

ბაზისხელა კაბინეტი, სამ-სამი კარით და წითელი, თუ მწვანე ხავერდებით. ერთ დროს თავმჯდომარეობაზე ვერც იოცნებებდა, მაგრამ ახლა რაიოკომის მდივნის ნაჩუქარ „ვილისში“ მოკალათებულიყო და ამხელა კოლმეურნეობას მართავდა. „ცხოვრება მამაძალლია, პაპუნა, მამაძალლი, ვერაფერს გაუგებ, ზოგისთვის ისეა, ზოგისთვის ასე, ზოგს ეჩვენება, რო სამართლიანია, ზოგს კიდევ... თუმცა, ვისთვის როგორ, შენ რა გაქვს დასანდური ჩემო პაპუნა, რა... არც არაფერი“ – ეჩურჩულებოდა ორეული პაპუნას.

* * *

- მაშ, თქვენ ამბობთ, რო, – ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ნერწყვგამშრალი და წარბებშერუშეული მისჩერებოდა პაპუნას.
- დიახ, დიახ, მართალს გეუბნებით, – თავი დაუქნია პაპუნამ და თან თვალი მოავლო ცეკას მდივნის ოთახს, „აი, დიდი კაცი ვინ ყოფილა, დედა... რამოდენა კაბინეტი აქ“.
- ამხანაგმა ლიჩელმა გიბრძანათ, რო ლენინის ძეგლი აგებოთ.
- დიახ, ჩემო ბატონო, უკაცრავად ამხანაგო, – დაიბნა

პაპუნა და უხერხულად გაედიმა. ყურებამდე ტიტიბისფერი გაუხდა სახე, – დამავალა, რო კოლმეურნეობის „ვილისი“ დამება და ლენინის ძეგლი ისე მომენგრია. მაგრამ მე მაგას როგორ ჩავიდენდი, ამიტომაც გეახელით ჩემი ფეხით, მე მაგის გამკეთებელი არა ვარ, დღესაც რო მომიწიოს თანამადებობის დატოვება.

ისე დამაჯერებლად ცრუობდა, რო ცეკას მეორე მდი-
ვანმა ვერაფერი შეატყო, მხრები ნერვიულად აიჩეჩა, ვეება
ოთახში ბოლოთის ცემას მოუყვა.

– საცარია, საოცარი, წინა კვირას გადავეცით ლენი-
ნის ორდენი და რა ეშმაკი შეუჩნდა, რამ აფიქრებინა. –
მერე მაგიდასთან მივიდა ტელეფონის ყურმილს დასწვდა
და მკაცრი ხმით დაეპასუხა, – გულორდავასთან შემაერ-
თეთ...

* * *

„ადათო ბაბო, შენის სულის ჭირიმე შენი, ასე მგონია
გუშინ იყო, ის ამბავი, ასე მგონია გუშინ მეუბნებოდი,
სახლის წინ რო იჯექი უბნის ქალებთანა, დიდი კაცი გა-
მოხვალო.

წინასწარა გრძობდი, თუ რა იყო, შე სულკურთხეუ-
ლო, შენა, მართლა დიდი კაცი გავხდი, ნეტა წამოგახედა

და დაგანახვა ჩემი თავი, მთელი რაიონი როგორ შემომომციცინებს თვალებში, შენი პაპუნა ის ბიჭი აღარ არი, სტკირებს რო აკეთებდა მარტო და სტვენით არემარეს აყრუებდა. ეხ, რა იქნება ერთი წამოგახედა, სულ ერთხელ დაგანახვა ჩემი თავი, ხო, აგიხდა ოცნება, იმიტო აგიხდა რო მაგარი ქალი იყავი, მაგარი, ოჯახი შეინახე, უკაცო ოჯახი. ეხლა მე ვიცი, როგორ პატივსაცა გცემ, ისეთი ქვა დაგადგა, ისეთი, მთელ სასაფლაოზე არავის ედგას. ან ამ მესრის ღირსი ხარ. შენისთანა ქალს მარმარილოს კედლებით უნდა ჰქონდეს შემოდობილი საფლავი“.

„შენ იყავი, შვილო, კარგათა, მე, რა...“ – შავი ქვიდან შემოსციცინებდა პაპუნას აღათო ბაბო.

* * *

პაპუნა საკუთარ კაბინეტზე გაკრულ ოქროსფერ აბრას მიშტერებოდა და საოცარ ნეტარებას გრძნობდა, ისეთ ნეტარებას, რომელიც სიტყვებით ვერ გამოითქმის. უცნაური შუქი უდგა თვალებში. სახეც გაცისკროვნებოდა. ვეება ოქროსფერ აბრაზე ვეება შავი ასოებით ეწერა მისი სახელი და გვარი. იმ კარის იქით კიდევ იყო კარი, იმ კარის იქითაც კარი და ვიდრე პირველ კარს შეაღებდი, მანამდე

ვეება აბრა უნდა დაგენახა. ოქროსფერი აბრა, ვეება წარწერით. მართლა დიდი წარწერა იყო, ყველას თვალში ხვდებოდა გამვლელსაც და გამომვლელსაც, ასეც უნდა ყოფილიყო. უხაროდა, უხაროდა პაპუნას, ასეთი სიხარული არასოდეს ეგრძნო. მისთვის ღმერთი არ არსებობდა, თორემ მადლობას გადაუხდიდა.

* * *

- ბიძაჩემო, გაიწიე იქით.
- ერთი ამას დამიხედე! — რისხვით აენთო თვალები პაპუნას, — ბიძაჩემოო, ვინ არის ბიძაშენი, შე ცინგლიანო, ვინ გგონივარ, რაიკომის მდივანს ელაპარაკები.
- გამხდარ, აყლარწულ ჭრელთვალება ბიჭს, პაპუნას ლაპარაკზე გაეცინა.
- ვინ არის რაიკომის მდივანი?
- როგორ თუ ვინ არის? — უარესად გაბრაზდა, პაპუნა, — ეხლავე გაჩვენებ. — ბიჭოლია! — გასძახა თავის ხელის ბიჭს, რომელიც პაპუნას გვერდიდან არ სცილდებოდა ლამის იყო ფეხის ალაგზეც შეჰყოლოდა. — ბიჭოლია, სად დაიკარგე, შე უპატრონო შენა. — ბიჭოლია მაინც არ ჩანდა.

- ვინ არის ბიჭოლია? – დამცინავად ჰქითხა მაღალმა ბიჭმა.
- ვინც არის, გაჩვენებ. – მუშტი მოუღერა „რაიკომის მდივანმა“:
 - სხვები სადღა წავიდნენ.
 - ვინ სხვები?
 - ვინ სხვები და რაიკომის ხალხი, სად წავიდნენ, სად წავიდნენ ეს ოხრები.
 - სადღაა, ბიძაჩემო, რაიკომი.
- „ოხ, ეს ბიძაჩემო“ – რა გამაღიზიანებლად ქღერდა, კბილები გაახრჯიალა პაპუნამ.
 - აღარ არის რაიკომი, როდის ეგ დრო წავიდა აღარ მახსოვს...
 - რას ჰქვია წავიდა, აბა მე ვინ ვარ მაშინ, სულ რამდენიმე დღეა რაც დავინიშნე.
 - ეე, – ამოიზმუკუნა ბიჭმა, – ვერ არის ვიღაცაა.
 - აბრა რა იქნა, – პაპუნას თვალებზე ცრემლი მოადგა.
 - რა აბრა, კაცო, – დასერიოზულდა ბიჭი.
 - ამ კაბინეტზე რო აბრა იყო, დიდი აბრა.
 - რა უნდოდა ამ კაბინეტზე აბრას, აქ სამკითხველოა.
 - რა ხდება ლეგან, – თანაკურსელმა ბიჭმა მოაკითხა.

— არაფერი, — ჩაედიმა მაღალს და მეგობარს პაპუნაზე
ანიშნა, — ეტყობა ვიღაცა შემლილიაო.

* * *

მიდის პაპუნა, ძლივს მიათრევს სხეულს. რა მოხდა
გერ გაუგია. ვითომ სიზმარი იყო? ეკითხება თავს. არა,
სიზმარი არ ყოფილა. აბა, მაშ რა იყო, დროში მოგზაურო-
ბა? ბედისაგან მასხარად აგდება? მოჩვენება? რა ჯანდაბა,
გელარ შეიკავა თავი და ატირდა. ესე იგი, არაფერი მომხ-
დარა, არც თავმჯდომარე გაუფუჭებია? პელოს ამბავიც
სიზმარია, ცეკას მდივნის ტყუილი ჩაშვებაც? სმამალლა
ტირის პაპუნა.

ენანება, ეს ოხერი სიზმარი, თუ მოჩვენება, თუმცა
არც იცის, რა იყო. რაც იყო, იყო, მთავარია, რო ენანება,
სამმაგი კარი, წითელი და მწვანე ხავერდებით მორთული
კაბინეტი, დარბაზივით კაბინეტი და კიდევ ვეება ოქროს-
ფერი აბრა, შავი წარწერით...

* * *

დამე მივიდა აღათო ბაბოს საფლავზე, თან ფეხები ეკ-
ვეთებოდა, ციგი თფლი ასხამდა. მარიამობისთვის ცხელ

დამეში სუნთქვა ჭირდა, პაპუნას კი აკანკალებდა. ღრუბ-ლებში შეუუჟული მთვარე თდნავ ბჟუტავდა. ადათოს საფ-ლავზე ისევ ის სამკუთხედის ფორმის მომცრო შავი ქვა იდგა, საიდანაც მდიმარე თვალებით უმზერდა მონაგარს ქალი, რომელმაც რვაათეული წელი ატარა წუთისოფლის ტვირთი. საფლავის გვერდით ხრეშის გროვა იყო, რაიკო-მის მდივნის დავალებით მიტანილი ხრეშის გროვა...

სიკვდილი ნისლში

- თოვლი მოვა მალე, – ჩაილაპარაკა დაჩიმ.
- შენ რა იცი, რო მოვა? – ჰქითხა ეკამ.
- აბა, ახედე ცას! – ეკას სათოვლედ მოღრუბლული ცისკენ გაექცა მზერა. წარმოიდგინა როგორ წამოვიდოდა თვალშეუდგამი ციდან ვეება ფანტელები.
- ხედავ? – მიანიშნა დაჩიმ.
- ერთი თუ დაიწყო, აღარც გაჩერდება. შარშანდელი წელივით უთოვლო არ იქნება, არადა, რა ფასი აქვს უთოვლო ზამთარს. უთოვლო ზამთარი უსიყვარულოდ დაბერებული ქალივით არი! – გადაიხარა და ეკას ლოყაზე აკოცა.
- რა შუაშია სიყვარული თოვლთან. – მცირე ხნის შემდეგ ჰქითხა ეკამ, თან წინ იყურებოდა, შორს იყურებოდა, შორს მთები ჩანდა, კორტოხმოშიშვლებული მთები, რომელთაც მარმაშის მანდილივით ეხვია სქელი ნისლი.
- სიყვარული ქალის სამკაულია, ხოლო თოვლი ზამთრის სამკაული, გაზაფხულს ყვავილის გარეშე, რამე ფასი აქვს? ან ზაფხულს პაპანაქება სიცხეების გარეშე, ან შემოდგომას მოდღევებული მტევნის გარეშე, აეგრეა ზამთა-

რიც, თოვლი თუ არ მოვა გინდა ყოფილა გინდა არა, ქალიც ეგრეა, რა, თუ სიყვარული არ ეწვია, გინდა ყოფილა გინდა არა, თუმცა მარტო ქალი არა...

- სიყვარულში რას გულისხმობ?
- რას უნდა ვგულისხმობდე, – ჩაილაპარაკა დაჩიმ, – ნამდვილ სიყვარულს და არა ისეთს, ვიდაც რო მოგეწონება და მეორე დღეს ისევ გავიწყდება, ჰეშმარიტ სიყვარულს ვგულისხმობ, რომელიც საკუთარ თავს აღმოგაჩენიებს.
- აეგ, მომეწონა, – ჩაეცინა ეკას.
- რა მოგეწონა?
- რა და საკუთარ თავს აღმოგაჩენიებსო, კარგი ნათქვამია.
- სიყვარულს უხდება. ისევე როგორც ნისლი უხდება მთას, თოვლი ზამთარს.
- რას ჩააცივდი ამ თოვლს!
- არა, რატო ჩავაცივდი, თოვლი მაგარია, თეთრი, სპეტაკი, უცოდველი ადამიანის სულივით არი, სპეტაკი სიყვარულივით არი, როგორც ჩვენი, – ისევ გადაიხარა და აკოცა.
- ხო გიყვარგარ?

— ისე რა. — ჩაეცინა ეკას.

დაჩის თვალები მოედრუბლა, კარგა ხანს არაფერი უთქვამს, ორივე ხელით ჩაებდუჯა საჭე და გზას გასცემ-როდა. გზა მიღიოდა მაღლა და მაღლა. მთებიც უფრო ახლოს მოჩანდა. ნისლი თანდათან ძლიერდებოდა.

— გეწყინა? — ჰერთხა ეკამ.

— ისე, რა. — ეკას მიამიტურ კითხვაზე, ჩაედიმა დაჩის. თანდათან ხასიათი გამოუსწორდა.

— შორს არის? — ჰერთხა ეკამ.

— ისე რა. — ისევ გაეღიმა დაჩის.

— მართლა, მითხარი.

— გეჩქარება? მე არ მეჩქარება.

ეკას არაფერი უთქვამს. ნისლში გახვეულ მთებს გასცემოდა.

— რაზე ფიქრობ? — ჰერთხა დაჩიმ.

— არაფერზე.

— გითხრა, რაზე ფიქრობ?

ეკამ თავი დაუქნია.

— ჩემზე ფიქრობ.

— კაი ეგრე იყოს. რატომ გგონია რო შენზე ვფიქრობ. იქნებ სხვა რამეზე მეფიქრება.

- მაინც რაზე?
- რა ვიცი, ადამიანს საფიქრებელის მეტი რა აქვს.
- რატომ მოინდომე აქეთ წამოსვლა, როგორი ცუდი გზები ყოფილა, – სხვა რაღაცაზე გადაიტანა საუბარი ეკამ.
- აი, იქ რო მივალთ ყველაფერი დაგავიწყდება. იქ ისეთი ადგილია. მამა ზაზას გაგაცნობ, ძაან მაგარი კაცია, ნახე რამხელა მადლს მიიღებ. დაგვლოცავს, მისი დალოცვა ლირს მარტო...

ნისლი გაძლიერდა. მთებიდან აშლილი თეთრი ქსოვილები თანდათან ფერდობზე ჩამოიშალა.

- როგორი ნისლია, – შემკრთალმა ჩაილაპარაკა ეკამ.
- ლამაზია, ნახე, ირგვლივ არაფერი ჩანს თითქო მარტო მე და შენ ვიყოთ მთელ სამყაროში, ძაან ლამაზია.
- შენ ყველაფერში სილამაზეს და სიყვარულს ხედავ. დაჩის არაფერი უთქვამს, მანქანას სიჩქარე შეცვალა.
- რა ცუდი გზაა ნახე, არაფერი არ ჩანს.
- ნუ გეშინია, მთავარია, რო შენ ჩანხარ, მალე მივალთ, მამა ზაზას ბუხარი ენთება, გავთბებით, მერე ვისაუბრებთ.

უფრო გაძლიერდა ნისლი, დაჩიმ კიდევ შეუნელა სვლას, თან ეკას აკვირდებოდა, რომელსაც თხელი ყვრი-მალებიდან ფერი გადასვლოდა.

– როგორ გეშინია.

ეგას არაფერი უთქვამს. თავისთვის ფიქრობდა „ეგებ ჯობდა, რო არ წამოვსულიყავი. მერე დაჩი, დაჩი რას იტყოდა“. თვალები დახუჭა, გაირინდა და შეუვარებულის სუნთქვა და გულის ცემა შეიგრძნო, მანქანის ლმუილი თითქო არც ესმოდა. დაჩი სუნთქავდა, დაჩის გული ხმაურობდა. „მართლა ისე რო იყოს, როგორც მან სთქვა, ამ ვეებერთელა სამყაროში მარტო და მე დაჩი ვიყოთ და კიდევ ნისლი, გავძლებდი? ალბათ გავძლებდი. არ მომწყინდებოდა. ცხოვრება მაშინ არის მოსაწყენი, როცა არავინ გიყვარს. მაშინ გბეზრდება ყველა და ყველაფერი, მათ შორის შენი თავიც და ხანდახან თავის მოკვლის ხასიათზე დგები, რო ეს უფერული დღეები ერთხელ და სამუდამოდ დაასრულო და შენს უღიმდამო ყოფას წერტილი დაუსვა. მაგრამ როცა გიყვარს სხვანაირად ფიქრობ, სამყაროსაც სხვანაირად აღიქვამ, რაღაცნაირი ხალისი გაქვს. ეს რაღაცნაირობა კიდევ ის არის, რო შენი ფიქრი ვიდაცას დასტრიალებს და მარტო არ ხარ და კიდევ წელან მართალი თქვა დაჩიმ, შენ საკუთარ თავს პოულობ“. ცოტა გაუარა შიშმა. აღმართს დაღმართი მოჰყვა დაჩიმ მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და გზას გახედა, მაგრამ ვერაფერი გა-

არჩია. სქელი ნისლი შემოკვროდა მთის ფერდობებს და არაფერი არ ჩანდა, თითქო სამყარო გამქრალიყო და ადამ და ევასავით ეს ერთი წყვილი შერჩენოდა დედამიწას.

— მოდი გავჩერდეთ, — სთხოვა ეპამ, — იქნებ გადაიაროს ნისლმა.

— ნელ-ნელა ვივლი, — თქვა დაჩიმ. — ცოტა ხანში მამა ზაზას სახლიც გამოჩნდება, უფრო სწორად ქოხი, იცი რა მაგარი ადგილია, ყველაფერი ჰყავს: ფუტკარი, ფრინველი, საქონელი, ცხვარი, გაგიჟდები, როგორ უვლის ამდენ რა-მეს. ისეთი მაღლიანი კაცია...

ეპამ პირჯვარი გადაისახა.

— ხო გიყვარვარ? — ჰკითხა დაჩიმ.

ეპამ თავი დაუქნია.

დაჩი გადაიხარა და აკოცა.

— ნელა! — შეჰყვირა გოგომ და უნებურად საჭეზე უტა-ცა ხელი.

— ნუ გეშინია, — შესძახა დაჩიმ და საჭის გასწორება სცადა, მაგრამ ეპას ისტერიულმა ყვირილმა დააბნია. მან-ქანა ისე გადასცდა გზას, ვერაფერი შეამჩნია, გზის იქით ვეება, ნისლით ამოვსებული ხრამი და სამყაროს დასას-რული იყო.

საგლეს თეთრი მტრედი

- მალე მოვა?
- მოვა, აბა, რას იზამს. – თქვა ზაზამ და მოასფალ-ტებულ გზას გახედა. – ზაურიჩისგან ხელცარიელი რომ არ მოვა, დარწმუნებული ვარ.
- მე მგონი თენგოს ბიძა ვერაფერს ხვდება, – თქვა გოჩამ.
- რას ვერ ხვდება, – ჩაეღიმა ზაზას, – ეგ თუ ვერ ხვდება, აბა სხვა ვინ უნდა მიხვდეს. შენ ფულიანი კაცი და უჭკუო გინახია? მე არ მინახია. უბრალოდ რა ხდება იცი? ხვდება ის კაცი, თენგომ თუ ფული ვერ დაითრია, მერე მოიპარავს და უფრო მეტი თავსატეხი გაუჩნდება. ეგ ერთი ლერი ბიჭი ჰყამთ და შესცეკრიან ტახტის მემკვიდ-რესავით ამ ჩემისას, თითქოს დინასტია გადაშენდება, არა-და, ამას სულ არ კიდია, ან მაგათი გვარი, ან მაგათი მომავალი, თან ძაან მაგრა კიდია.
- თენგო მაგარი კაცია.
- ძმაა, – ზაზას და გოჩას საუბარში პაპუნაც ჩაერთო.
- გახსოვს, მაშინ რა გააკეთა? – ზაზას პეტეა პაპუ-ნამ.

— როდის? — ზაზას მუხლი დაედალა დგომით და ისევ ჩაიცუდეს.

— როდის და თბილისელებმა რო აგვალებინეს წამალი, ქმზარას ნათესავებმა.

— ჰოოო, — თავი დაუქნია, — საიდან რა გაგახსენდება ხოლმე, ვახო რო ცუდად გახდა არა? ეგ ჭოლაკი ეგა, რო იღორა და გადავარდა რაჯივით. რაც მაშინ შიში ვჭამეთ. ზეზვას მანქანით რო გავაქცუნეთ.

— ჰოო.

— რაც იმ თბილისელებმა მასაჟები უკეთეს... ჩაუნგრიეს გულ-მუცელი, მარა ჩემი ფეხები, როგორ იყო გაშავებული!

— ექიმი უეჭველი ჩაგვიშვებდა, თენგო რო არ ყოფილიყო. მაგან მოუყომარა. თან რა „ხიტრულად”.

„ერთხელ გასინჯა ცხოვრებაში და ასე დაემართა უნდა გვიშველო ექიმო რამე, პოლიციამ რო გაიგოს, დაიღუპება ბიჭიო”. შეაბა, ლამის აატირა კაცი. ისიც ადგა დადაპრა „ნარკანი”. ვახომაც დააჭყიტა თვალები.

— რატომ გასინჯეო, — უსაყვედურა ექიმმა, — ჩაეცინა პაპუნას, — არადა, რა იცოდა, რა დამპალი ნარკამანი იყო.

— უეჭველი თენგო რეკავს, — გულისჯიბიდან ტელე-

ფონი ამოიღო ზაზამ.

- აქა ვართ. ვინ ვიქნებით... პო, გოჩა და პაპუნა, გულოდებით, ცოტა დროზე, რა.
- რაო? – მოუთმენლად პკითხა გოჩამ.
- ფული დაითრია და მოდის, რა.
- გოჩას სახე გაებადრა, ჩასისიხლიანებულ თვალებში შუქი ჩაუდგა. ფეხზე წამოდგა და თენგოს მოლოდინში ბოლთის ცემას მოჰყვა.
- მაგარი „შმონვები“ ყოფილა ოსებისკენ, – თქვა ზაზამ.
- საცა ერთი პოლიციელია, ყველა აქეთ გამოუშვეს.
- გუშინწინაც დაუჭერიათ ბიჭები, – თქვა პაპუნამ.
- ვინები დაიჭირეს? – იკითხა გოჩამ.
- ლეო, ხო იცი.
- აბა, ლეო?
- გაბროს ბიჭზე გეუბნები.
- პოოო, მერე.
- ლეოს პყოლია ვიღაცები.
- ლეოც კაიფობს? – იკითხა გოჩამ.
- კაიფობს არა, ჩალიჩობს. ბიძა პყავს ოსი და იქ მიჰყავს თბილისელები. მაგარი ბობოლები პყავ დათრეული, სერიოზულ ფულს ახევს. ისე კი არ დაჰყავს, მაგარი ჩათ-

ლახი ბიჭია. პოლიციასთანაც „გაიასნებული“ ჰქონია.

— მარტო ჩვენთან აქვთ დიდი გული, მე მაგათი... — შეიგინა ზაზამ და ერთი კვირის წინანდელი ამბავი გაახენდა, როდესაც ოსური სოფლიდან წამალი გამოჰქონდათ და ქართველი პოლიციელები დაედევნენ. მანქანა სოფლის ბოლოში დააგდეს და მდევრებს ტყეში დაემალნენ. მაშინ ნარკოტიკზე შესულმა ბიჭებმა ეჭვი წამლის გამყიდველ ოს გარიკაზე აიღეს. გარიკას ძმა თბილისის ერთ-ერთ ცხეში იჯდა, რომელიც სასჯელს ყაჩაღობის გამო იხდიდა. სოფლებში ხმა დაირხა, რო ქართველმა სამართალდამცავებმა ოს გარიკასთან საერთო ენა გამონახეს და ძმის განთავისუფლებას იმ პირობით შეპირდნენ, თუ მათთან ითანამშრომლებდა. როგორც ამბობდნენ, მის გამო გარიკამ არაერთი „კლიენტი“ გასცა.

გაქცეულები ტყეში ორი დღე იმალებოდნენ და ბოლოს, როგორც იქნა სამშვიდობოს გამოაღწიეს.

მცირე ხანში გზაზე შავი „ბმვ“ გამოჩდა. თენგომ მანქანა სოფლის ნახევრად დანგრეული კლუბის გვერდით გააჩერა.

- რაღაც ხასიათზე ვერ არი, — თქვა ზაზამ.
- რა ქენი, თენგო? — მოუთმენლად ჰკითხა პაპუნამ.

— ვიშოვე! — ჩაილაპარაკა თენგომ, — მაგრამ... ამის მერქ, ვიცი, რო კაპიკს აღარ მომცემს, ეგეთი გაბრაზებული ცხოვრებაში არ მახსოვს.

ბიჭებს აღარაფერი უთქვამთ, მათთვის სულ ერთი იყო, რა უთხრა ბიძამისმა თენგოს, მთავარი ის იყო, რო ფული ჰქონდათ და რამდენიმე საათში თავდავიწყებას მიეცე-მოდნენ.

— ხოო, მართლა, წამალი სხვანაირად უნდა გამოვიტანოთ, — თქვა თენგომ, — თორემ პოლიცია იქ „უსატკავებს”, აგვირიან და სიამოვნება ძალიან ძვირი დაგვიჯდება. გარი-კას მეზობელს დავურეკე, რა ქვია? სახელი დამავიწყდა.

— ირბეგა, — უთხრა ზაზამ, — ჰო, რაო, მერქ?

— რაო და მაგარი „აპასნიაო”.

— მაშ არა ვუყოთ? — ამოიოხრა პაპუნამ.

— ერთი რაღაც მოვიფიქრე, — ჩაეღიმა თენგოს, — მე მგონი გამოგვივა. ვერავინ ვერაფერს მიხვდება. ოდონდ ფოსტა მტრედი გვჭირდება.

— რა ფოსტა მტრედი? — ჰკითხა ზაზამ.

— ჰო, მტრედი.

— მტრედების მეტი რა ჰყავ სავლეს! — თქვა გოჩამ, ოდონდ არც უკითხავს, რატომ ჭირდებოდა.

— უი, სავლე! — ჩაილაპარაკა თენგომ, — სულ აღარ გამახსენდა.

- ვინ მივა სავლესთან?
- მე მივალ, — თქვა პაპუნამ.
- მერე მოგცემს?
- არ მომცემს და...

* * *

სავლეს ფოსტა მტრედი ყველაზე მეტად უყვარდა. ერთავად მხარზე უჯდა და ზედ დაპლუდუნებდა. თითქო თავის ენაზე ესაუბრებოდა პატრონს, თავის განცდებს უზიარებდა. თოვლისფერ ფრინველს წითელ ფეხზე სპილენძის პატარა რგოლი ეკეთა წარწერით: „სავლესი ვარ”. სავლეს თბილისში ერთი ნათესავი ჰყავდა, რომელსაც სახლის სხვენზე მტრედების უზამაზარი გალია ედგა. ის კაცი თითქო მტრედებისთვის არსებობდა, თითქო სხვა საზრუნავი არც არაფერი ჰქონდა. იჯდა და მტრედებს უვლიდა. მისი ღარიბული სახლიდან სამყაროს იდუმალ მელოდიასავით მოისმოდა მტრედების ღუდუნი. სულ ერთხელ ნახა ნათესავთან მტრედები სავლემ და ამ საოცარი ფრინველების სიყვარული ვეღარ მოიცილა.

ფოსტა მტრედი ნათესავმა აჩუქა. სპილენძის რგოლი შოთას გაკეთებული იყო, რომელიც მტრედს ფეხზე ჰქონდა შებმული.

შოთას სიკვდილის მერე მის სახლში მტრედების ღულუნი შეწყდა, თუმცა ნათესავის საქმე სავლემ გააგრძელა.

უშვილძიროდ დარჩენილი კაცი მტრედებთან საოცარ ნეტარებას გრძნობდა. ფრინველებს ესაუბრებოდა. თითქო სხვა სამყაროში იყო გადასახლებული. ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

— მტრედები გიშველის კაცო? აფსუს, მამაშენი როგორი ყოჩადი კაცი იყო, შენი დღე და მოსწრება სულ მტრედებს ხომ არ უნდა შეალიო, ცაში ცქერით კისერიდა დაგებრიცაო! — ეუბნებოდნენ მეზობლები. სავლე ყურს არავის უგდებდა, მტრედებს ცისკენ გაუშვებდა და ლაჟვარდში აჭრილ ფრთოსნებს სტვენით წააქეზებდა.

* * *

- ეს რა არი? — პკითხა გოჩამ.
- რა არი და მტრედია, ვერა ხედავ? — პაპუნას სავლეს ფოსტა მტრედი უბეში უჯდა.
- სავლეს მოპარე?

- მოვპარე, — ჩაიქირქილა პაპუნამ.
- ბიჭები სად არიან?
- მახარეს წყაროსთან.
- წავედიო!

* * *

- წესით ნახევარ საათში უნდა გამოვიდნენ? -- თქვა ბესომ.
- სხვა გზით არ წავიდნენ და მაშინდელივით ხელცარიელები არ დავრჩეთ, — დაეჭვებით ჩაილაპარაკა გიამ.
- არა მგონია, ამ გზით გამოვლენ, — ფერდობზე შეფენილი ოსური სოფლისკენ გაიხედა ბესომ, — უეჭველად აემ გზაზე გადმოვლენ, სასაფლაოს ხომ ხედავ.
- ჰოო.
- თუ ვინიცობაა ტყისკენ წავიდნენ, ტარო თავისი ბიჭებით დახვდება.
- განყოფილების ბიჭებზე ამბობ? — ბესომ თავი დაუქნია.
- ისე, — თქვა ბესომ, — მანქანა რო აიმ ღობის იქით დააყენო, ჯობია, იქიდან არ გამოჩნდება.
- როგორც იტყვი, — დათანხმდა გია და მანქანა ოცი-

ოდე მეტრის მოშორებით გადააყენა.

* * *

- ნამდვილი კოპელფილდი ხარ შეჩემა, – გადაიხარხა-რა ზაზამ, – ყველაფერს მოიფიქრებდა კაცი, მაგრამ ამას...
 - საიდან მოგაფიქრდა! – გოჩაც ვერ მალავდა გაო-ცებას.

თენგომ ოსისგან ნაყიდი წამალი სავლეს ფოსტა მტრედს ფეხზე შემოახვია. ისე დაამაგრა, რო ნისკარტით არ შეეხსნა. მერე ბიჭებს ლიმილით მოჰქედა:

- სდიონ ეხლა „მიგალკიანი“ მანქანებით, ვნახოთ რო-გორ დაეწევიან. ფრინველს ხელი გაუშვა და სავლეს მტრედი, როგორც კი თავისუფლება იგრძნო, შურდულით ნასროლი კენჭივით აიჭრა ცაში.
- რო დაიკარგოს! – თქვა გოჩამ და ბიჭებს შეხედა.
- დაიკარგოს არა.
- ერთ ჩემს ნათესავს ფოსტა მტრედი ცხრაჯერ ჰყავ-და გაყიდული, – თქვა ზაზამ, – გაყიდიდა, მისცემდნენ ფულს, წაიყვანდნენ და საღამოთი თავს დაუკრავდა ხოლ-მე. თან რა შორიდან მოდიოდა იცი?!
- წავედით თქვა! – თენგომ, – წამალი ჩვენ არა გვაქ

და არაფერი. ბიჭებს თვალი ჩაუკრა.

* * *

— აგე, სად დგანან! — ჩაიპარაკა გოჩამ და სამოქალა-
ქო ტანსაცმელში გამოკვანთული წესრიგის დამცველები
შეამჩნია.

გზის პირას ჩასაფრებული პოლიციელები თენგოს შავ
„ბმგე“ წინ გადაუდგნენ.

გოჩას, თენგოს, ზაზას და პაპუნას ხელები მანქანის
კაპოტზე დაალაგებინეს. ჯერ ჯიბეები ამოუტრიალეს, მე-
რე მანქანა გაჩხრიკეს. მაგრამ ვერაფერი უპოვეს.

— სად დამალეთ წამალი! — იკითხა ბესომ, მაგრამ
ასუხი ვერ მიიღო და გოჩას ერთი-ორჯერ მუშტი შემოჰკ-
რა სახეში, — სად დამალეთ მეთქი!

— რა დავმალეთ? — შეიცხადა გოჩამ და ნაცემ სახეზე
ხელი მოისვა.

— თავს ნუ იდებილებთ, სად შეინახეთ წამალი?
— რა წამალი? — ახლა თენგომ ჰკითხა.
— რა წამალი და ტვინს რო აგასხმევინებ, მერე გაი-
გებ! — ბესომ პისტოლეტის ლულა მიაბჯინა შუბლზე, მაგ-
რამ თენგო მაინც ვერ გატეხა.

- ვისთან იყავით?
- ნათესავთან, – უპასუხა თენგომ.
- ვინ არის შენი ნათესავი?
- ჩერმენა, – უცბად მოიფიქრა თენგომ, – დედაჩემის ძმაა, მაზეგ პაპის ორმოცი გვაქვს... – ისე დამაჯერებლად თქვა, ეჭვს ვერ შეიტანდა კაცი.

ნირწამხდარმა პოლიციელებმა კარგა ხანს უტრიალეს თენგოს და მის მეგობრებს, მაგრამ ვერაფერი დააცდე-
ვინეს.

* * *

ფოსტის მტრედი ორი დღე არ გამოჩნდა და სავლებ მოსვენება დაკარგა. გული გახეთქვას ჰქონდა. ერთ ადგი-
ლას ვერ ჩერდებოდა. ხან ეზოში დატორლიალობდა, ხან
ცას ასცქეროდა. „ქორი ხომ არსად გადაეყარა ის სატია-
ლო ისა“, – ფიქრობდა გულჯავრიანი. ფიქრობდა და თავს
აიმედებდა: „ფრთხილი მტრედია, არა მგონია, ეგრე ადვი-
ლად ჩაუგარდეს ქორს კლანჭებში“. რამდენჯერ დაუნახავს
სავლეს, როგორ გამოჰკიდებია მის მტრედს ქორი, მაგრამ
ვერ დაუჭერია.

მეორე დღეა, არა ჩანს. ცოტადა უკლია სავლეს და

ბავშვივით დაიწყებს სლუკუნს. დამის მდუმარებაში თითქო ფოსტა მტრედის დუღუნი ესმის. გამოვა აივანზე, მთვარით განათებულ ეზოს მოათვალმზერებს. მერე ისევ შებრუნდება. მარტოდმარტო ცხოვრობს სავლე, თუმცა რა სიმარტოვეა, ამდენი ფრთოსნები ჰყავს.

სავლეს ფოსტა მტრედს თენგო და მისი მეგობრებიც ელოდებიან. ორი დღეა კისერი გაუშეშდათ ცაში ცქერით. მიშტრებიან უსასრულო ცას.

- სად დაიკარგა ის უპატრონო?
- ეტყობა ქორს გადაეყარა და სავლეს მტრედი წამლიანად გადასანსლა, ქორი „დაკაიფდება“.

ხასიათწახდენილები ცას აჟყურებენ და კბილებს აკრაჭუნებენ. პაპუნა სავლეს გალიასთან დარაჯობს.

ორდღიანი ლოდინის შემდეგ სავლეს მტრედი როგორც იქნა გამოჩნდა და ყიუინა დასცხეს.

- ეგრა, ის არის, – უცბათ წამოიშალნენ, ისეთი სახე პქონდათ, ზღვაში ხიფათიანი მოგზაურობის მერე მგზავრები რო ნაპირს დაინახავენ. სავლეს მტრედს თითქო გული უგებდა. ერთი ხანობა დაშვებას აპირებდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. დიდხანს უვლიდა წრეს იმ ადგილს, სადაც სავლე ცხოვრობდა.

— არა ჯდება! — თქვა გოჩამ.
— დაჯდება, მაშ სად ჯანდაბაში წავა, — დაამშვიდა
თენგომ, მაგრამ სავლეს მტრედი გრძნეულივით ხვდებოდა,
რისთვის გამოიყენეს უღმრთო გზაზე დამდგარმა ახალ-
გაზრდებმა და ციდან არ ეშვებოდა.

— მე მოუვლი ამას! — თქვა გოჩამ, საიდანდაც ცალ-
ლულიანი თოფი მოიტანა და მტერდს დაუმიზნა. ძველის-
ძველმა ჩახმახიანმა მეხივით დაიგრიალა და სავლეს თოვ-
ლისფერი მტრედი ოციოდე ნაბიჯის იქით ბებერ ფშატებ-
თან ჩაეცა.

ყველაზე პირველი თენგო გაიქცა, თენგოს გოჩა მიჰყ-
ვა, გოჩას ზაზა, ზაზას პაპუნა. დიდხანს იძრომიალეს ეკ-
ლიან ბუჩქებში. თავ-პირი ერთიანად დაეკაწრათ და რო-
გორც იქნა იპოვეს მოკლული ფრინველი, რომელსაც ფეხ-
ზე მხოლოდ სპილენძის რგოლი ეკეთა წარწერით: „სავ-
ლესი ვარ”.

ლენინის მონატრება

- სამ დღეში უნდა გავფრინდეთო, – მამაჩემმა.
- ჰე, ჰე-ჰე, სამ დღეში, სამ დღეში... და აცქმუტებულები შევურებთ მამაჩემს, რომელიც შარშან დაგვპირდა მოსკოვში წაყვანას და ნატვრის ასრულების დროც დადგა. თვითმფრინავში არასოდეს არ ვმჯდარვარ. ციდან არასოდეს არ დამიხედავს დედამიწისთვის. არადა, წარმოსახვაში რამდენჯერ ავჭრილვარ ცაში, რამდენჯერ შევხებივარ დრუბლებს, ვარსკვლავებიც რამდენჯერ მომიწყვეტია, უჟ, რამდენჯერ, ვინ დასთვლის.

თვითმფრინავი ახლოს მქონდა ნანახი, მამაჩემმა ერთხელ აეროპორტში წამიყვანა და ვეება მოედანზე მთვლემარე ვერცხლისფერი ფრინველები მაჩვენა. ვიდექი და გაშტერებული შევცქეროდი ამ საოცარ ქმნილებებს, რომლებსაც ცაში შეეძლოთ ფრენა. მახსოვს ბავშვობაში ერთმა მეზობელ სოფლელმა კაცმა, რომელიც თავისი ჩხირკედელაობით მთელს რაიონში იყო ცნობილი, თვითმფრინავი ააწყო, რადაცა რკინები მიადუდ-მოადუდა, ფრთები დაუყენა, კუდიც გაუკეთა, ძრავაც ჩაუდგა, რომელიდაც ტრაქტორის ძრავი და გენახათ მთელი სოფელი იქ მოგროვდა.

დასცინოდნენ:

— აბა ესა, ცაში გამფრენია? ათ მეტრაზეც ვერ ავაო. ფშუკუნებდნენ გლეხები, იმ კაცს კიდე ზედმესტსახელს რო კირაკოზას ეძახდნენ, სულაც არ აღიზიანებდა მათი დაცინვა. გულში ამბობდა: „მაღლიდან რო გადმოგხედავთ და თავზე გადაგიფრენთ, მერეც არ დაიჯერებოთ“, მერე ამოქოქა თავისი „ხომალდი“, ჯერ ხელით მიაწვა, საფრენ ბილიკზე გააგორა, ბოლოს ჩაჯდა, დაიძრა, დაიძრა და ჰოპა! აიწია, აიწია, თანდათან დაბლა დარჩა სოფელი და პირდაღებული ადამიანები.

— ნახე ამ გიუმა მართლა ააფრინაო, — ცას ასცქეროდნენ გლეხები. მერე სულ უფრო და უფრო მაღლა ავიდა, ზეცას წეროსავით გაეკრა და თავის სოფელს რამდენჯერმე შემოუფრინა. უყურებდა თანასოფლელებს, რომლებიც ისე დაპატარავებულიყვნენ, რო ბუზისტოლად მოჩანდნენ.

— შეხედე, რა ციცქნა კაცები არიან და როგორ დიდგულად მოაქვთ თავი. ჯერ ეს რა სიმაღლეა, აქედან ასე ჩანან და უფრო მაღლიდან, სადაც გამჩენია როგორები გამოვჩდებით ნეტა?

ერთი სიტყვით იფრინა კირაკოზამ იფრინა, ბოლოს ქოჩორა მთაზეც მოინდომა გადაფრენა, მოტიტვლებულ

კორტოს თავზე მოექცა, სადაც მცხეთისჯვრის სასწაულთმოქმედი სალოცავი ეგულებოდა და სადღაც, ვეება რცხილების კორომში ზღართანი გაადინა. გადარჩა, მაგრამ სამუდამოდ დახეიბრდა, ჯერ ხომ ძლივს იპოვეს, ცოცხალ-მკვდარი ეგდო, მისი „თვითმფრინავი“ ნაწილებად დაშლილი მიმოფანტულიყო. ლიახვის ხეობელი მენახირეები წაადგნენ, მათ მოასულიერეს.

— რა ძალა გადგა, შვილოსაო? ვინ დაგაძალა ყოფილიყა, გდებულიყა შენთვისაო, აუტკივარი თავი აიტკივეო.

ახირებული კირაკოზა კი მაინც თავისას გაიძახოდა. ის გაფრენა ლირდა მარტო მთელი ცხოვრებაო.

ისე რა შუაში იყო კირაკოზა ჩვენს მოსკოვში წასვლასთან? ერთი სიტყვით მივფრინავთ სამ დღეში: მე, დედაჩემი, ჩემი და და მამაჩემი.

— რაც მე ბავშვობაში დამაკლდა, რაც მე ვერ გავიხარე, ჩემ ბავშვებს უნდა ავუნაზდაუროო, მამაჩემმა და ამიტომ მივყავართ მოსკოვში. მოსკოვი კიდევ, მოგეხსენებათ რა ქალაქია, თუ „ნორმალური“ ადამიანი ხარ და გინდა საზოგადოებაში დირსეული ადგილი დაიმკვიდრო მოსკოვში ერთხელ ხომ მაინც უნდა იყო ნამყოფი. კრემლი, წითელი მოედანი, მეფის ზარბაზანი, კიდევ... რაც მთა-

ვარია, ლენინის მავზოლეუმი. იქ განისვენებს პროლეტარიატის დიდი ბელადი, რომლის ცხედრის ერთი დანახვა ღირსებას მატებს ადამიანს და ცხოვრების ხალისს გაძლევს, მერე სხვასაც მოუყვები, როგორ იყავი მოსკოვში, როგორ ნახე ლენინი. მამაჩემმა როგორც მითხრა, მავზოლეუმში სტალინიც იყო, ერთ დროს ბიძაჩემისგანაც გამიგია, რო გვერდიგვერდ განისვენებდნენ ბელადები, მაგრამ ხრუმხოვმა გამოიტანა სტალინი და მავზოლეუმის უკანა მხარეს დაკრძალა, სადაც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური განისვენებენ. არადა, ცუდი საქმით კარგი საქმე კი გააკეთა ხრუმხოვმა, მიწის მიყრა მაინც ელირსა იმ კაცს. ლენინი კი არის და არის, ჩადიან და ჩადიან მოძმე რესპუბლიკებიდან მისი „უხრწელი“ სხეულის სანახავად ადამიანები, მერე ჩამოდიან და უყვებიან მეზობლებს, ნაცნობებს.

ფოტოებზე მენახა მოსკოვის ხედები, ქალაქის დირსშესანიშნაობანი, ბოლოს სიზმრებშიც საბჭოეთის დედაქალაქში დავბორიალობდი. ხან ვიკარგებოდი და საშველად მამაჩემს ვუხმობდი.

ბოლოს სიზმრებიც გაქრა და აეროპორტში აღვმოვჩნდით.

ჩვენი რეისი მალე იქნება, ერთი სული მაქვს, როდის ავფრინდებით, როდის გაძვრებით ღრუბლებში და ბუნების ამ საოცარ სისპეტაკეს ახლოს ვნახავ. ჩემს დას ფრენის ეშინია და დედახემი ამშვიდებს.

- მეც ეგრე ვიყავი თავიდან, მაგრამ მერე შევეჩვიე, სულ ორი საათი უნდა გაძლო და ეგ არის.
- მამახემი მოვიდა ნირწამხდარი.
- ერთ რეისზე არის სამი ადგილი. გამოდის, რო ჯერ თქვენ უნდა გაგგზავნოთ და მერე მე გამოვფრინდე.
- ეჱ, – სახე მოედრუბლა დედახემს და ჩვენც შეცივნული ბელურებივით ავიბუზეთ.
- არაფერია, რა მოხდა, მოსკოვის აეროპორტში დამკლოდებით და ერთ საათში მეც იქ გავჩნდები, – დაგვაიმედა.

ბოლოს სხვა გზა არ იყო და ასე გავფრინდით მოსკოვში მამახემის გარეშე. აფრენა და ჩემი დის კივილი ერთი იყო. მგზავრები გაოცებული სახეებით გვიყურებდნენ. მერე ცაში აიჭრა „ტუ 154“ და ჩემს დას თანდათან მოუვიდა ფერი. ილუმინატორიდან დავცექეროდით ათასნაირი ფერებით დაზოლილი დედამიწას, რომელიც მდუმარე, მაგრამ მრავლისმთქმელი მზერით ამოსცექროდა ცას და თითქო

მის ბედს ნატრობდა.

ორსაათიანი ფრენის მერე შემოვიდა ქერათმიანი გამცილებელი და მოგვმართა გაზუთხული სიტყვებით: თვითმფრინავი ეშვებოდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში და მომეჩვენა, რო ამ ქალმა ამ სიტყვების მეტი არაფერი არ იცოდა, ისევე როგორც საბჭოთა მოქალაქეებმა, რომლებიც ერთნაირად აზროვნებდნენ და გაზეპირებული სიტყვებით საუბრობდნენ. პო, მართლა დამავიწყდა, მამაჩემმა გაფრენის წინ ვიდაც ნაცნობ კაცს სთხოვა, სანამ ჩამოვფრინდები ჩემ ოჯახს თავი არ დაანებოო. მაგრამ ისე გაშპაულვაშა კაცი, თვალი ვერ მოვკარით. ატირებას არაფერი გვაკლდა, დედა გვამშვიდებდა:

— ერთი საათი ვერ გაგიძლიათ მამის გარეშე, ცოტა ხანში ისიც ჩამოფრინდებაო, მაგრამ თვალებზე ცრემლები გვქონდა მომდგარი, მერე ის ტანჯვის ერთი საათიც გავიდა, მამაჩემი კი მაინც არ ჩანდა. დედაჩემსაც თანდათან ფერი ეცვალა. მალ-მალე საათს დასცქეროდა. კიდევ ნახევარი საათი ვიყურყუტეთ და მამაჩემმიც გამოჩნდა აეროპორტის შენობაში. ისე შემოხვიეთ და ჩავეკარით, თითქოწლები იყო, რაც არ გვენახა.

— რაღა ჩემს იღბალზე დაეშვა მაგ უპატრონო თვით-

მფრინავს ბორბალი?! – გაიხუმრა მამაჩემმა.

მერე წავედით ტაქსით. მახსოვს ტაქსს მრიცხველი ჰქონდა ჩართული, რომელიც წიგწიკებდა და განვლილ მანძილს წერდა.

– ასეთი მრიცხველი ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს, რო ცხოვრების ბოლოს შენი განვლილი გზის ანგარიში დაგიწეროს! – ჩაილაპარაკა მამაჩემმა, მერე რუსულადაც გადაუთარგმნა ტაქსის შუახნის როხოხა მძღოლს, რომელიც ეროვნებით უკრაინელი აღმოჩნდა. მამაჩემის ნათქვამზე მძღოლმა გულიანად ჩაიხითხითა.

– რომელი მრიცხელი გაუძლებს ადამიანის ცხოვრებას.

მერე გავჩერდით მოსკოვის გარეუბნის ერთ კვარტალში. იქ ცხოვრობდა მამაჩემის ძველი ნაცნობი ტატიანა. ავიტანეთ ბარგი-ბარხანა და დაგბინავდით ტატიანასთან, რომელმაც კაი გულის ნათესავებივით მიგვიდო. ოროთახიანი ბინა ჰქონდა. ერთ ოთახში თვითონ და თავის ქმარი ცხოვრობდნენ, რომელსაც ვანია ერქვა. ერთი შეხედვით ოცდაათი წლით უფროსი გეგონებოდა ცოლზე, მაგრამ როგორც აღმოჩნდა ნაადრევად იყო დაბერებული ბახუსთან ტრფობით, მისი ცოლი კი წიწკვი გოგოსავით გამოი-

ყურებოდა: ქერათმიანი, თეთრი, მკერდსავსე, მოვლილი ქალი, ნელსაცხებლების სუნით გაჟღენთილი. ვანია თავიდან მოსამსახურე გვეგონა, ისე ექცეოდა ცოლი.

„ვანია, ბარგი შეიტანე“, „ვანია, გაზქურა აანთე“, „ვანია, გადი ეხლა გარეთ“, ეს ვანიაც ტუსტუსით დადიოდა, თვინიერად იქცეოდა. რაც თვალში მომხვდა ტატიანას სახლში ძალლების და კატების სიმრავლე იყო. უშვილო ტატიანა შვილებივით შემოისხამდა ცხოველებს და გულისამრევად ეალერსებოდა. სახლშიც ცხოველების სუნი იდგა და საძინებელი მათ ბეწვში იყო გახვეული. დედაჩემა ოთახი მიალაგა, გამოასუფთავა, გაანიავა. მამაჩემი ტატიანას უჯდა და რუსულად ესაუბრებოდა. დედაჩემს ცალი თვალი მათკენ გაურბოდა. „აქ ტყუილა არ მოგვიყვანდა, რადაც ძალლის თავი მარხია, ეს ისეთი მელა კაცია, ოი, შენ დამაცა, სად წამომიყვანა, გავატატიანებამასა“.

ვანია წამდაუწუმ შემოდიოდა: „ხომ არაფერი გინდათ?“ – გვეტყოდა ჩახრინწული ნალოთავები ხმით და ისევ გავიდოდა.

ერთხელაც მამაჩემმა ჩანთა გახსნა, სახლიდან წამოღებული ბაბუაჩემის გამოხდილი არაყი ამოიღო და ვანიას

აჩუქა. ასეთი გახარებული კაცი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს, სიხარულის ცრემლები მოსდიოდა. მამაჩემს ხელებს უკოცნიდა. ყოველ დილით, გაღვიძებულები არ ვიყავით, რო ფეხაკრეფით შემოვიდოდა და ადუდებულ ჩაის მოგვართმევდა. მერე ვნახეთ წითელი მოედანი, შემომატარა მამაჩემმა ვეება მოასფალტებული ტერიტორია. კრემლის წოწლოკინა კოშკებიც მაჩვენა, ვეება საათსაც შევხედე ახლოდან, საათს, რომელიც საბჭოთა ხალხისთვის გუგუნებდა. მოსკოვის ქუჩებში დავფრატუნობდით და ზაფხულის დია კაფეებში წითელ ხიზილალას მივირთმევდით.

— მე ვინ მაჭმევდა ხიზილალასაო?! — მალ-მალე გვეტყოდა მამაჩემი, შიმშილით კუჭი გვიხმებოდა, ლუკმა პური გვენატრებოდაო. ახლა ხო ხედავთ, როგორი დრო დადგაო.
— მერე ვინ მოიყვანა ის დრო, წითელი ხიზილალის დრო, ვინ მოიყვანა და ლენინმა, რომლის ცხედარიც რამდენი ხანია დაუმარხავი დევს მავზოლეუმში. მიწასნატრული სხეული, ლენინის ნახვა ასე იოლი არ იყო, უნდა ჩამდგარიყავი, ვეება, სავარაუდოდ, ორიათასკაციან რიგში, რომელიც ტაატით მიიწევდა წითელი მოედნისაკენ და რამდენიმე საათის შემდეგ ლურდურა რუსული მზით გარუჯული მიაღწევდი მაგზოლეუმამდე, სადაც ბელადის ცხედარს

რუსი ჯარისკაცები დარაჯობდნენ. რიგში დგომასაც აიტანდა კაცი, სიცხესაც, შიმშილსაც, ოდონდაც ლენინი გვენახა, ოდონდაც მისი ცხედრისთვის თვალი შეგვევლო, მერე სხვებსაც ვეტყოდით, რო ლენინი ნანახი გვყავდა. ლენინის ნახვითაც რო გამორჩეულები ვყოფილაყავით, ასეთი აზროვნება გვქონდა და ეს მარტო ჩვენი აზროვნება არ იყო, ასე აზროვნებდა ხალხი საბჭოეთში.

მავზოლეუმამდეც მივატანეთ, ციოდა, ციოდა, გული ზაფხულის მნათობის სხივები, ლენინის განსასვენებლამდე გერ აღწევდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რო სადღაც ქვესკნელში ვეშვებოდით. ბნელი დარბაზის შუაგულში სინათლე ჩახჩახებდა და ელექტრონის შუქზე კანთიელად ჩანდა შუშის საკაცე, სადაც „ილიჩის“ ცხედარი ესვენა.

მისთვის ალბათ ისევ რევოლუციების დრო იყო. ბრბოს ყიუინა, ადამიანების დახვრეტის მჭახე ხმა და განწირულ მსხვერპლთა გოდება ისმოდა. რევოლუციების დრო... მავზოლეუმში სისხლის ტალღების დგაფუნი მომეურადა.

— რა პატარა კაცი ყოფილა, მამა! — ჩავილაპარაკე და ლენინის ცხედრის დარაჯმა, რომელსაც თეთრი ხელთათმანები ეკუთა რუსულად მკაცრი ხმით მომმართა ნუ გაჩერ-

დები, გაიარეო.

ესეც ლენინი...

რამდენი სატრაპახო გამიჩნდა. ჩავალ, შემოვისხამ ჩემს მეგობრებს და მოვუყვები მავზოლეუმის ამბებს. კმა-ყოფილი სახეები გვაქვს.

- ლენინიც გაჩვენეთ! – ამაყად გვითხრა მამაჩემმა.
- რა პატარა კაცი ყოფილა, – ისევ გავუმეორე მამა-ჩემს.
- ეს რო ადრე ვინმეს ეთქვა, ციმბირი იქით დარჩებო-და, – ჩაეღიმა მამაჩემს.
- როდის ადრე? – იკითხა ჩემმა დამ.
- როდის ადრე და ადრე. როცა ადამიანებს ხვრეტდ-ნენ.
- რატო ხვრეტდნენ. – ეხლა მე ვკითხე.
- იმიტომ რო არ უნდოდათ წესიერ საზოგადოებაში ცხოვრება, სოციალიზმი არ უნდოდათ. სოციალიზმი იცი რა არის? ყველა რო თანასწორია და ერთნაირად ცხოვ-რობს, თქვენ არ იცით კაპიტალისტურ ქვეყნებში რა ხდე-ბა, თქვენისთანა ბავშვები ესე კი არ დასეირნობენ. ნაგავ-ში ეძებენ პურსა. პო, ნაგავში, ბედნიერ ქვეყანაში ცხოვ-რობთ და ამ ყველაფერს დაფასება ჭირდება.

ახლა იმ უბედურ ბავშვებზე დამეწვა გული. წარმო-
ვიდგენე დამშეული თანატოლები, გასაცოდავებული სახეე-
ბით, მე ლენინიც კი ვნახე და იმათ კიდევ პური ენატრე-
ბათ. როგორი ცუდი ქვეყნები ყოფილა და არ ვიცოდი,
ამიტომაც ხვრებდა ლენინი ადამიანებს, რო ჩემისთანე-
ბისთვის ლამაზი მომავალი შეექმნა, დავიჯერე რომ ასე
იყო, გვ...

ორიოდე კვირის შემდეგ ჩამოვედით მოსკოვიდან, ჩამო-
ვიტანეთ უამრავი ნიკოლები, ტანსაცმელი, წითელ მოედანზე
გადაღებული სურათები, რომელიც დღემდე რატომდაც
ლენინის გამოფიტულ ნეშტს მაგონებს და კიდევ მოგონე-
ბებს, მაღაზიებს, უცნაური სახელებით „გუმი“ და „ცუმი“,
და რა ვიცი, კიდევ... ჰო, კინალამ დამავიწყდა ვანია ცრემ-
ლიანი თვალებით გვაცილებდა, კიდევ ჩამოდითო, მე მგო-
ნი ცხონებული ბებიაჩემის გამოხდილი არაყი უფრო უნ-
დოდა, ვიდრე ჩვენი სტუმრობა, ტატიანა ხელს გვიქნევდა
და მამაჩემს თვალებს უჟუჟუნებდა. ერთი სული ჰქონდა
შინ შესულიყო და მამაჩემის მიტანილი საჩუქრის ყუთი
გაეხსნა.

წლები გავიდა, რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენი
ვარსკვლავი მოწყდა ცას და რამდენი მნათობი დაიბადა

ვინ მოთვლის.

ნამგლით, უროთი და თავთავებით დამშვენებული გერბიც გაჲქრა, შეერთებული პროლეტარებიც დაიფანტნენ, ისიც გავიგე, რო ნაგვის ყუთში აღარ ეძებენ პურს ბავშვები კაპიტალისტურ ქვეყნებში, კიდევ, მამაჩემი მოხუცდა, წლებმა დაზნიქა, თუმცა მაინც მოგონებებით სულდგმულებს.

— მაშ ის დრო არ ჯობდა? ხო ჯობდა. არ უნდოდათ კარგი შვილოსა, ყველაფერი გიხაროდა კაცსა, ერთმანეთი უყვარდათ ადამიანებს, ეხლა შაურიანის გულისთვის ერთმანეთს გაყიდიან და გაწირავენ. მე ჩემი გავატარე, მაგრამ აი, ახალგაზრდები ხართ ცოდონი.

ლენინისთავიანი ოცდახუთმანეთიანიც შემოგვრჩა სახლში. იისფერი ფულის დანახვაზე მამაჩემი მოგონებეში იძირება — „რა დრო იყო”.

დრო შეიცვალა. მაგრამ რა გამოვიდა, ლენინი ისევ დასამარხია. ისევ ესე დარაჯობენ მის გამოფიტულ-გამოკაფეონებულ სხეულს საპატიო ყარაულში მყოფი რუსი ჯარისკაცები, რა ქნან, ენატრებათ ლენინი.

შესანდობარი

— ერთსაც დავლევო, — ორეულს უთხრა, — მხოლოდ ერთსდა და მორჩაო. არეული თვალებით შეხედა სარკეში საკუთარ თავს. არაყი დაისხა და მამისეულ მოვერცხლილ ჭიქას ისე ნაზად შეახო ხელი, ისე სათუთად, თითქო ჩვილს ეფერებოდა, — შენდა დამრჩიო! — ჭიქას ჩასჩურჩულა. მართლა ეს ციცქა ჭიქა შემორჩენილიყო მისი ოჯახიდან. ეს ერთი ჭიქა გადარჩენოდა იმ უბედურებასა და მეხთატეხას, მამისეული ჭიქა, რომელიც, ვინ იცის, სად, ან როდის იყო ნაყიდი, თუმცა მთავარი ის იყო, რო იმ ჭიქას მისი ოჯახის სუნი ასდიოდა. ტირილი აუგარდა, ფეხზე წამოხტა, სკამს წიხლი ამოჰკრა, მაგიდას მუშტი უთავაზა, თეფში გატყდა, მაგრამ არაყი მაინც არ დაქცეულა. ბოთლიც ისევ ისე იდგა და ის მოვერცხლილი ჭიქაც. კარგა ხანს იქვითინა, ვიდრე გული არ მოიოხა. ბოლოს ისევ მაგიდას მიუჯდა და სარკეში ორეულს შეაცქერდა, შეაცქერდა და ზიზღით სავსე მზერით, ისეთი გრძნობა ჰქონდა საკუთარი თავისთვის სიცოცხლეც ენანებოდა. აკანკალებული ხელით აიდო ჭიქა.

— ყველა უპატრონო მიცვალებულის მოგონება-არდა-

ვიწყება ყოფილიყოს, ვის საფლავზეც კვერცხი არ გაგორდება, პასკა არ გაიჭრება, ჭიქა არ წაიქცევა, დმერთმა ყველა აცხონოს. თვალებში შეაცქერდა საკუთარ თავს და გადაჰკრა.

კაცი რო სარკის წინ მარტო დალევას დაიწებს ლოთია, თითქო ვიღაცამ ჩასჩურჩულა.

თავი ასწია.

— მერე რა, ვიყო ლოთი, ლოთებიც ხო ადამიანები არიან?

არსებობს წესიერი და უწესო ცხოვრება, მაგრამ კაცმა არ იცის, ან წესიერება რაა, ან უწესობა. შეიძლება ის, რაც ადამიანებს წესიერება ჰგონიათ, ყველაზე მეტი სისამაგლე იყოს. მოვერცხლილი ჭიქა და არაყის ბოთლი უბე-ში ჩაიდო და სახლიდან გამოვიდა.

მთვარე შეეგება სადარბაზოსთან.

ლამის მნათობით განათებულ ქუჩას გახედა და გზას გაუყვა. მიდიოდა არეული ნაბიჯით და ბუტბუტით. ხანდახან იმ ბუტბუტს გინებას გამოურევდა, ხანდახან გაჩერდებოდა და დაიყვირებდა.

— აეეეე, — თითქო გულს იოხებდა. ვის უყვიროდა, თვითონაც არ იცოდა. უცხო ქალაქში იყო და არავის არ

იცნობდა, მაგრამ რაღაცნაირად გულზე მოწოდილი ბოლმა ეშვებოდა.

- სად მიდიხარ? – ეჩურჩულებოდა ორეული.
- ჯანდაბაში მივდივარ!
- სხვა რა დამრჩენია, მე ხომ უბედური, ოჯახდაკარგული კაცი ვარ, ცოლ-შვილდაკარგული კაცი, დევნილი, სახლი მე არ მაქვს და კარი, მაგრამ სახლ-კარს როდი ვჩივი, საფლავები მენატრება ჩემების საფლავები.

ისე როგორ უნდა ამოვიდეს ამ დამპალი სხეულიდან სული, რო ერთხელ მაინც არ მივეფერო მათ საფლავებს. რა მომაფიქრებდა, რო ერთ დროს, ჩემი ოჯახის წევრებიც უპატრონო მიცვალებულები იქნებოდნენ. მეც, დღეს თუ ხვალ სული ამომივა და სადმეს ძალლივით მიმფლავენ. შენდობის ჭიქის წამქცევიც არ მეყოლება, თუმცა ჩემი თავი ჯანდაბას ისინი... ბალახგადავლილი საფლავები დაუდგა თვალწინ, ომში დაღუპული მეუღლის და შვილების სახეებმა გაიელვეს.

ისევ დაიღრიალა და უფრო მოუჩქარა ნაბიჯს, სად მიეჩქარებოდა თვითონაც არ იცოდა. სად მივდივარ? ჰკითხა საკუთარ თავს. ვეება ქუჩა გადაჭრა და ქვაფენილიან გზას აუყვა. აღმართის ბოლოს დაუმთავრებელი ეკლესია

იყო, ეკლესიის გვერდით კი სასაფლაო მოჩანდა.

თითქო გაგრძელდა გზა, ერთი ორჯერ შეისვენა. დაბლა გაჩახჩახებულ ქალაქს გადახედა, როგორც იქნა სული მოითქვა და გზა გააგრძელა. გოლგოთის გზას აუყვა. გოლგოთის გზას, რომელსაც ყველა ადამიანი აუცილებლად აივლის, ვიდრე ამ წუთისოფლის შვილია. ზოგის-თვის მალე სრულდება გოლგოთის აღმართი, ზოგისთვის კიდევ გრძელდება, გრძელდება უსაშველოდ, დაუსრულებლად.

მისთვის მთელი ცხოვრება გოლგოთად იყო გადაჭ-ცეული.

ახლად აგებულ ეკლესიას შეცქერდა და პირჯვარი გადაიწერა. იდგა ერთი ხანობა და ტაძარს აკვირდებოდა. აკვირდებოდა მწყრალი მზერით, „განა, რა დავაშავე ამის-თანა, განა რა შეგცოდე, დალოცვილო, თუ ეს დღე მეწ-რა, სულ ნუ გამაჩენდი, სულ ნუ დამანახვებდი ამ წუთი-სოფელს, სამდურავიც არ მექნებოდა. უბედური ბევრი მო-ნახავს, უპატრონო, უსახლკარო, მაგრამ იმედიცა პქონიათ, რაღაცის იმედი, მე რის იმედი უნდა მქონეს...“

სასაფლაოსკენ გაუყვა გზას. ვეება მკვდარი სივრცე გადაშლილიყო, სათითაოდ აკვირდებოდა მთვარის შუქით

განათებულ საფლავის ქვებს, მისი არავინ ემარხა ამ სა-
საფლაოზე, არც ნათესავი, არც ნაცნობი, არც მეგობარი,
მაგრამ მთავარი ის იყო, რო სიკვდილის საუფლოში იყო.
ვიდაცას ეტყოდა შენდობას და გულზე მოეშვებოდა.

საფლავთან შეჩერდა, მარმარილოს ქვისთვის არც შე-
უხედავს, ბაზალტით მოპირკეთებულ სკამზე ჩამოჯდა
არაყის ბოთლი ამოიღო, მერე მოვერცხლილი ჭიქაც
ამოაძვრინა და დაისხა.

საფლავის მიწას ორიოდე წვეთი არაყი მიაპკურა და
ცრემლები წამოსცვივდა, ასე ეგონა ცოლ-შვილის განსას-
ვენებელთან იყო მისული და მათ ეუბნებოდა შენდობას.

მთვარე ჩახჩახებდა, ბაჯაღლოსფერ სხივებს აფრქვევ-
და და უკვირდა:

„ადამიანებს დამითაც ახსენდებათ მიცვალებულები”.

ოცდამეერთე ნაფიქრალის გზა-ბილიკებზე

საუკუნეთა მიჯნა რთული მოვლენებით აღინიშნა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში: დამოუკიდებლობის აღსადგენად მიმდინარე პროცესები, თავისუფალი ქვეყნის პრობლემები, 2008 წლის აგვისტოს ომი და სხვა და სხვა. ბუნებრივია, ლიტერატურა თავისებური სარკეა ქვეყნის ჭირ-ვარამის, თუ ლხინის, პიროვნების სულიერი თუ ფიზიკური პრობლემებისა, მისი სულის გამოძახილისა... მოვლენათა თანამდევი და თანაშემსწრე-მონაწილე ქართველი მწერლისათვის – მითუმებეს... აი გაჩნდა კიდევ ერთი პროზაულიკრებული, რომლის ავტორია პროზაიკოსი გიორგი სოსიაშვილი (ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი). პირველი ნაწარმოებებიდანვე მისი მწერლური სამყარო ქართლია, სამაჩაბლო, თავისი ლრმა და სისხმდინარე ტკივილებით („ძმათა მახვილი“, „კამანის სევდა“), როგორც ისტორიკოსი იგი იკვლევს ქართველთა და ოსთა ურთიერთობა-თანაცხოვრების საკითხებს („გერმანელი მოგზაურები თსების

შესახებ“, „სამაჩაბლოს ისტორია“, „ვანათის ისტორია“ და სხვ.). როგორც მწერალი, თითქმის კინემატოგრაფიული სისწრაფით ასახავს წარსულსა და აწმყოს შორის ფსიქოლოგიურ ჭიდილს ქართლის მცხოვრების სულში მომხდარი ცვლილებების პარალელურად, წვდება, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ქართველისათვის მარადიულ თემებს და ისეთი უშუალობით აწევდის მკითხველს, რომ აქცევს თანამონაწილედ ნაწარმოებებში განვითარებული მოვლენებისა, და მკითხველიც იცინის თუ ტირის მასთან ერთად...

უცნაურია ქართული პროზის გზა საუკუნეთა მიჯნაზე... ჭიდილი ტრადიციასა და უცხოურიდან გავლენით შემოსულ სიახლეებს შორის, სადაც ხშირად იმარჯვებს ახალი: პიროვნების სულიერი დაშლა XXI საუკუნეში, იდეალების მსხვრევისა თუ დამახინჯებულ სარკეში თავისივე ორეულთან ჭიდილისა... თითქოს ბუმერანგივით უბრუნდება ქართველს სამოცდაათწლიანი რეჟიმის ეპოქაში მონობაში დაგროვილი ბოლმა, ამოთქმა-ამოხეთქვას რომ ცდილობს და, რაც ასე ხშირად ჭარბობს ინტერნეტ-პორტალებსა თუ ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვების მისაღწევად მოასპარეზე მწერალთა შემოქმედებაში.

აქ კი, გიორგი სოსიაშვილის პროზაში შენაკადებით

წყალუხვი მდინარესავით მოგელაობს ქართული სიტყვა. იგი გამოხატულებაა ტკივილიანი წარსულისაც („ბელადის ბედისწერა“) და უახლესი აწმყოსი, იდეალების მსხვრევისაც და ქართველის გულის სიღრმეებთან მიახლოებისა. წინამდებარე კრებულში მკითხველი იპოვის თავისი ნაფიქრის გამოხატულებასაც. ქართლი იყო და არის ძირფუძე ჩვენი ეროვნებისა, შემთხვევითი არ იყო მასთან ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა თუ სალიტერატურო ენის აღმოცენება-დაკავშირება. ქართლის მწერლები იყვნენ დიდი ლიტერატურის ნაწილი, განუყოფელი ნაწილი ყოველთვის... ახლა, დედა საქართველოს მკერდს მოგლეჯილი შვილივით მრტკივნეულია მწერლისათვის ყოველივე, რაც ხდება მის ირგვლივ და მის სულში XXI საუკუნის ადამიანის სულში...

ასე უნდა გავიგოთ გიორგი სოსიაშვილის პროზა, ქართლივით მზენათელი, სადა, უშავლო, ტკივილის მომცემი, თუ სიხარულის გამცემი... მისი გმირები ქართველებიც არიან, ოსებიც, რუსებიც; სოფლის თავკაცებიც, უბრალო მშრომელი ადამიანებიც, სტუდენტებიც, ჯარისკაცებიც, ინტელიგენტებიც, ცოცხლებიცა და მკვდრებიც...

ეს მთლიანი პანორამაა, გ. ლეონიძის სიტყვები რომ

გავიმეოროთ, „ქართლის მკვლელობის ძველიდა ახალი ამბები, „ქართლის ცხოვრებაა“, მკერდსმოგლეჯილი სამაჩაბლოსი...“

ასე იყო ადრე და ასეა ახლაც. წინამდებარე პროზა, სხვა წინამორბედი პროზაული კრებული, სხვა მის წინამორბედ წიგნებივით ქართლის, სამაჩაბლოს ყოფაა, საქართველოს ერთიანი პრობლემების ფონზე.

ძველი, თითქოს ტრაფარეტული ფრაზები ამ პროზაში ცოცხლდება და იძენს ახალ დატვირთვას, ახალ ხმიანობას: პატრიოტობა საკუთარი მიწის დაცვისათვის ბრძოლაცაა, მისთვის, მასზე სიკვდილი, იმ 17 მუჭა სისხლგარეულ მიწასავით, საფლავად რომ ქცევიათ შინდისში მებრძოლ ბიჭებს („ჩვიდმეტნი“). ესაა ოსი კაცისა და ქალის სულისშემძვრელი ტკივილიანი განცდა მომხდარის გასიგრძებანებისას („მთვლემარე წლები“), ესაა ციმბირელი ძაღლის, რექსის, სწრაფვა ადამიანური სიობოსაკენ, ესაა სიყვარულიც და სიძულვილიც და მაინც სიყვარულიც, ფიქრი გაშლილი გზა-ბილიკად. როგორ უმუშავია სიტყვაზე მწერალს, როგორ სრულუქმნია იგი. ეს ნოველისტიკა, ახალი ნოველისტიკა, პატარა ამბავი „დიდ სარჩულში“, რომელიც ზუსტად გამოხატავს თანამედროვე

მოვლენების სწრაფმდინარებასა და მონაცვლეობას, დიალოგის ფორმა რომ ხშირად ყველაზე ზუსტად გამოხატავს სათქმელს...

სტუდენტობიდანვე ვიცნობ გიორგი სოსიაშვილის პროზას, ვიყავი მისი მკითხველი, რეცენზენტი. თვალწინ ჩავლილ წლებში იკვეთება დრმა სიყვარული მამულისადმი, ამ სიტყვის ორივე გაგებით (მამული – საკუთარი მიწა, მამული – სამშობლო), ნერგის აკვირტებაში, ყვავილის აფეთქებაში იხლართება, ერთი შეხედვით, უბრალო კოლიზიები. ქართველი კაცი შრომობდა, უვლიდა მიწას, ბაღ-ვენას, ეალერსებოდა თითოეულ ფოთოლს, შემოსევა-ნგრევა აიძულებდა ხელახლა აღედგინა ყველაფერი, სისხლდაღვრილი მიწა თითებულა გაეტარებინა, ოფლით დაენამა და მერე მოწეული მოსავლით ცოცხალთ სადღეგრძელო თუ მკვდართა შესანდობარი ეთქვა...

პროზაულ კრებულს თან დასდევს სიყვარულის უძლეველობა ადამიანური სიყვარულისა, რომელსაც დასაბამიცაში აქვს, დასასრული კი ისევ ზევით მიემართება და მაინც მარადისობის მდინარეს უერთდება. ლირსებას პროზისას მკითხველი განსჯის „ასზე მეტი“ მკითხველი, თანაც ნადდი, ისეთი, ერთი ხელით რომ ცრემლს მოიწურავს

თვალზე, მეორეთი, მადლიერების ნიშნად, ისეთ ჟესტს გა-
აკეთებს, თვალი სუწყლიანდება სხვასაც...

ან ენა, სიტყვათქმნადობა როგორია, ნაღდი ქართლუ-
რი, დიალოგებში, თავანკარა ლიტერატურულ ტექსტებში:
„ოქრომნათობი“, „მოათვალმზერა“, „დაისლამე“, „ბორცვ-
აკოკოლავებული“, „გაიწურა ზაფხული“, „ლუნგი დღეები“
— და იკვალთება ივსება მწერლის კალმისქვეშ გავლილი
ქართლურით სალიტერატურო ენა...

მაგრამ ამჯერად, რიგი მკითხველზეა: „სულში რო
გროვდება წუხილი“, ქვეყნის ბედზე, სამყაროზე, ადამია-
ნებზე, შენც უნდა გაიზიარო მკითხველო! იტირო, თუ
იცინო ავტორის ნათქვამზე და თან ზედაშეც აღავლინო
ღვთის სადიდებლად. ჩვენ კი წარმატებული გზა ვუსურ-
ვოთ ამ ცინცხალა, მშვენიერ კრებულსა და მის ავტორს.

თამილა გოგოლაძე

შინაარსი

ბელადის ბედისწერა	3
მთვლემარე წლები	15
ელიზბარი	37
საძირეები	54
ნავენახარი	70
გარდასახვა ცოდვაში	82
სულში რო გროვდება წუხილი	88
გზაში	93
აღსარება მტრის საფლავთან	108
ანგელოზთა თოვა	117
ჩვიდმეტნი	123
ცხოვრების ციცქა ეპიზოდები	149
ამირანის ზედაშე	161
ლომა, თაზო და ერთ დროს უთვისტომო რექსი	172
აღათო ბაბოს ანდერძი	190
სიკვდილი ნისლში	204
სავლეს თეთრი მტრედი	210
ლენინის მონატრება	223
შესანდობარი	236
ოცდამეტოე საუკუნის გზა-ბილიკებზე	241